ყირიმის სინდრომი გვ. 60

„რეალური სამყარო“ თბილისში გვ. 74

დაკარგული დროის ქვეყანა გვ. 78

ვნების კვირა გვ. 32

„დაჩექინებაზე“ მეტი გვ. 72

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი 5 წლისაა

ლიბერალი

151 / მაისი / 2014

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

1737
2014

ბეჰი ეჰის წინააღმდეგ

გვ. 22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IOTA iOS-ისთვის

ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

IOTA iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან **iTune**-ზე მოძებნეთ **„IOTA READER"**

lit.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 151 / მაისი / 2014

მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

რედაქტორები
ლეა ზაკაშვილი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალისტები:
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ქეთევან ღვედაშვილი, სალომე გრგოძე

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, ანუნა ბუკია, მალხაზ სონღულაშვილი, დემის პოლანდოვი, ვახო ხეთაგური, ნინო ნატროშვილი, დავით ბუხრიკიძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
სტილისტ-კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
შპს „ლიბერალი"

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
გიგი გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი

თვე ფრიად სასიხარულო ამბით დაიწყო – მომავალი წლიდან ყოველი 1 მაისი უქმე იქნება. ამ დღეს მშრომელები დაისვენებენ და იმხიარულებენ. სახელმწიფოს დამოკიდებულება დასაქმებულებისადმი ასეთი გულისხმიერი არასოდეს ყოფილა!

42 წლის რუსთაველმა მძღოლმა, ვეფხია გოგილაშვილმა კი სამუდამოდ დაისვენა – 2 მაისს ბაზარმა კიდევ ერთი სიცოცხლე დაარეგულირა.

თუმცა ამ ტრაგედიას საინფორმაციო სივრცე დიდად არ დაუმძიმებია, ვინაიდან მთავარი ყურადღება გადატანილი იყო საკითხზე: დავჩაგროთ თუ არა ადამიანები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? ამ საკითხისადმი საკანონმდებლო ორგანოს არაცალსახა დამოკიდებულება საეჭვო ერთსულოვნებითა და სისწრაფით შეიცვალა. ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის 0 მოწინააღმდეგე ამის დასტურია. დეტალებს ირაკლი აბსანძე მოგიყვებათ სტატიაში „ბერი ერის წინააღმდეგ".

ქეთევან ღვედაშვილი შეეცადა გაერკვია, რამდენად ჰგვანან ციხის თანამშრომლები მთავარანგელოზს, ანუნა ბუკიას ინტერვიუ აზერბაიჯანელ უფლებადამცველთან კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პრობლემები, რომლებიც ლიბერალმა ამ ნომრის ფოკუსში მოაქცია, ლოკალური არ არის.

თუ მძიმე პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა თემატიკამ დაგღალათ, მაშინ ნინო ნატროშვილის სტატიას გირჩევთ. ვეჭვობ, თქვენი დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვლება ჩვევის მიმართ, რომელმაც „ვებსივრცე კარგა ხანია წალეკა."

დანარჩენს თავადაც ნახავთ...

P.S. 20 მაისი ლიბერალის დაბადების დღეა. უკვე 5 წელია ჩვენმა გუნდმა პრიორიტეტად აქცია, ის რაც ჩვეულებისამებრ მარგინალიზებული, ფერად-ფერად საინფორმაციო ნაკადებში მიკარგული და მიჩუმათებულია. ჩვენ ვეძებთ, ვპოულობთ და გიამბობთ ფაქტებზე, რომლებსაც მალავენ, ფუთავენ, თვალთახედვიდან გარიდებენ. 5 წელია ლიბერალის სხვადასხვა თაობის ჟურნალისტები თქვენთვის ქმნიან ჟურნალის ბეჭდურ და ონლაინ გამოცემას, რომელმაც ქართულ მედიასივრცეში სტანდარტი დაამკვიდრა.

ამ ნომრის ფურცლებზე წაიკითხავთ სხვადასხვა პროფესიის, ინტერესებისა და გემოვნების ადამიანთა მოსაზრებებს ლიბერალის შესახებ. იმედია, ზედმეტ თვითპრეზენტაციაში არ ჩამოგვართმევთ, მიიღეთ იმის ნიშნად, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია თქვენი აზრი.

ჩვენ მოგვწონს რასაც ვაკეთებთ, – თქვენ?

ზურაბ ვარდიაშვილი, რედაქტორი

298/8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა

ბეჭი ეჭის წინააღმდეგ

ქართველ ხელისუფალთა შორის სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის სურვილისა და ნების ასე ერთმნიშვნელოვნად გამოხატვა მანამდე არავის გაუბედავს. საჯაროდ არავის უხსენებია ერთად „პატრიარქი“ და „სახიფათო“. „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებში აგრესიული ძალის გამოყენებით, მათრახით ალაგმა განსაკუთრებულად რეაქციონერი მღვდლების თავგასულობა, მალევე იგრძნო ეკლესიის ძალა და თაფლკვერის პოლიტიკაზე გადავიდა. სადავო საგადასახადო შეღავათებით, საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდითა და ყბადაღებული ჯიპებით „ნაციონალებმა“ სრულიად გარყვნეს სასულიერო იერარქიის ნაწილი.

ირაკლი აბსანძე
33.22

საზოგადოება

სამხატვრო აკადემიის ჰიობიერმების "ეშმაკის ბოხბალი"

„აკადემია ვერ გეგუება, წადი“, „აკადემიას არა აქვს პროექტორის შეძენის საშუალება“, „მე არ მინდა, რომ ჩემი ლექტორი იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში იყოს შეტანილი“, „და მეთოდოლოგია?“, „დიპლომი: 900 ლარი; მასალები: 100 ლარი სემესტრში; მიღებული ცოდნა: შეუფასებელი“, „რამდენსაც მიხდიან, ისე გასწავლი“, – ეს სამხატვრო აკადემიის შენობის კედლებზე გამოკრული იმ ფრაზების მცირე ჩამონათვალია, რომლითაც სტუდენტთა ნაწილმა მათი ინიციატივით გამართულ აქციაზე აკადემიაში არსებული პრობლემების ლუსტრაცია სცადა.

გიორგი ჭეიშვილი
33.46

ინტერვიუ

აზერბაიჯანი დღეს - მათანათ აზიზოვას თვალით

როცა აეროპორტიდან ან რომელიმე სხვა რეგიონიდან მოდიხარ, გზას მიუყვება კედელი, რომ ხალხმა, რომელიც ამ გზაზე მოძრაობს არ ნახოს, როგორ ცხოვრობენ რეალურად ადამიანები. სადაც განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა და სიდუხჭირეა, იქ კედელი განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამისთვის ძალიან დიდი ფულია დახარჯული. მათთვის, ვინც უზრუნველად ცხოვრობს, არ არის აუცილებელი შენი მძიმე საცხოვრებელი პირობების დანახვით გუნების გაფუჭება. ეს გეტოა.

ანუნა ბუკია
გვ.18

ფოტოპროექტი

დიჯეს "სამოთხე"

ვახო ხეთაგური
გვ. 62-71

თვალსაზრისი

"ქართული ოცნების" შეუსრულებელი დაპირებები და მათი შესაძლო შედეგები

„ქართული ოცნების“ ყველა მთავარი დაპირება, გარდა საყოველთაო ჯანდაცვისა, არ შესრულდა ან ისე შესრულდა, რომ ამან „ქართული ოცნების“ რეპუტაცია კიდევ უფრო დააზარალა (მაგალითად, „სამართლიანობის აღდგენა“). ძნელი სათქმელია, როგორ აისახება ეს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რადგან აქ არა მხოლოდ იმას ექნება მნიშვნელობა თუ რა გააკეთა ან არ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, არამედ იმასაც, თუ როგორ არის ამომრჩეველი განწყობილი მმართველი გუნდის პოლიტიკური ოპონენტების და, უპირველეს ყოვლისა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. შესაბამისად, შეუსრულებელი დაპირებების გავლენა არჩევნების შედეგებზე ძნელი გასაზომია.

გიორგი ცხადაია
გვ.14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ილუსტრაცია
თამარ ნარსოკოშვილი / ბრალი

06 **მოკლედ**
08 **ციტატები**
ორი აზრი
12 არის თუ არა რეალურად ქმედითი ანტიდისკრიმინაციული კანონი?
თვალსაზრისი
14 „ქართული ოცნების" შეუსრულებელი დაპირებები და მათი შესაძლო შედეგები
ინტერვიუ
18 აზერბაიჯანი დღეს – მათანათ აზიზოვას თვალით
პოლიტიკა
22 ბერი ერის წინააღმდეგ
ინტერვიუ
26 „ეს არ არის ის სისტემა, სადაც სასჯელს ანგელოზები იხდიან, მათ კი მთავარანგელოზები ემსახურებიან"
საზოგადოება
32 ვნების კვირა, 2014
46 სამხატვრო აკადემიის პრობლემების „ეშმაკის ბორბალი"
მედია
56 პოლიტიკური რეკლამა რეგიონულ მაუწყებლებში
სამხრეთ კავკასიის ხმები
60 ყირიმის სინდრომი
ფოტოპროექტი
62 დიჯეს „სამოთხე"
ტექნოლოგიები
72 „დაჩექინებაზე" მეტი
კულტურა
74 „რეალური სამყარო" თბილისში
78 დაკარგული დროის ქვეყანა

ესეტუა

დაკარგული დროის ქვეყანა

„მთამსვლელებს ხშირად გვეკითხებიან: რა გვაინტერესებს მთაში? ეს კითხვა უადგილოდ გვეჩვენება და ხშირად უპასუხოდ ვტოვებთ. განმარტებისთვის მხოლოდ ზოგიერთი განცდა თუ მოგვეშველება. მთასთან არ ვლაპარაკობთ და საუბრით არ ვამყარებთ სიყვარულს. კარგად ვიცით, რომ აქ ყოველი ქვის ქვეშ და ფიფქში მარცხია ჩასაფრებული. მოწოლილი ღრუბლები ჭექა-ქუხილს და თოვლს ფანტავენ მწვერვალთა კალთებზე, მცხუნვარე მზე კი ქვის ცვენით და ზვავების კორიანტელით აფხიზლებს ქედებს. მუდამ სიახლე, სიფხიზლე, მოძრაობა...

დავით ბუხრიკიძე
გვ.78

ტექნოლოგიები

"დაჩექინებაზე" მეტი

„დაჩექინებასას" ნუ იფიქრებთ მხოლოდ იმაზე, რომ სხვებმა ნახონ, სად ხართ. თავადაც შექმენით სასარგებლო ინფორმაცია და იყავით აქტიური: თუ კარგ ადგილას ხართ, დაამატეთ ის აპლიკაციაშიც, გაუზიარეთ შთაბეჭდილებები და არ დაგავიწყდეთ მინიშნებებისა და რჩევების დატოვება. სხვათა შორის, დენის კროული, რომელიც თავადაც Foursquare-ს აქტიური მომხმარებელია, ამბობს, რომ მომავალში ადამიანები სულ უფრო ნაკლებ დროს დაუთმობენ გადაწყვეტილებების მიღებას და მეტად დაეყრდნობიან სმარტფონის რჩევებს. შესაბამისად, Foursquare-ც ინდივიდუალურ რეკომენდაციებს და სოციალური გზამკვლევის ფუნქციებს კიდევ უფრო მეტად განავითარებს.

ნინო ნატროშვილი
გვ.72

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი". მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის" საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი". მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

Part of the ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ბეჰმანული საბანკო გამოცდილება მსოფლიოს 22 ქვეყანაში

პროკრედიტ ბანკი

15 წელი საქართველოში!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

პარლამენტმა 104 ხმით ანტიდისკრიმინაციული კანონი დაამტკიცა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა 104 ხმით მესამე მოსმენით დაამტკიცა.

კანონპროექტი კრძალავს ადამიანის ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობას სახალხო დამცველი განახორციელებს.

კანონპროექტის ახლანდელი ფორმა მისი პირვანდელი ვერსიისგან განსხვავდება. მისი ნაწილი მთლიანად იქნა ამოღებული, ნაწილი კი შეიცვალა.

კერძოდ, კანონპროექტში „საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დაცვის“ ცნება ჩაიდო და ამ მიზნებით განხორციელებული ქმედება პირის დისკრიმინაციად არ ჩაითვლება. კანონში არ არის ჩანაწერი, რომელიც კანონის მოქმედების სფეროს აკონკრეტებს.

FREEDOM HOUSE-ის პრესის თავისუფლების ჰიტინგში საქართველო 197 ქვეყანას შორის 93-ე ადგილზეა

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის პრესის თავისუფლების 2014 წლის რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა 3 პუნქტით გაუმჯობესდა და 197 ქვეყანას შორის 93-ე ადგილი დაიკავა.

წინა წელთან შედარებით საქართველოს 2 ქულით მეტი - 47 ქულა - აქვს. 2011 და 2012 წლებში კი საქართველოს 55 და 52 ქულა ჰქონდა.

საქართველო მედიის თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა.

2014 წლის პრესის თავისუფლების რეიტინგში ყველაზე თავისუფალ ქვეყნებად ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია და ფინეთი დასახელდნენ, პრესის თავისუფლების მხრივ კი ყველაზე ცუდი მდგომარეობა ბელორუსში, ერითრეაში, თურქმენეთში, უზბეკეთსა და ჩრდილოეთ კორეაშია.

საქართველო მედიის თავისუფლების ინდექსით "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა

მედიის თავისუფლების ხარისხის კვლევის ინდექსის მიხედვით, საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა.

კვლევაში, რომლის მთავარ მიზანს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების დონის განსაზღვრა წარმოადგენდა, საქართველოს გარდა უკრაინა, სომხეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი და მოლდოვა მონაწილეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მედიის თავისუფლების კუთხით საქართველო პირველ ადგილზეა, კვლევის იმ ნაწილში, რომელიც ტელეკომპანიების მუშაობას ეხება, მედიის მუშაობის შემაფერხებელი რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა. მათ შორის, 2013 წლის საზოგადოებრივი მაუწყებლის ორი გადაცემის დახურვა, აგრეთვე აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არჩევისას შექმნილი პრობლემები და 2015 წლიდან საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, რომელზეც მოსახლეობის უმრავლესობას ინფორმაცია არ გააჩნდა.

კვლევის პრეზენტაციაზე მედიის განვითარების შემაფერხებელი რამდენიმე მიზეზიც დასახელდა. მათ შორის ქართული მედიის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, სარეკლამო ბაზრის სიმცირე, საკანონმდებლო ბაზაში შემავალი კანონების აღსრულებისა და რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

EaP Media Freedom Watch

1 796 333 ლარი პრემიებში - 2013 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები

IDFI-მ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიღებული დოკუმენტაცია გამოაქვეყნა. დოკუმენტები 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული პრემიების, გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების, როუმინგული მომსახურების ხარჯებისა და ბალანსზე რიცხული ავტომობილების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

პრემიები და სახელფასო დანამატები 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პრემიის სახით თანამშრომლებზე სულ გაცემულია 1 796 333 ლარი. აღნიშნული თანხიდან ყველაზე დიდი მოცულობის პრემიები (294 310 ლარი) აგვისტოს თვეში გაიცა.

თანამდებობის პირებზე პრემიების გაცემის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდზე მოდის. მაგ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს 2013 წლის იანვრიდან მაისამდე პრემია საერთოდ არ მიუღია, ხოლო მაისიდან ნოემბრამდე ყოველთვიურად იღებდა ხელფასის ორმაგ ოდენობას – 7080 ლარს.

პაპატეხაი: "ნატო საქართველოში სამხედრო თავდაცვის სისტემის ბანლაბების იდეას განიხილავს"

როგორც სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, ირაკლი ალასანიას თხოვნას ნატოსადმი, საქართველოში განალაგოს სამხედრო თავდაცვის სისტემა, ნატოში აუცილებლად განიხილავენ.



„იქ იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეც და მისცა პირობა, რომ მოკავშირეებს ალასანიას ამ გზავნილს მიაწვდიდა. ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნატოს საკუთარი თავდაცვის სისტემები არ აქვს; ეს სისტემები აქვთ მოკავშირეებს და ნატოს ყოველთვის შეუძლია მისი ორგანიზების მხარდაჭერა. როგორც ეს თურქეთისთვის გააკეთა სირიის კონფლიქტის დროს, როდესაც „პატრიოტის“ კომპლექსის გადასროლა მოხდა. მინისტრ ალასანიას გზავნილი ნათელი იყო და დარწმუნებული ვარ, ნატოში მისი განხილვა მოხდება“, – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

საქართველო პარლამენტი ქალთა წარმომადგენლობით მსოფლიოში 105-ე ადგილზეა

2013 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით მერვე მოწვევის პარლამენტში 18 ქალი იყო, მათგან 12 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 5 – უმცირესობის, ხოლო 1 არც ერთს არ ეკუთვნის. ეს რიცხვი პარლამენტართა საერთო რაოდენობის (150) 12%-ს შეადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, ამ მონაცემით საქართველო 105-ე ადგილს სირიის არაბთა რესპუბლიკასთან ერთად იყოფს.

51 დეპუტატს შორის, რომლებიც პლენარულ სხდომებზე ყველაზე ხშირად გამოდიოდნენ, ერთი მეხუთედი ქალია: 11 ქალი დეპუტატი საშუალოდ 59-ჯერ გამოვიდა სიტყვით, 40 მამაკაცი დეპუტატი კი საშუალოდ – 71-ჯერ.

„კვლევის საანგარიშო პერიოდში ინიციატივების წარდგენის მხრივ, პარლამენტის ქალი წევრები უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე მათი მამრობითი სქესის კოლეგები, – ვკითხულობთ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევაში.

სილვიო ბერლუსკონის ეროვნული ნლით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიესაჯეს

ფინანსური მაქინაციების გამო იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ერთი წლით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიესაჯა.

იტალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სილვიო ბერლუსკონის თავიდან პატიმრობა შეეფარდა, თუმცა მისი ასაკის გათვალისწინებით, ექსპრემიერის ადვოკატმა სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მოითხოვა.

2012 წლის ოქტომბერში სილვიო ბერლუსკონი მის კუთვნილ კორპორაციასთან (Mediaset) დაკავშირებული ფინანსური მაქინაციების გამო გაასამართლეს. განაჩენი უზენაესმა სასამართლომ აგვისტოში დაადასტურა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, იტალიის ყოფილ პრემიერს არჩევნებში მონაწილეობის უფლება 6 წლით ჩამოერთვა. ამასთანავე, სილვიო ბერლუსკონი იტალიის სენატიდანაც გარიცხეს.

გაიდაისვალა გაბრიელ გარსია მარკესი...

მეხიკოში, 87 წლის ასაკში, გაბრიელ გარსია მარკესი გარდაიცვალა. მარკესი მწვავე ინფექციური დაავადების დიაგნოზით საავადმყოფოში რამდენიმე კვირის წინ მოათავსეს. ბოლო წლების განმავლობაში მარკესი საჯაროდ მხოლოდ რამდენჯერმე გამოჩნდა.

დიდი მწერლის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები – „მარტოობის ასი წელიწადი“ – 30 მილიონიანი ტირაჟითაა გაყიდული.

1982 წელს მარკესს ნობელის პრემია მიენიჭა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



„საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად, რომელსაც ჩვენი ურთიერთობების დალაგება სურს, არსებობს მეორე ნაწილიც, რომელსაც კონფრონტაცია, მტრობა, ქართულ საზოგადოებაში უარყოფითი მუხტის გაღვივება უნდა“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი.

„მინდა კიდევ ერთხელ ყველას შევახსენო, რომ ურთულესი ვითარებაა მთლიანად რეგიონში და ეს ყველას ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს განსაკუთრებით ისეთ ტერიტორიებზე, სადაც პროვოკაციის შესაძლებლობებია. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ამ დღეებში, როგორც ჟურნალისტებმა, ასევე ყველამ“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

რამდენიმე თვის წინ ექსპერტების ჯგუფმა შესაბამისი დასკვნა წარუდგინა მთავრობას, რის შემდეგაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ RMG Gold-ს სამუშაოები გაეგრძელებინა. მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც წუხან – მე მესმის მათი წუხილი, რომ ძეგლის გადარჩენას ცდილობენ. მინდა მათ შევახსენო – ამ ორგანიზაციაში 3 ათასი ოჯახია დასაქმებული და კარგად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ იმ შემთხვევაში დაეკისრებათ, თუკი რაიმე შეფერხება შეექმნება აღნიშნულ კომპანიას“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

„აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ღრმა შეშფოთებას იწვევს. რუსეთს მოვუწოდებ, უკან დაიხიოს. დასავლეთ უკრაინის მიმართულებით ნებისმიერი შესაძლო მოძრაობა დაძაბულობის სერიოზული ესკალაციის აღმნიშვნელი იქნება“.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო ბანკი საქართველოში 2014

EMEA Finance: საუკეთესო ბანკი საქართველოში

EMEA Finance: საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ბანკი

Global Finance: საუკეთესო ბანკი საქართველოში

Global Finance: საუკეთესო ForEx პროვაიდერი საქართველოში

BEST BANK AWARD • 2014

GLOBAL FINANCE

emeafinance
Europe • Middle East • Africa

EUROPE BANKING AWARDS 2013

EUROMONEY 2012 AWARD for excellence

 თიბისი ბანკი
TBC BANK

თქვენ გვერდით

227 27 27 | * 27 27

www.tbcbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო: ქალაქ თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო

ავტორი: სოფო აფციაური, დიზაინერი: ია ნინოშვილი (ჯამპსტარტ ჯორჯია)

9 მილიონი ლარის ზიანი გარემოს

2013 წლის 14 მაისიდან
2014 წლის 28 მარტამდე



ხე-ტყის
უკანონო
მოპოვება
939 ფაქტი
540052.71 ლ

ნადირობის
წესების
დარღვევა
499 ფაქტი
129859.6 ლ

უკანონოდ
მოპოვებული
ცხოველთა და მათი
დერივატებით
ვაჭრობა
6 ფაქტი

წიაღით
უკანონო
სარგებლობა
359 ფაქტი
765299.76 ლ

სანებართვო
პირობების
დარღვევა
17 ფაქტი
86537.12 ლ

თევზჭერის
წესების
დარღვევა
443 ფაქტი
25300.52 ლ

ბუნებრივი რესურსებით
სარგებლობის ლიცენზიის
პირობების დარღვევა
500 ფაქტი
5467371.55 ლ

სხვა
1788 ფაქტი
1132043.83 ლ

გარემოს
დაბინძურება
155 ფაქტი
1200343.36 ლ

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი
4706

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა
9346808.45 ლ

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

JumpStart Ge

ავტორი: ეკა მაღალდაძე, დიზაინერი: ია ნინოშვილი (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი აზრი

დიახ

ლია მუხაშავრია
უფლებადამცველი

ჩემი აზრით, ეს წმინდა სამართლებრივი საკითხია. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში მოქალაქეები დაცულები არიან დისკრიმინაციისგან, მიუხედავად იმისა, კანონი არეგულირებს კონკრეტულად ამ საკითხებს, თუ - არა. და რადგან ჩვენ ვართ ევროკონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, ჩვენ გვაქვს უფლება, დისკრიმინაციის ფაქტები და საქმეები ევროსასამართლოში გავასაჩივროთ.

საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით და გლობალურად არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, გვექნება ქვეყნის შიგნით ეს კანონი, თუ – არა.

მაგრამ, მეორე მხრივ, ამ კანონის არსებობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საზოგადოება იყოს მეტად ინფორმირებული, საზოგადოების წევრების ურთიერთობები მეტად სტაბილური უნდა იყოს და უფრო მკაფიოდ უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს დისკრიმინაცია.

ამ მიმართულებით ჩვენს საზოგადოებაში მეტი სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია უნდა დავამკვიდროთ. თორემ, მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ეს კანონი, მე სტრასბურგში დისკრიმინაციის შესახებ საქმეს, მაინც მოვიგებ.

ის რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ გვთავაზობს დისკრიმინაციასთან საბრძოლველ კონკრეტულ მექანიზმს, ეს დაბრკოლება არაა. ეს არის პარლამენტის, ამ საზოგადოების, ამ კანონის სამართლებრივი შემოქმედისა და კულტურის პრობლემა.

რაც შეეხება სახალხო დამცველს, დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების პასუხისმგებლობის დაკისრება ომბუდსმენს რისკს უქმნის. მას ეს უფლება მანამდეც ჰქონდა და თუკი სახალხო დამცველის დასკვნა არ იქნება სასამართლოში გაზიარებული და ის მას გააუქმებს, ეს სახალხო დამცველის საქმიანობასა და მის რეპუტაციას რისკს შეუქმნის. თავად დისკრიმინაციას კი ვერ აღმოფხვრის.

წარმოიდგინეთ მაგალითი, რომ სახალხო დამცველმა დარღვევის ფაქტის შესახებ შუამდგომლობა დააყენა, მერე სასამართლოში წაიღო ის და სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა. ამ საქმის ევროსასამართლოში გასაჩივრებით მე მას მაინც მოვიგებ, მაგრამ სახალხო დამცველის რეპუტაციას ფაქტობრივად წყალი უდგება და მისი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ დგება.



აჩის თუ აჩა ჩვაღუჩად ქმედითი ანტიდისკრიმინაციული კანონი?

ის რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ გვთავაზობს დისკრიმინაციასთან საბრძოლველ კონკრეტულ მექანიზმს, ეს დაბრკოლება არაა. ეს არის პარლამენტის, ამ საზოგადოების, ამ კანონის სამართლებრივი შემოქმედისა და კულტურის პრობლემა.

პრო

ირაკლი ვაჭარაძე
არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ დირექტორი

ეს კანონი არაფერს შეცვლის. ფურცელზე წერია, რომ დისკრიმინაცია დაუშვებელია. ეს ბიბლიაშიც წერია, მაგრამ ამან ეკლესიას ხელი არ შეუშალა, დაერბია ადამიანები. მით უმეტეს ვერ შეუშლის ხელს კანონი მოქალაქეებს ერთმანეთის უფლებების დარღვევაში.

არსობრივად, სამართლებრივად ან ფილოსოფიურად ამ კანონში არაფერი ახალი არ არის.

მის ეფექტურობას მნიშვნელოვნად დაარტყა იმ კომპრომისებმა, რომელიც ხელისუფლებამ გასწია. კანონში ეს „საზოგადოებრივი ზნეობის შესახებ ჩანაწერით“ გამოიხატა. მაგრამ კანონს მიღმა იყო დაპირება – „ნუ გეშინიათ“. ყველაზე კარგად და ცინიკურად ეს გუბაზ სანიკიძემ გამოთქვა, როდესაც განაცხადა, რომ თუ ვინმეს ეშინოდა ამ კანონის, ნუ ეშინია; თუ ვინმეს რამე იმედი ჰქონდა, დაე, ნუ ექნება. მგონი უკეთ არავის შეუჯამებია რეალურად, თუ რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი.

რაც შეეხება ტექნიკურ დეტალებს: სახალხო დამცველს რეალური ბერკეტები არ აქვს. მან პრესკონფერენციაზე დაადასტურა ის, რასაც ამდენი ხანი ვამტკიცებდით - რომ ეს კანონი ომბუდსმენს დამატებით ფინანსურ და ადმინისტრაციულ რესურსებს და უფლებების დამრღვევის პირის დაჯარიმების რეკომენდაციით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას თუ არ მიანიჭებდა, მას არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ხელისუფლების პრინციპული გადაწყვეტილება იყო, რომ ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში ეს კანონი ტექნიკურად მიეღოთ, ისე, რომ სული არ შთაებერათ. გარდა ამისა, ირიბ დისკრიმინაციაზე და შევიწროვებაზე მსჯელობა შესუსტდა და რამდენადაც ვიცი, საერთოდ ამოვარდა კანონიდან.

კანონი არ გვთავაზობს კონკრეტულ გამოსავალს, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას ეფექტურად დისკრიმინაციის ყველა ფორმა. მისი მხოლოდ მეოთხე მუხლი ამბობს, რომ დაწესებულება ვალდებულია, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს. ასევე, შიდა რეგულაციები ისე მოაწესრიგოს, რომ კანონის საწინააღმდეგო არ იყოსო. მაგრამ პირობის დარღვევის შემთხვევაში რა მოხდება, ეს აღარაა განსაზღვრული.

ასე მეც შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს კეთილი, ერთმანეთი არ უნდა მოვკლათ, არ უნდა ვიძალადოთ...

პარლამენტი, ერთი მხრივ, ეკლესიას სამართლიანად დაუპირისპირდა და გაიტანა ის, რაც მანდატით ევალება. მეორე მხრივ, გაუგებარია, რამდენად ღირდა ეს ბრძოლა.

პარლამენტი, ერთი მხრივ, ეკლესიას სამართლიანად დაუპირისპირდა და გაიტანა ის, რაც მანდატით ევალება. მეორე მხრივ, გაუგებარია, რამდენად ღირდა ეს ბრძოლა.

ფოტო: ლევან ხარაბაძისაგან

"ქართული ოცნების" შეუსრულებელი დაპირებები და მათი შესაძლო შედეგები

გიორგი ცხადაია

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე „ქართული ოცნება" თავისი წინასაარჩევნო დაპირებებიდან მხოლოდ ორზე იყო კონცენტრირებული – საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევაზე და ე.წ. „სამართლიანობის აღდგენაზე". „სამართლიანობის აღდგენა" გულისხმობდა „ნაციონალური მოძრაობის" წევრების გასამართლებას და დასჯას. მართალია, „ქართული ოცნების" ბევრი მხარდამჭერი მიიჩნევს, რომ გამარჯვებულმა კოალიციამ ეს დაპირება არ შეასრულა, მაგრამ სინამდვილეში ისე მოხდა, რომ ყბადაღებული „სამართლიანობის აღდგენა" გადაჭარბებულად და კანონის დარღვევით შესრულდა. ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ივანიშვილის გუნდი ცდილობდა სხვა დაპირებების შეუსრულებლობა ოპონენტების დასჯით და მათზე შურისძიებით გადაეფარა.

საყოველთაო ჯანდაცვის გარდა „ქართულმა ოცნებამ" რეკორდულად ბევრი სოციალური დაპირება გასცა, რომელთაგან ზოგიერთი განსაზღვრულ ვადებში უნდა შესრულებულიყო. ამ სტატიაში სწორედ იმ დაპირებებზე ვისაუბრებ, რომლებიც უკვე უნდა შესრულებულიყო, მაგრამ არ შესრულდა. იმის მიხედვით, თუ რამდენად ერთგულად ასრულებდა „ქართული ოცნება" დაპირებებს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რამდენად შეიძლება ვენ-

დოთ მათ, როდესაც საქმე მომავალ დაპირებებს შეეხება. კონკრეტული დაპირებების განხილვის შემდეგ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზეც, რას შეიძლება ნიშნავდეს „ქართული ოცნების“ დაპირებების შეუსრულებლობა ქართული პოლიტიკური პროცესისთვის.

აქვე მინდა აუცილებლად აღვნიშნო ისიც, რომ ნაცმოძრაობის წევრები ასევე ყურადღებით ითვლიან თავიანთი ოპონენტების შეუსრულებელ დაპირებებს და ამას თავიანთი წარსული შეცდომებისა და შეუსრულებელი დაპირებების გასამართლებლად იყენებენ. სამწუხაროა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარ შეუსრულებელ დაპირებებსა და დაშვებულ მძიმე შეცდომებს არ აღიარებს, თუმცა ამ სტატიაში ამ თემაზე საუბარი არ მექნება.

ბიძინა ივანიშვილის ერთი ყველაზე მთავარი დაპირება, რომელსაც შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა ჰქონდა დაწესებული, 2013 წლის ბოლოსთვის 60 ქარხნის აშენება იყო. 2013 წლის 30 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა მოახერხოს და წლის ბოლომდე მინიმუმ 60 ქარხანა უნდა ააშენოს. იმავე წლის 3 ივლისს კი პრესკონფერენციაზე დაამატა, რომ 60-ის ნაცვლად, 100 ქარხანა აშენდება. არანაირი ინფორმაცია დაპირებული 60 თუ 100 ქარხნის შესახებ არ არსებობს, თუმცა თავად ივანიშვილს ამაზე პასუხის გაცემა არ მოუწია, რადგან 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა და პარლამენტმა ახალი პრემიერ-მინისტრი — ირაკლი ღარიბაშვილი დაამტკიცა.

კიდევ ერთი სერიოზული სოციალური დაპირება იყო პენსიის 220 ლარამდე გაზრდა. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის დეპუტატი გუბაზ სანიკიძე 2012 წელს ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ მომავალი წლის იანვრიდან „პენსიები გადაისინჯება და საარსებო მინიმუმს გაუტოლდება...მინიმუმი 160 ლარია, მაგრამ გადაიხედება და 220 გახდება.“ (გუბაზ სანიკიძის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი არსებობს „იუთუბზე“, წყარო: http://dreammeter.ge/dapireba-10-pensia-220-lari/). სინამდვილეში, 2013 წლის სექტემბრიდან მინიმალური პენსია 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა, 2014 წლის ბიუჯეტში კი პენსიის ზრდა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

კიდევ უფრო ადრე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და ბიძინა ივანიშვილი ამბობდნენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს შექმნილი მონოპოლიები ხელს უშლიდნენ ბაზარზე პროდუქციის გაიაფებას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ბიძინა ივანიშვილი ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ მას შემდეგ, რაც მონოპოლიები გაუქმდებოდა, ბენზინზე ფასები დაიწევდა. რეალურად ისე მოხდა, რომ ფასებმა არათუ დაიწია, არამედ მოიმატა და „ქართული ოცნების“ ორწლიანმა მმართველობამ ამაზე გავლენა ვერ მოახდინა; არ განახევრებულა არც გაზის ტარიფი, როგორც ამას არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილი ამომრჩეველს ჰპირდებოდა.

სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის ამ სექტორში 1 მილიარდიანი ინვესტიციის ჩადება ალბათ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაპირებაა. 2013 წლის სექტემბერში მართლაც დაფუძნდა 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი, სადაც ივანიშვილს დაპირების მიხედვით 1 მილიარდი დოლარი უნდა შეეტანა. ფონდმა დაფუძნებისთანავე განსაკუთრებული აქცენტი ენერგეტიკისა და ტურიზმის სფეროებზე გააკეთა, თუმცა სოფლის მეურნეობასაც გარკვეული ყურადღება დაუთმო (იხ. ფონდის ვებსაიტი: http://gcfund.ge/en/agriculture). მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, მაინც ისე გამოვიდა, რომ ფონდი თავის რესურსებს არა რომელიმე ერთი დარგის განვითარებას მოახმარს, არამედ კომერციული მოგების მიღებაზე იქნება ორიენტირებული. ეს კი პარალელურად არ გულისხმობს იმას, რომ დასაქმების მაჩვენებელი და სოციალური ფონი რადიკალურად გაუმჯობესდება. საბოლოო ჯამში, ამგვარი პოლიტიკა არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც წინა ხელისუფლებას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა. აღნიშნული მიდგომა ისეთ მეგაპროექტებში ინვესტიციების განხორციელებას გულისხმობს, სადაც მოგების ამოღება შედარებით მოკლე ვადებში შეიძლება, თუმცა სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე ეს მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.

დაბოლოს, თავად „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესიც პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემა 2014 წლის მარტში დიდი ალბათობით დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ საქმიანობასთან. ეს ფაქტი დღემდე სათანადოდ არ გამოუძიებიათ და არც დამნაშავეები დაუსჯიათ. თავად წი-

■ ბიძინა ივანიშვილის ერთი ყველაზე მთავარი დაპირება, რომელსაც შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა ჰქონდა დაწესებული 2013 წლის ბოლოსთვის 60 ქარხნის აშენება იყო. 2013 წლის 30 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა მოახერხოს და წლის ბოლომდე მინიმუმ 60 ქარხანა უნდა ააშენოს. იმავე წლის 3 ივლისს კი პრესკონფერენციაზე დაამატა, რომ 60-ის ნაცვლად, 100 ქარხანა აშენდება. არანაირი ინფორმაცია დაპირებული 60 თუ 100 ქარხნის შესახებ არ არსებობს, თუმცა თავად ივანიშვილს ამაზე პასუხის გაცემა არ მოუწია, რადგან 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა და პარლამენტმა ახალი პრემიერ-მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი დაამტკიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაური ვარაუდობს, რომ მისი ცემა დაკავშირებულია მის მიერ შალვა თათუხაშვილის საქმეზე გაკეთებულ კომენტარებთან. ამავე ტიპის დარღვევების რიცხვს მიეკუთვნება ვანო მერაბიშვილის საკნიდან გამოყვანა მაშინდელი მთავარი პროკურორის ფარცხალაძის მიერ, რასაც საქმის სათანადოდ გამოძიება და ფარცხალაძის გადაყენება არ მოჰყოლია (ფარცხალაძე მოგვიანებით თავად გადადგა, გაყალბებულ დიპლომთან წარმოშობილი ეჭვების გამო).

საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდა, რომ „ქართული ოცნების" ყველა მთავარი დაპირება, გარდა საყოველთაო ჯანდაცვისა, არ შესრულდა ან ისე შესრულდა, რომ ამან „ქართული ოცნების" რეპუტაცია კიდევ უფრო დააზარალა (მაგალითად, „სამართლიანობის აღდგენა"). ძნელი სათქმელია, როგორ აისახება ეს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რადგან აქ არა მხოლოდ იმას ექნება მნიშვნელობა თუ რა გააკეთა ან არ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ", არამედ იმასაც, თუ როგორ არის ამომრჩეველი განწყობილი მმართველი გუნდის პოლიტიკური ოპონენტების და, უპირველეს ყოვლისა, „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ. შესაბამისად, შეუსრულებელი დაპირებების გავლენა არჩევნების შედეგებზე ძნელი გასაზომია.

ამის მიუხედავად, შესაძლებელია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გავლენა ექნება შეუსრულებელ დაპირებებს ზოგადად პოლიტიკურ პროცესზე. ფაქტია, რომ ამით მოსახლეობაში ნიჰილისტური განწყობები უფრო მეტად გამწვავდება და საბოლოო ჯამში, რეპრესიული პოლიტიკის დაბრუნებით, რელიგიური ინსტიტუტების გაძლიერებით ან პრორუსული ძალების გამარჯვებით დამთავრდება. მხოლოდ შიდა პოლიტიკური რესურსებით ამ ტენდენციების შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება, თუ „ქართული ოცნება" და სხვა პოლიტიკური პარტიები საჭირო და შესრულებად დაპირებებს არ შესთავაზებენ ამომრჩეველს. მხოლოდ გარე ფაქტორების ჩარევამ შეიძლება იხსნას სახელმწიფო ექსტრემიზმისგან.

ევროკავშირთან დაახლოება და სავიზო რეჟიმის გამარტივება შეიძლება გახდეს ის პირველი ნაბიჯი, რამაც უნდა განამტკიცოს ქვეყნის დემოკრატიული მომავალი. უპირველეს ყოვლისა, ეს იმის გამო მოხდება, რომ შეიქმნება ეკონომიკური წინაპირობები სახელმწიფო ინსტიტუტების და დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმაციის გაზრდისთვის. სხვა შემთხვევაში, იმ ფონზე, როდესაც შიდა პოლიტიკურმა ძალებმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმებისთვის საჭირო ყველა რესურსი ამოწურეს, ავტორიტარიზმის, რელიგიური ფანატიზმის, ნიჰილიზმით გამოწვეული ანარქიისა და მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გავლენის ზრდის საფრთხე სრულიად რეალურია.

ნესტან ნიჟარაძე, TBILISI PHOTO FESTIVAL-ის სამხატვრო ხელმძღვანელი

ქართულ მედიასივრცეში და, ზოგადად, ქვეყანაში „ლიბერალის" გამოჩენა ნამდვილად დიდი სიახლე იყო. მახსოვს, როგორი მოშიებული მკითხველის პოზიცია მქონდა. თუმცა „ლიბერალმა" ამ ხუთი წლის განმავლობაში განვითარების არაერთგვაროვანი გზა გაიარა. მეჩვენება, რომ კონკრეტულად ჟურნალის პიკი უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა „ლიბერალმა" განვითარების ახალი გზების ძიება უნდა დაიწყოს.

მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს გამოცემა განსხვავებული და კრიტიკული აზრის გამოთქმის პლატფორმა გახდა. აქ მუდმივად ისეთი თემები იყო წამოწეული, რაც სხვა მედიასაშუალებებში იშვიათად ხვდებოდა.

გარდა ამისა, ჩემთვის, როგორც ფოტოგრაფიის ექსპერტისთვის მნიშვნელოვანი იყო „ლიბერალის" მკაფიო აქცენტირება ფოტოჟურნალისტიკაზე. რაც უნდა პარადოქსული იყოს, საქართველოში, სადაც ფოტოგრაფიის მიმართ დიდი ინტერესია, ფოტოჟურნალისტიკაზე მოთხოვნა არაა. ეს შემზარავია, რადგან, თუ დასავლურ გამოცდილებას გადავხედავთ, ფოტოჟურნალისტიკას მედიაში ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია.

„ლიბერალის" ფოტორეპორტაჟები მხოლოდ ფოტოების ღირებულებების გამო არ იყო მნიშვნელოვანი, ეს იყო იმ სოციალური რეალობის გადმოცემა, რაც ქვეყანაში არსებობდა. ამასთან ერთად, „ლიბერალმა" საშუალება მისცა ახალგაზრდა ფოტოგრაფებს, მოეძიებინათ ისტორიები, გადაეღოთ, ტექსტი დაეწერათ და ემუშავათ.

დღეს მეჩვენება, რომ ჟურნალს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების პულსზე ხელი აღარ უდევს. ამიტომ მინდა, რომ მისი გამოცემა ყოველკვირეულ ფორმატს დაუბრუნდეს, ხალხს სჭირდება ასეთი ჟურნალები. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ „ლიბერალის" საშუალებით ხარისხიან ინფორმაციას ყოველკვირა ვეცნობოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

Years

ANNIVERSARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანი დღეს - მათანათ აზიზოვას თვალით

ინტერვიუ აზერბაიჯანელ უფლებადამცველ „ქალთა კრიზისული ცენტრის“ ხელმძღვანელ მათანათ აზიზოვასთან

ერთი შეხედვით, შესაძლოა მოგეჩვენოთ კიდეც, რომ აზერბაიჯანის, ამ საკმაოდ მდიდარი ქვეყნის პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი, გარკვეულწილად საქართველოში არსებული პრობლემების იდენტურია: ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა, სოციალური სიდუხჭირე, ქალთა ემანსიპაცია... თუმცა უფრო დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს განსხვავებას. აზერბაიჯანელ უფლებადამცველთან, „ქალთა კრიზისული ცენტრის“ ხელმძღვანელ მათანათ აზიზოვასთან „ლიბერალის“ ინტერვიუ ცხადყოფს ამ დრამატულ სხვაობას.

დღეს აზერბაიჯანს მდიდარი ქვეყნის სტატუსი აქვს. ეს არის სახელმწიფო, რომელიც სწრაფად ვითარდება. თუმცა მოსახლეობაში რაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა თითქოს არ იგრძნობა. რთული გასარკვევია, ჩამოყალიბდა თუ არა აქტიური აზერბაიჯანული სამოქალაქო საზოგადოება...

ჩვენს ქვეყანაში მართლაც იყო პერიოდი როცა სამოქალაქო საზოგადოება ვითარდებოდა. მაგრამ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ამ საზოგადოებას არ ჰქონდეს ძალა, გავლენა, – იყოს უსუსური, არ მიიღოს მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. წარმოუდგენელია წინსვლა, როცა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის შეფერხებას ან საერთოდ შეჩერებას. „შეკერილი“ ბრალდებებით აკავებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. საზოგადოებაში ეს შიშს იწვევს. ამ შიშის გამო ქვეყანაში დამოუკიდებლად, თავისუფლად მუშაობა და მოქმედება შეუძლებელია.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ძალიან ბევრი ეგრეთ წოდებული „გონგ არაკომერციული“ ორგანიზაცია ფუნქციონირებს, შექმნილი მინისტრების ან ჩინოვნიკების ნათესავების მიერ. მსგავსი ორგანიზაციების ქმედება მიმართულია არა ცვლილებებისკენ, არამედ ფულის გათეთრებისკენ.

უფრო კონკრეტულად ვინ ხდება ხელისუფლების შევიწროების ობიექტი?

განსაკუთრებით მძიმე დღეში ის ორგანიზაციები არიან, რომლებიც უფლებათა დაცვის საკითხებზე მუშაობენ. თუ ამბობ, რომ მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა უარესდება, ქვეყანაში არიან პოლიტპატიმრები, არის კორუფციის მაღალი მაჩვენებელი, განათლების სექტორი ან ჯანდაცვა არ ვითარდება, შეიძლება ძალიან მალე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდე. არის ოჯახზე ზეწოლის შემთხვევებიც.

სახელმწიფო გრანტის სახით მილიონებს გამოჰყოფს ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აზერბაიჯანში მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილო ახალგაზრდული ჯგუფებიც ცხოვრობენ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ნიგერიულ მოდელს ჰგავს, როცა მთავრობა ახალგაზრდების ერთი ჯგუფის უცხოეთში განათლებას აფინანსებდა, რათა მათი წინააღმდეგობა შეეჩერებინა, გადაებირებინა, პარალელურად კი აპატიმრებდა სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც თანამშრომლობაზე უარს აცხადებდნენ?

შევხედოთ სამედიცინო მომსახურების სფეროს: დღეისათვის მაღალია დედათა და ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მაჩვენებელი. ამას აღნიშნავენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ოჯახებს არ შეუძლიათ შეიძინონ მედიკამენტები, ადამიანები კვდებიან. ვისაც აქვს შესაძლებლობა ისინი სამკურნალოდ ირანში, თურქეთსა და რუსეთში მიდიან. იმისთვისაც კი, რომ ზუსტი დიაგნოზი დაისვას, ადამიანებს სხვა ქვეყანაში უწევთ წასვლა.

ხელისუფლებას ვისიც რეალურად ეშინია, ესენი ახალგაზრდები არიან. ისინი ქვეყანაში სიტუაციის უკეთესობიკენ შესაცვლელად იბრძვიან. ეს ის ახალგაზრდა ხალხია, რომლებმაც განათლება კარგ უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. რომლებიც მუშაობენ საკუთარ თავზე, საკუთარ განვითარებაზე, რომლებიც დემოკრატიის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ ქვეყნის განვითარების გზას ხედავენ. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ჯგუფებსაც თავს ესხმიან. მაგალითად, ახალგაზრდული სამოქალაქო მოძრაობა „ნედას“ 8 წევრი, 17-დან 30 წლამდე ახალგაზრდები, გამოგონილი ბრალდების საფუძველზე დააკავეს. რომ თითქოს მათ გადატრიალების მოწყობა სურდათ და აქციაზე, რომელიც ჯარისკაცების მკვლელობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ავრცელებდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და მოლოტოვის კოქტეილებს, რომ მათ მიიღეს დიდი თანხა აქციაში მონაწილეობისთვის, დააზიანეს მაღაზიები, მანქანები და ჩაიდინეს სხვა მრავალი ხულიგნობა. დაკავებული ახალგაზრდები სასამართლო პროცესების დროს საუბრობდნენ წამებაზე ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან. ერთ-ერთი მათგანი, 17 წლის ბიჭი, აწამეს, ჩაუმსხვრიეს კბილები, სხეულზე ჰქონდა მრავლობითი დაზიანება. მსგავსი დამოკიდებულება აფრთხობს ბევრ ახალგაზრდას, მაგრამ საბედნიეროდ არიან ისეთებიც, რომლებიც აგრძელებენ მოძრაობას.

თუ განათლება არ არის პრიორიტეტი და განათლებული ადამიანი შიშს იწვევს, დაუცველია ადამიანის ელემენტარული უფლებები, მაშინ რაზე შენდება ახალი აზერბაიჯანი, რა ფასეულობებზე აგებენ სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლები?

ხანდახან ჩვენ ვქმნით არჩევნების ილუზიას, ხანდახან ვქმნით ილუზიას, რომ ვებრძვით პრობლემებს, ვიცავთ ადამიანის უფლებებს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად სწორედ ეს იმიტაცია უქმნით ადამიანებს განწყობას, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის. როცა ტელევიზიით მუდმივად ამბობენ – ნახეთ ევროპაში შიმშილია, ქუჩებში მხოლოდ ნარკომომხმარებლები და სექსმუშაკები არიან, ჩვენთან კი რა კარგი მდგომარეობაა, ცხადია ილუზიაში ცხოვრობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების წარმომადგენლები თავად ვერ აცნობიერებენ, რა პრობლემებია ქვეყანაში. ერთი მხრივ, ამბობენ, რომ განათლება მნიშვნელოვანია, მაგრამ მე მოგიტანთ ფაქტებს: თუ ათი წლის წინ ძალადობის მსხვერპლი ქალები მოდიოდნენ „კრიზისცენტრში" და ჩვენ ვთხოვდით დაეწერათ განცხადება, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საკუთარი სახელის დაწერა მაინც ვერ მოეხერხებინათ. რა ხდება დღეს? არსებობს ქალების უზარმაზარი ჯგუფი, რომლებმაც არ იციან ანბანი. გოგონები არ დადიან სკოლაში, მათ ათხოვებენ 13-14 წლის ასაკში. ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა შვილები სკოლაში ატარონ, შეიძინონ სასკოლო ფორმა, ჩანთა, წიგნები. მშობლები ამბობენ, რომ მათი ფინანსური მდგომარეობისთვის უმჯობესი იქნება, თუ გოგონა სახლში დარჩება. ხან კიდევ ამბობენ – „სკოლას რომ დაამთავრებს, მერე რა უნდა ვქნათ? უნივერსიტეტში სწავლას ვერ დავაფინანსებთ, რომც შევძლოთ შემდეგ სად იმუშავებს? იქაც ფულის მიცემა დაგვჭირდება" და ა.შ. ამ ლოგიკის წყალობით ჩვენ ვხედავთ, რომ ქალების განათლების დონე დღითიდღე ეცემა და უარესდება.

შევხედოთ სამედიცინო მომსახურების სფეროს: დღეისათვის მაღალია დედათა და ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მაჩვენებელი. ამას აღნიშნავენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ოჯახებს არ შეუძლიათ შეიძინონ მედიკამენტები, ადამიანები კვდებიან. ვისაც აქვს შესაძლებლობა ისინი სამკურნალოდ ირანში, თურქეთსა და რუსეთში მიდიან. იმისთვისაც კი, რომ ზუსტი დიაგნოზი დაისვას, ადამიანებს სხვა ქვეყანაში უწევთ წასვლა.

სადაც ასეთი ელემენტარული საჭიროებები არ კმაყოფილდება, ასეთი საზოგადოება დეგრადაციას განიცდის, მახინჯდება. ახლო მომავალში ჩვენ ვნახავთ, როგორ აზვირთდება მიგრაციის დიდი ტალღა.

დავუბრუნდეთ ქალთა განათლების საკითხს. არსებობს თუ არა რეალური სტატისტიკა, რამდენი გოგონა ამთავრებს სკოლას?

ასეთი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. განათლების სამინისტროს თუ მიმართავ, იდეალურ სტატისტიკას მოგცემს. არაოფიციალურად გოგონები სკოლაში ირიცხებიან, ჟურნალებში არის ინფორმაცია, შეფასება, ვერ გაიგებ დადიან თუ არა, იმიტომ, რომ მოლაპარაკება ხდება პედაგოგთან, სკოლის დირექტორთან. სკოლას თავად არ უნდა პრობლემები და ამიტომაც ოფიციალური სტატისტიკა გვეუბნება, რომ ისინი სკოლაში დადიან. მაგრამ, როცა თავად მივდივართ რეგიონებში, ყველა ვხედავთ ერთ სურათს. კლასი სავსეა ბიჭებით. ცალკე თუ განვიხილავთ, მოსწავლე ბიჭების რაოდენობაც მინიმალურია. სოფლებში ბავშვები ფაქტობრივად სკოლაში არ დადიან.

თუმცა ართიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ნებისმიერ ფასად ცდილობენ განათლების მიღებას. თუ სიტუაციას მთლიანობაში შეხედავ, ვერ იტყვი, რომ განათლება ინტერესს იწვევს. უფრო სხვა რეაქციებია. უფრო მონური განწყობაა. ისმის შეძახილები, „ის სადღაც გაემგზავრა. ოჰ, რა კარგია", ან „გახსნა რაღაც გამოფენა", მაგრამ არასდროს არ მსმენია „აი, მეც ვიქნები ასეთი", ან „მეც მივაღწევ რამეს". უფრო დაქვემდებარება, მორჩილება იგრძნობა. როცა თავი დახრილი გაქვს, ცხადია, არ გექნება მიზანი და სწრაფვა, სიმაღლეებს მიაღწიო. მიიღო კარგი განათლება. ეს უფრო შემგუებლობას ჰგავს – ჩვენ ვიცხოვრებთ ისე, როგორც ვცხოვრობთ.

თავისუფლების სურვილი?

თავისუფლების სურვილი ცოტას აქვს. რადგან ადამიანებს ესმით, რომ სიტყვა „თავისუფლება" საშიშია. ამაზე საუბარი მხოლოდ ქალაქში, ისიც პატარა ჯგუფებს შეუძლიათ: არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, აქტიურ ახალგაზრდებს და რამდენიმე მედიაორგანიზაციის წარმომადგენელს. მათ გაუმართლათ, ძალიან გაუმართლათ, რომ აქვთ გამოხატვის უნარი. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის, რაც რეგიონებში ხდება. იქ ხშირად არ რთავენ საგანმანათლებლო სემინარების ჩატარების უფლებას. ამისთვის აუცილებელია პრეზიდენტის აპარატის ნებართვა. ახალგაზრდებს არ შეუძლიათ შეიკრიბონ და ისაუბრონ, განიხილონ საკითხები და პრობლემები. შეიძლება უსაფუძვლოდ დაგდონ ბრალი, ჩაგიდონ ნარკოტიკული ნივთიერება. დაგადანაშაულონ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგი ხარ. შეიძლება მშობლებზე ზეწოლა განხორციელდეს.

მაგალითად ლენქორანში, პარტია „მუსავატის" წევრი იაგუბლუ ისეთ ხულიგნობაში დაადანაშაულეს, რომელიც არ ჩაუდენია და რამდენიმე წელიც მიუსაჯეს. გავიხსენოთ ილგარ მამედოვი, პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც საზოგადოებრივი მოძრაობა „რეალის" წევრი იყო. ის ციხეში ზის. ათობით ადამიანი, რომელიც რეალობაზე საუბრობდა, გააჩუმეს. ქვეყანაში 130-ზე მეტი პოლიტპატიმარია. ეს ის ხალხია, რომელთაც არ შეეშინდათ სიტყვის თქმა. ეს ის ხალხია, რომელიც იმიტომ დააკავეს, რომ თავისუფლება სურდათ.

საბედნიეროდ, როგორც იტყვიან, არ დავხოცილვართ და ქვეყანაში კიდევ დარჩნენ თავისუფალი ადამიანები. მაგრამ არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ არის რამდენიმე მილიონი აზერბაიჯანელი, რომელთათვისაც სიტყვა „თავისუფლებას" ტაბუ აქვს დადებული.

ბაქოს სხვადასხვა დასახლებაში ვიყავი, თვალშისაცემია ადამიანთა ჯგუფებს შორის სოციალურ-ეკონომიკური სხვაობა. ასეთივე შეგრძნება მქონდა საზღვრისპირა სოფლებშიც. ეს მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებაა, თუ ის არ არის შორს რეალობისგან?

არა, ნამდვილად ასეა. ეს ჩვენთვისაც თვალშისაცემია. ზოგ ქალაქში ჩინოვნიკების მიერ ფუფუნების

დემონსტრირებამ უკმაყოფილება და დაპირისპირებაც გამოიწვია. საერთაშორისო და რამდენიმე ადგილობრივ გამოცემაში დაიბეჭდა ინფორმაცია მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ადამიანები შეიძლება არ შეწუხდნენ ვინმეს არაკანონიერი დაკავების ფაქტით, მაგრამ წუხდებიან – რატომ აქვს ამა თუ იმ ჩინოვნიკს 250 ათასიანი საათი და რატომ თავად არ არიან ამ ნივთის მფლობელები. ეს ადამიანური ინსტინქტი, ხანდახან იმხელა საერთო უკმაყოფილებას იწვევს, რომ პრეზიდენტიც კი გამოვიდა და გააფრთხილა მოხელეები, რომ თუ არ შეწყვეტდნენ ქონების აფიშირებას, დაკარგავდნენ ადგილს. თუ მათ ქონებას შევადარებთ ექიმის და პედაგოგის ხელფასს, ცხადია დიდ სხვაობას დავინახავთ.

კედელი, რომელიც დასახლებებს გაუყვება ესეც ნაკლებშემოსავლიანი, ღარიბი ფენებისგან დისტანცირების და მათი დაფარვის მცდელობა ხომ არ არის?

ასეა. როცა აეროპორტიდან ან რომელიმე სხვა რეგიონიდან მოდიხარ, გზას მიუყვება კედელი, რომ ხალხმა, რომელიც ამ გზაზე მოძრაობს არ ნახოს, როგორ ცხოვრობენ რეალურად ადამიანები. სადაც განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა და სიდუხჭირეა, იქ კედელი განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამისთვის ძალიან დიდი ფულია დახარჯული.

ცხადია, ეს ჰგავს ბერლინის კედელს, როცა დასავლეთი და აღმოსავლეთი გაყოფილი იყო. ამით უნდათ გაჩვენონ, რომ შენ საწყალი ხარ, შენ ყოველთვის ამ კედლის მიღმა იცხოვრებ. მათთვის, ვინც უზრუნველად ცხოვრობს, არ არის აუცილებელი შენი მძიმე საცხოვრებელი პირობების დანახვით გუნების გაფუჭება. ეს გეტოა.

როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების შეცვლა გადაწყვეტს თუ არა აზერბაიჯანის პრობლემებს?

ხშირად გაიგებ ხალხისგან ასეთ ფრაზას: „მოვა ახალი ხელისუფლება, ისინი მშივრები იქნებიან და უფრო მეტს მოიპარავენ. ვინც ახლაა ხელისუფლებაში, უკვე მაძღრად არიან, საკმარისად მოიპარეს. მოვა დრო, როცა ისინი ნაკლებს მოიპარავენ“. ან მოისმენთ მოსაზრებას – „ვინ არის უკეთესი? მაჩვენეთ, ვინ იქნება იმ ადამიანებზე უკეთესი, ვინც ახლაა ხელისუფლებაში?“.

შეიცვლება თუ არა ხელისუფლების შეცვლით სიტუაცია, ამაზე ვერავინ გიპასუხებთ. იქნებ სასიკეთოდ შეიცვალოს, იქნებ უარესობისკენ. ახლა საუბარი მხოლოდ იმაზეა, რომ ხალხმა თავად აირჩიოს თავისი პრეზიდენტი, თავისი ხელისუფლება.

ესაუბრა ანუნა ბუკია

Radio Commersant

ბიზნესის პერსონალური რადიო

გაიგე, როგორ გახდე წარმატებული

“ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად”, – თქვენ უსმენთ ყოველდღიურ რჩევებს წარმატებული ადამიანებისგან, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დილა იმისთვის, რომ დღის ბოლოს ის წარმატებულად ჩაითვალოს.

გადაცემის ყოვლედღიური სტუმრები ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან და საკუთარ რჩევებს რადიო კომერსანტის მსმენელს უზიარებენ.

ისინი იწყებენ საქმიანობას ადრე დილით, ადგენენ გეგმებს და ანაწილებენ დროს პროდუქტიულად. მსმენელი იღებს პასუხს კითხვებზე, საქმიანობის პირველ საათთან დაკავშირებით.

ყოველ დილით, რადიო კომერსანტის ეთერით, გაიგეთ ჯანსაღი ცხოვრების მარტივი წესი, როგორ დავეხმაროთ გონებას და სხეულს აქტიურად მუშაობისთვის.

„ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთან“

ყოველდღე 09:45. 11:45 საათზე

FM 95.5 სიხშირეზე, - გადაცემა თქვენი წარმატებისთვის!

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955
Commersant.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჰი ეჰის წინააღმდეგ

ირაკლი აბსანძე

ილუსტრაცია: თაბაშირი ნაბეჭდებიდან / ბოლანები

ყველაფერი, რაც აქ და ახლა ხდება, სადმე აუცილებლად მოხდა უკვე. ასეა ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებული აურზაურის შემთხვევაშიც. 2011 წელს მოლდავეთში მართლმადიდებელი კონსერვატორების ბრძოლას კანონის პროექტის წინააღმდეგ ამერიკელი პასტორი და ადვოკატი სკოტ ლაივლი ჩაუდგა სათავეში.

ლაივლი, რომელიც სამშობლოში საკმაოდ საეჭვო რეპუტაციით სარგებლობს, კიშინიოვში მართლმადიდებლობის დასაცავად გამართულ მგზნებარე შეხვედრებზე აცხადებდა:

„სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებული ანტიდისკრიმინაციული კანონი არის თესლი, რომელიც შეიცავს ჰომოსექსუალთა პოლიტიკური გეგმების მთელ ხეს, თავისი შხამიანი ნაყოფით. თუ ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ამოქმედებას დაუშვებ, კანონების და მთავრობის ძალა ჰომოსექსუალ აქტივისტებს ჩაუვარდებათ ხელში და ის ადამიანები, რომლებიც ჰომოსექსუალობას არ ამართლებენ, კრიმინალებად იქცევიან“.

შეთქმულების თეორია თეორიად დარჩა. მოლდაველებმა კანონი მიიღეს და უკვე ერთი თვეა უვიზოდაც დადიან ევროკავშირის ქვეყნებში. ჰომოსექსუალთა დიქტატურის შესახებ მედიაში ჯერჯერობით ცნობები არ გავრცელებულა.

კანონი, რომლითაც სქესის, ეთნიკურობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ადამიანების ჩაგვრა იკრძალება, ყველა იმ ქვეყანაში მოქმედებს, რომელიც თავს დემოკრატიულ სამყაროს მიაკუთვნებს. მათ შორის ევროპის მართლმადიდებლურ სახელმწიფოებშიც. ადამიანის უფლებების დაცვა დასავლური ცივილიზაციის საფუძველი და ანა-ბანაა. კეთილდღეობასა და სამოქალაქო თანხმობაში მცხოვრები დასავლეთის ასეთად ჩამოყალიბება დიდწილად გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა განაპირობა. მაშინ იქ მიმდინარე პროცესებს ახლა „სექსუალურ რევოლუციადაც“ მოიხსენებენ.

ტრადიციული რელიგია იქაც პროცესის გაცხარებული წინააღმდეგი იყო. ჰომოსექსუალური კავშირები კათოლიკეებშიც ისეთივე მძიმე ცოდვად ითვლება, როგორც მართლმადიდებლებში. ამ მხრივ დღესაც არაფერი შეცვლილა. ცოდვა დღესაც ცოდვაა. უბრალოდ, იქ შეთანხმდნენ, რომ არის ცოდვა და არის დანაშაული. არის ერი და არის ბერი. ისინი კი ერთმანეთის საქმეებში არ ერევიან.

საზოგადოების ემანსიპაცია ყველგან რთული იყო და მტკივნეული. თუ ჩვენ თავს დასავლურ კულტურულ სივრცესა და ქრისტიანულ სამყაროს მივაკუთვნებთ, სეკულარული სახელმწიფო ჩვენი ბედისწერაა. სხვა არჩევანი არც არსებობს, რუსეთს თუ არ ჩავთვლით.

როდის დაიწყო სეკულარიზმის კრიზისი უახლეს საქართველოში?

1989 წლის 9 აპრილს პატრიარქმა ილია მეორემ რუსთაველზე შეკრებილ ხალხს დაშლისკენ და ეკლესიებში სალოცავად შესვლისკენ მოუწოდა. მაშინ ხალხი არ დაშლილა – პოლიტიკოსებს დაუჯერეს, პატრიარქს – არა.

„მის უწმინდესობას ჩვენს ცხოვრებაში სახიფათოდ დიდი ადგილი უკავია. იმიტომ, რომ მას მოუწია იმ სიცარიელის შევსება, რაც ჩვენს საზოგადოებაში და სახელმწიფოში სუფევდა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ის, რომ ამ ქვეყანაში შევქმნათ სამართლიანი სასამართლო, სადაც ამქვეყნიური ცოდვა-მადლი გაირკვევა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ძლიერი სახელმწიფოს აშენება, რომელიც შესძლებს დაიცვას ჩვენი მოქალაქეები“, – ეს კი უკვე 2013 წლის 3 იანვარია. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პატრიარქს 80 წლის იუბილეს ფილარმონიის სცენიდან ულოცავს.

ქართველ ხელისუფალთა შორის სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის სურვილისა და ნების ასე ერთმნიშვნელოვნად გამოხატვა მანამდე არავის გაუბედავს. საჯაროდ არავის უხსენებია ერთად „პატრიარქი“ და „სახიფათო“. „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებში აგრესიული ძალის გამოყენებით, მათრახით ალაგმა განსაკუთრებულად რეაქციონერი მღვდლების თავგასულობა, მალევე იგრძნო ეკლესიის ძალა და თაფლკვერის პოლიტიკაზე გადავიდა. ხშირად სადავო საგადასახადო შეღავათებით, საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდითა და ყბადაღებული ჯიპებით „ნაციონალებმა“ სრულიად გარყვნეს სასულიერო იერარქიის ნაწილი. ფული და ძალაუფლება ბერსაც ისე რყვნის, როგორც ერს.

კანონი, რომლის მიხედვითაც სქესის, ეთნიკურობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ადამიანების ჩაგვრა იკრძალება, ყველა იმ ქვეყანაში მოქმედებს, რომელიც თავს დემოკრატიულ სამყაროს მიაკუთვნებს. მათ შორის ევროპის მართლმადიდებლურ სახელმწიფოებშიც. ადამიანის უფლებების დაცვა დასავლური ცივილიზაციის საფუძველი და ანა-ბანაა. კეთილდღეობასა და სამოქალაქო თანხმობაში მცხოვრები დასავლეთის ასეთად ჩამოყალიბება დიდწილად გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა განაპირობა. მაშინ იქ მიმდინარე პროცესებს ახლა „სექსუალურ რევოლუციადაც“ მოიხსენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ხელისუფალთა შორის სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის სურვილისა და ნების ასე ერთმნიშვნელოვნად გამოხატვა მანამდე არავის გაუბედავს. საჯაროდ არავის უხსენებია ერთად „პატრიარქი“ და „სახიფათო“. „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებში აგრესიული ძალის გამოყენებით, მათრახით ალაგმა განსაკუთრებულად რეაქციონერი მღვდლების თავგასულობა, მალევე იგრძნო ეკლესიის ძალა და თაფლკვერის პოლიტიკაზე გადავიდა. ხშირად სადავო საგადასახადო შეღავათებით, საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდითა და ყბადაღებული ჯიპებით „ნაციონალებმა“ სრულიად გარყვნეს სასულიერო იერარქიის ნაწილი. ფული და ძალაუფლება ბერსაც ისე რყვნის, როგორც ერს.

ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის პოსტსაბჭოური ძლევამოსილება ბნელ 90-იანებში იღებს სათავეს. სამოქალაქო და ანტი-სეპარატისტული ომებით, ეკონომიკური სიდუხჭირით, უშუქობით, უსამართლობით, უიმედობით გატანჯული და სასოწარკვეთილი ადამიანები ხსნას ირაციონალურშიღა ხედავდნენ. სულიერებისგან, სამწუხაროდ, ხშირად დაცლილ რიტუალებსა და ქცევებში პოულობდნენ შვებას. როგორც ერში, ასევე ბერში ამას განათლების მკვეთრმა დეფიციტმაც შეუწყო ხელი. ქვეყნის ყველა კუთხეში სოკოებივით ამოზრდილ „სარდაფის უნივერსიტეტებში“ ნასწავლ პედაგოგებთან, ექიმებთან, იურისტებთან ერთად მომრავლდნენ ემპირიულად გაუნათლებელი მღვდლები.

საბჭოთა საქართველოს ნანგრევებზე სახელმწიფოს მეთაურად მოსკოვიდან დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძეს ეკლესიისთვის ანგარიშის გაწევა თავიდანვე უხდებოდა. პოლიტიკოსს, რომლისთვისაც ათეული წლების მანძილზე მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა, სულ უფრო ხშირად ვხედავდით ხოლმე ეკლესიებში, ანთებული სანთლებით ხელში. ჭარმაგი შევარდნაძე მეორედ მოინათლა კიდეც. ნათლია პატრიარქმა მას ნათლობის სახელად გიორგი შეურჩია. „თეთრ მელად“ წოდებულმა პოლიტიკოსმა ეკლესიასთან ურთიერთობაშიც კონიუნქტურას მიყოლისა და მუდმივი ბალანსის პოლიტიკა აირჩია. ის იყენებდა ეკლესიის ავტორიტეტს, რა დოზითაც სჭირდებოდა ხოლმე, თუმცა დროდადრო ბრჭყალებსაც აჩენდა. ასე მაგალითად, 1995 წლის 25 დეკემბერს, ოპერის თეატრში, პატრიარქის აღსაყდრების იუბილეზე, შევარდნაძემ ღიად ისაუბრა საკუთარ როლზე ილია მეორის პატრიარქად კურთხევის საქმეში. მაშინ ეს ბევრმა ეკლესიის უმაღლეს იერარქებზე მისი გავლენის დემონსტრაციად მიიჩნია.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში დაწყებული მოდერნიზაციის პროცესი ეკლესიას არ შეხებია. დაპირისპირების ხანმოკლე ფაზის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა მღვდელმთავრების ლოიალობის პრივილეგიებითა და ფულით მოსყიდვა დაიწყო. ამით მან ერსაც და ბერსაც ცუდი სამსახური გაუწია. სააკაშვილი ეკლესიის ავტორიტეტს ხშირად პოლიტიკური პროცესის სამართავად იყენებდა. 2008 წლის 25 მარტს ოპოზიციის ლიდერებმა ჩვიდმეტდღიანი შიმშილობის აქცია ისე შეწყვიტეს, რომ ვერ აიძულეს ხელისუფლება დათმობებზე წასულიყო, რომლებიც ძირითადად საარჩევნო საკითხებს შეეხებოდა. შიმშილობის შეწყვეტა პოლიტიკოსებს პარლამენტის წინ მისულმა პატრიარქმა სთხოვა. „ქვეყანაში ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც მის უწმინდესობას სურს“, – აცხადებდა მაშინ საპროტესტო მოძრაობის არაფორმალური ლიდერი, მომღერალი გია გაჩეჩილაძე (“უცნობი“).

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე ქართული საეკლესიო და პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის შოკისმომგვრელად ღიად განაცხადა, რომ ის ათეისტია. მართალია, მას ამ განცხადების რელატივირება მალევე მოუხდა (მაგალითად, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საქმეში მისი წვლილის მოშველიებით), მაგრამ ივანიშვილის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის (საზოგადოებაში დღეს დამკვიდრებული გაგებით) ცოტას თუ სჯერა, განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ. ფაქტით უკმაყოფილო სასულიერო პირები და პოლიტიკური ქულების მიღების იმედით მათთან მიტმასნილი პოლიტიკოსები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს კანონისთვის ხმის მიცემაზე თანხმობა ივანიშვილმა 25 აპრილის დახურულ შეხვედრაზე „თითის ქნევით“ აიძულა.

თუ კოალიციის სიჭრელეს გავითვალისწინებთ, ეს ვერსია სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, რამ დააყენა ერთ ჭკუაზე, მაგალითად, სოსო ჯაჭვლიანი და ლევან ბერძენიშვილი.

პოლიტიკური აქტის დრამატურგიულად ბოლო აკორდი იყო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ხმამაღლა წაკითხული იმ დეპუტატების სია, რომელთა მომხრე ხმები კომპიუტერულმა სისტემამ არ აღრიცხა. განგების უცნაურობით ამ სიაში განსაკუთრებულად „ღვთისმოსავი“ პარლამენტარები მოხვდნენ. უცნაური, მაგრამ ახსნადია ისიც, რომ კანონპროექტზე კენჭისყრისას დარბაზში არმყოფთა უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი აღმოჩნდა.

ამ ყველაფერს ქუთაისის პარლამენტის შუშაბანდებში გამართული ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა უძღოდა წინ. როგორც პოლიტიკური ბრძოლების კონიუნქტურა მოითხოვს, ფრონტის ხაზზე ეკლესიის პოზიციას რადიკალები განსაკუთრებით იცავდნენ. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მოსმენაზე რამდენჯერმე ღია მუქარამაც გაიჟღერა. საპატრიარქოს ოფიციალური განცხადებების ტონი უფრო მოზომილი იყო, ჩანდა უკიდურესად რადიკალი მღვდლებისგან დისტანცირების მცდელობა. თუმცა უმაღლესი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლები ზოგიერთი სასულიერო პირის აშკარად შავრაზმულ განცხადებებს არც ამ მოზომილ გზავნილებში გამიჯნვია. სამაგიეროდ, მყისიერი იყო პატრიარქის სამდივნოს რეაქცია, როცა პარლამენტში გამართული დახურული შეხვედრიდან გამოსულმა მღვდლებმა თქვეს, რომ პროექტში საფრთხეს ვეღარ ხედავდნენ. ეკა ბესელიას მიერ სასწაულებრივად გადარწმუნებული მღვდლების მიერ ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარები საპატრიარქომ მალევე გამოაცხადა ამ მღვდლების კერძო პოზიციად.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს პარლამენტში ერთხმად მიღებული კანონი საზოგადოების კონსენსუსის ნაყოფი მაინც არ არის. ისინი, ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონში ერის გადაგვარების საფრთხეს ხედავდნენ, დღესაც ასე ფიქრობენ. ასეთები, სავარაუდოდ, კანონპროექტის მხარდამჭერ დეპუტატებშიც არიან. გამოსავალი მხოლოდ ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის დიალოგშია. ეს არ არის იოლი, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს.

სახელმწიფოსა და ეკლესიის – ერისა და ბერის, ერთმანეთისგან მშვიდობიანი გაყრის ყველაზე ოპტიმალური გზა „უღმერთოთა პარტიად“ შერაცხული „რესპუბლიკელების“ ლიდერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ შემოგვთავაზა. 21 თებერვალს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გიორგი მარგველაშვილის გამოსვლის შემდეგ უსუფაშვილმა თქვა: „ამ ტიპის პრეზიდენტის მთავარი ამოცანა მისი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში არის ის, რომ შეუმსუბუქოს ტვირთი საქართველოს სულიერ ლიდერს, მის უწმინდესობას. საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეუმსუბოს მორალური ავტორიტეტობის ის ტვირთი, რომელიც მას აწევს“.

ჯერ რთულია ნათლად დავინახოთ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული ეს კანონი – ამისთვის ძალიან ცოტა დროა გასული. და ჰომოსექსუალთა უფლებები აქ სულაც არ არის მთავარი. კანონი ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ სეკულარული სახელმწიფოსკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. სეკულარული სახელმწიფო კი ჩვენი ბედისწერაა, თუ თავს დასავლური კულტურული სივრცისა და ქრისტიანული სამყაროს წევრად მივიჩნევთ. სხვა ქვეყნების მაგალითები უკვე გვაქვს. ყველაფერი, რაც აქ და ახლა ხდება, სადმე ხომ აუცილებლად მოხდა უკვე.

ნინო ჯაფიაშვილი, ჟურნალისტი

თავდაპირველად, როცა „ლიბერალის“ შექმნა გადავწყვიტეთ, ვფიქრობდით, რომ ეს სიღრმისეული, ანალიტიკური და მაღალი სტანდარტების მქონე გამოცემა უნდა ყოფილიყო. ჟურნალი სრულყოფილი არასდროს იბადება. ეს იყო ჯანსაღი და თანამედროვე თესლი, რომელიც მომავალში უნდა გაღვივებულიყო. „ლიბერალის“ განვითარება სხვაგვარადაც შეიძლებოდა, თუმცა ამ წლების განმავლობაში ის ბევრ პრობლემას წააწყდა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით ერთ-ერთი საინტერესო გამოცემაა და აქ ყოველთვის თავს იყრიდნენ ჯანსაღი, ენთუზიაზმით სავსე, ნამდვილი ჟურნალისტიკის მოყვარულები და ბლოგერები. ახლა, სიმართლე გითხრათ, ინტენსიურად ვეღარ ვადევნებ თვალყურს, მაგრამ მგონია, რომ „ლიბერალმა“ ერთ-ერთი საუკეთესო იმიჯი შეიქმნა და ყოველთვის, როცა მასზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ყველა ერთ პოზიციაზე ვართ და ვაღიარებთ, რომ ეს მედიასაშუალება ერთ-ერთი კარგი მედიაპროდუქტის შემქმნელია.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

"ეს პი პიის ის სისტემა, სადაც სასჯელს ანგელოზები ისდიან, მათ ჰი მთავარანგელოზები ემსახურებიან"

ინტერვიუ საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბართან

დავიწყოთ ბოლოს გახმაურებული ფაქტით. რამდენიმე კვირის წინ სახალხო დამცველმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ N8 დაწესებულების პატიმრები ციხის თანამშრომლებს ფიზიკურ ზეწოლაში ადანაშაულებდნენ. ეს აჩენს ეჭვს, რომ ციხის ადმინისტრაცია პატიმრებთან ურთიერთობის ძველ მეთოდებს იყენებს. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ომბუდსმენის მიერ გაცხადებულ ფაქტზე და დაიწყო თუ არა გამოძიება?

საუბარი იყო სამ ფაქტზე და სამივე მათგანზე გამოძიება სახალხო დამცველის განცხადებამდე ბევრად ადრე დაიწყო. ექსპერტიზა ჯერ არ ჩატარებულა და ჩატარდება თუ არა, ამას პროკურატურა გადაწყვეტს. მაგრამ ჩვენმა სამედიცინო ნაწილმა ყველა დაზიანება სრულად აღწერა.

ეს ის უწყებაა, სადაც მუდმივად იქნება ჩივილი, რომ ვიღაცამ ვიღაცას სცემა, ვიღაცამ ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენა, ვიღაცამ ვიღაცას ღირსება შეულახა. ამ განცხადების ნაწილი მართალი იქნება, ნაწილი – გადაჭარბებული, ნაწილი – აბსოლუტური ტყუილი. იქნება თვითდაზიანების შემთხვევებიც, რომელსაც ადმინისტრაციის მიერ მიყენებულ დაზიანებად

გაასაღებენ ან ეცდებიან გაასაღონ, იქნება ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებისგან მიყენებული დაზიანებები. ეს ყოველთვის იქნება... ეს არ არის სისტემა, სადაც ამას შეიძლება გავექცეთ, სადაც სასჯელს იხდიან ანგელოზები, მათ კი მთავარანგელოზები ემსახურებიან.

ლამის ნახევარი თბილისი მოვიდა და იმ პატიმრის დახმარება მთხოვა, რომელმაც ციხის თანამშრომელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. დერეფანში დამონტაჟებული კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, რომ ციხის თანამშრომელი მიუთითებს კარისკენ, ამის შემდეგ ეს ადამიანი ტრიალდება, კონტროლიორს აფურთხებს, სახეში ხელს ურტყამს და წიხლს იქნევს. თუმცა წიხლი მოხვდა თუ არა, ეს აღარ ჩანს. ჩვენებებით ირკვევა, რომ კონტროლიორი მას კამერაში შესვლას სთხოვდა. ამას რამდენიმე ადამიანი, მათ შორის პატიმარიც ადასტურებს. და ამას მოჰყვა აგრესია. იმ პატიმრის საქციელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება. ამ პატიმრის ქმედებები იქვე რომ აღკვეთილიყო, მას დაზიანება მიეღო და მერე ეჩივლა, იტყოდნენ, ფიზიკური ზეწოლა განხორციელდაო. ვინმე ალბათ დაიჯერებდა კიდეც, ვიდეოზე გადაღებული რომ არ ყოფილიყო. ბუნებრივიც იქნებოდა, რომ მისი ქმედების აღკვეთის მიზნით მასზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელებულიყო.

გელა ნიკოლეიშვილმა მითხრა – ახლა ზედამხედველების უფლებების დაცვაზეც უნდა ვიზრუნოთ, რადგან პატიმრები შეურაცხყოფის მიყენებაზე არიან გადასულები.

ის, რომ ამ სისტემაში შეურაცხყოფის ფიზიკური და ვერბალური ფორმების აღკვეთა კანონით გათვალისწინებული ფიზიკური ძალის გამოყენების გარეშე მოხდეს, გამორიცხულია. მაგრამ გამოყენებული ძალა ყოველთვის პატიმრის მხრიდან წამოსული აგრესიის ადეკვატური უნდა იყოს. ასევე არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ციხის რომელიმე თანამშრომელი ან დირექტორი ზედმეტად მკაცრად იქცეოდნენ. ამიტომ ეს საკითხი მუდმივი ძიების, დაკვირვებისა და ბალანსის დაცვის საგანი უნდა იყოს.

ოქროს შუალედი აქ არ არსებობს. ისარი სულ იქნება გადახრილი ხან თავაშვებულობისკენ, ხან – ზედმეტი სიმკაცრისკენ. სამინისტრო სწორედ იმიტომ ატარებს პოლიტიკას, რომ მუდმივად შეგვეძლოს ხარვეზების გამოსწორება და შუალედური პოზიციის დაკავება შევძლოთ. სრულყოფილი წესრიგის დამყარება შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქონამდე შეუძლებელია.

ლიდერის ინსტიტუტი არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ციხეში არსებობს და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ის ასე იყო ფეხმოკიდებული, ეს არაერთხელ ვაღიარეთ. მაგრამ ასეთი პატიმრები ერთად მკაცრი ტიპის N7 დაწესებულებაში არიან თავმოყრილები.

თუმცა გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ისარი ცალ მხარეს ზედმეტად იხრება, ანუ იმის გამო, რომ რიგ შემთხვევებში ციხეების ადმინისტრაციების თანამშრომლები ვეღარ იყენებენ ძველ მეთოდებს, ციხეებში ვითარებას პატიმრები აკონტროლებენ და სიტუაციის დარეგულირებაში ადმინისტრაციას ქურდული სამყაროს წარმომადგენლები ეხმარებიან.

ეს ტყუილია... ის, რომ ზოგადად ლიდერის ინსტიტუტი არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ციხეში არსებობს და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ის ასე იყო ფეხმოკიდებული, ეს არაერთხელ ვაღიარეთ. მაგრამ ასეთი პატიმრები ერთად მკაცრი ტიპის N7 დაწესებულებაში არიან თავმოყრილები.

ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები და უფლებადამცველები ხდებიან იმ საზოგადოებრივი აზრის ტყვეები, რომლებსაც პატიმრები ქმნიან. საკმარისია ციხეში მოხდეს პატარა შეთქმულების მსგავსი რამ – იმ მიზნით, რომ მედიასაშუალებებმა მასზე დაწეროს, იმდენი ზარი მიდის ციხიდან, მშობლებიდან, ისეთი ორკესტრირებული დაბომბვა ხდება, რომ შესაძლოა ადამიანმა ბოლომდე არც დაიჯეროს, მაგრამ მათი თავიდან მოშორების მიზნით რაღაც თქვას, ფეისბუქზე დაწეროს ან რამე ზომა მიიღოს. ასეც ხდება ხოლმე...

თუმცა დადასტურებული ფაქტია, რომ ციხეებში არიან დისკრიმინირებული პატიმრები, სამკლაურები უკეთიათ და ადამიანისთვის დამამცირებელი საქმის შესრულება უწევთ.

ამ შემთხვევაში საუბარია სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებზე, რომლებიც განცალკევებით ცხოვრობენ და რომელთა მიმართაც საზოგადოებაშიც და მით უმეტეს ციხეში კლიშეები არსებობს. ეს კლი-

ბობი ბვახაჩია, ჟინომსოდნე

5 წლის წინ, როცა „ლიბერალის“ პირველი ნომერი გამოვიდა, ვამბობდი, კარგი ჟურნალია, მაგრამ მე არ ვარ ლიბერალი, ამიტომ სტატიებს აქ ვერ დავბეჭდავ-მეთქი. 5 წელი გავიდა, დავბერდი და დავჭკვიანდი, მარცხნიდან ცენტრისკენ გადავიხარე და ვგრძნობ, რომ უკვე ჟურნალის სათაურიც მომწონს. ნამდვილად ვიცი, რომ ლიბერალი ვარ და ეს ჩემი ჟურნალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეები ძველი საბჭოთა სისტემიდან მოდის, ძალიან მყარია და მისი უცებ მოშორება შეუძლებელია.

რამდენიმე კვირის წინ ესპანეთში ვიყავით, სადაც 1 700-კაციან ციხეში ექვსმა ქართველმა პატიმარმა გამოაცხადა, რომ თუკი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები მათ კორპუსში მოხვდებოდნენ, არ აცოცხლებდნენ. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, მათ ამ მოთხოვნას დამორჩილებოდა.

თქვენ გინდათ, რომ საქართველოს ციხეებში, სადაც თითქმის ყველა ასე აზროვნებს, ეს ერთი ხელის დაქნევით მოვსპოთ?! ეს შეუძლებელია. რა თქმა უნდა, დისკრიმინაციულია, როცა ისინი ცალკე ცხოვრობენ და განმასხვავებელი ნიშანი აქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მათი დაცვის საშუალებაა. ზოგ დაწესებულებაში შეიძლება დადიოდნენ სამკლაურებით. მე შემიძლია ერთ დღეში გავაუქმო ეს, მაგრამ შესაძლოა ამას უფრო მძიმე შედეგი მოჰყვეს, მაგალითად, რომელიმე პატიმრის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას. ვინ აგებს ამაზე პასუხს?!

შრომას რაც შეეხება, ეს საკითხი ადრე სხვაგვარად იყო. ახლა მოწესრიგებულია. ანუ თუკი პატიმარი რაიმე სამუშაოს ასრულებს, ის ამაში ხელფასს სახელმწიფოსგან იღებს და არა სხვა პატიმრებისგან. ამით პატიმრები ძალიან კმაყოფილები არიან. ადრე ნებისმიერ შესრულებულ სამუშაოში, მაგალითად, მაღაზიაში გაგზავნა, დალაგება, საჭმლის დარიგება თუ ა.შ. პატიმრები შეგროვებული საერთო ფულიდან სხვა პატიმრებისგან იღებდნენ ანაზღაურებას. ეს შიდა კანონებით იყო მოწესრიგებული. მართალია, დღეს ხელფასი ნაკლებია. განსაკუთრებით ბრიგადირებისთვის, რომელთა ხელფასები თვეში 7000-8000-მდე ადიოდა 2-3 წლის წინ. ახლა ისინი 200 ლარს იღებენ, მაგრამ სახელმწიფოსგან. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები 160 ლარს იღებენ და ძალიან კმაყოფილები არიან.

შეიცვალა სოციალური სტრუქტურაც, მანამდე თუ ეს დამამცირებელ სამუშაოდ ითვლებოდა, ახლა ასე აღარაა. შეიცვალა დასაქმებული პატიმრების სოციალური სტატუსიც.

ორიოდ სიტყვით ციხის ადმინისტრაციის ძველი კადრების შესახებ, რომლებიც პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პოტენციური მონაწილეები არიან. რამდენი მათგანი რჩება ამჟამად თანამდებობაზე?

ძველი თანამშრომლები რჩებიან, მაგრამ ყველა ის თანამშრომელი, რომელიც იდენტიფიცირდა, როგორც წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ქმედების მონაწილე, გათავისუფლებულია ან მათი საქმე ძიებაშია.

პატიმრების კლასიფიკაცია რისკის მიხედვით უნდა მოხდეს და არა სასჯელის ზომის. შეიძლება პატიმარს უვადო თავისუფლების აღკვეთა ჰქონდეს მისჯილი, მაგრამ ამ მომენტში რისკის შემცველი აღარ იყოს. მაგრამ შეიძლება ვინმე გადასახადების გადაუხდელობის გამო იყოს დაპატიმრებული, მაგრამ ახლა მაღალი რისკის შემცველი იყოს.

თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მათგანი ისევ რჩებოდეს თანამდებობაზე. ამ მხრივ ციხეებში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ქართულ ჟურნალისტიკაში, სადაც ძველი ნაციონალური ლიდერების უმრავლესობა ადგილზე რჩება და მათი ნაწილი ისევ ისე ემსახურება სიცრუეს, როგორც ადრე.

არ გამოვრიცხავ, რომ ის, ვინც, ვთქვათ, N8 დაწესებულებაში მსგავსი ქმედების მონაწილე იყო, სხვაგან გადავიდა და თვალს მიეფარა. თუკი რომელიმე პატიმარმა ამოიცნო ის და დადგინდა, რომ ის ზემოხსენებული ქმედებების მონაწილე ნამდვილად იყო, შესაბამის ზომებს ვიღებთ. პოლიტიკა გვაქვს ასეთი – მათი ადგილი ჩვენთან არ არის.

პატიმართა გადანაწილებაზე რას გვეტყვით? ციხეების გადატვირთულობის პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა, თუმცა მაინც ხდება ისე, რომ ისინი არასწორად არიან გადანაწილებული. როდის გეგმავთ მათი კლასიფიკაციის დაწყებას და შესაბამის დაწესებულებაში განთავსებას?

პატიმრების კლასიფიკაცია რისკის მიხედვით უნდა მოხდეს და არა სასჯელის ზომის. შეიძლება პატიმარს უვადო თავისუფლების აღკვეთა ჰქონდეს მისჯილი, მაგრამ ამ მომენტში რისკის შემცველი აღარ იყოს. მაგრამ შეიძლება ვინმე გადასახადების გადაუხდელობის გამო იყოს დაპატიმრებული, მაგრამ ახლა მაღალი რისკის შემცველი იყოს.

შესაბამისი კანონი ძალაში აპრილის მეორე ნახევარში შევიდა. თუმცა მულტიდისციპლინარული ჯგუფების შექმნას, რომელიც პატიმართა კლასიფიკაციას მოახდენს, გარკვეული დრო სჭირდება. ყველაფერი ერთ დღეში არ ხდება. კლასიფიკაციის კრიტერიუმებზე მუშაობა დაწყებულია, შეიქმნება ჯგუფებიც, დავიწყებთ კლასიფიკაციას და პატიმართა ამის მიხედვით გადანაწილებას.

თუმცა ეს გადანაწილებაც ჯერ ვერ იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც გვინდა, რომ იყოს. რადგან ამას შესაბამისი ინფრასტრუქტურა სჭირდება. როდესაც გადაწყდება, რომ ეს არის მაღალი რისკის პატიმარი, ის შესაბამის დაწესებულებაში უნდა მოათავსონ. ჯერჯერობით მაღალი რისკის ერთადერთი, N7 დაწესებულება გვაქვს. იქ ძალიან ცოტა ადგილია და იმ ადგილების გამო გვაკრიტიკებს ომბუდსმენი, ნაწილობრივ სამართლიანად, რომ პატიმრებისთვის ადეკვატური პირობები არ არის.

ამიტომ, როცა შესაბამისი ციხეები აშენდება, ლაითური, დაბალი რისკის დაწესებულებები და ა.შ. მერე სრულად ამოქმედდება კლასიფიკაცია.

პატიმართა კლასიფიკაციის გადადება ალბათ შესაძლებელია. მაგრამ N7 დაწესებულებაში ამჟამადაც არიან პატიმრები. როგორ ფიქრობთ, რა ვადებში შეძლებთ ლაითურის აშენებას, რომ ეს პატიმრები ნორმალურ პირობებში გადავიდნენ?

N7 დაწესებულებასთან დაკავშირებულ კრიტიკაში ომბუდსმენს მე ბოლომდე არ ვეთანხმები. ცხადია, ვეთანხმები იმაში, რომ ის დროებითი მოთავსების იზოლატორად აშენდა და არა როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულება. შესაბამისად პირობები გრძელვადიანი ყოფნისთვის არ იყო გათვალისწინებული. მაგრამ დღეს იქ ეს პირობები მაქსიმალურად შექმნილია, გაცილებით ნაკლები ადამიანია იქ, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის დროს იყო – მათი რიცხვი 100-ს აღემატებოდა. დღეს ასე 40-ის ფარგლებშია. შესაბამისად, იმის თქმა, რომ გადატვირთულობის პრობლემაა და სივრცე არ არის, ამაში მას ვერ დავეთანხმები.

ისევე როგორც ვერ დავეთანხმები, რომ არ არის საკმარისი ჰაერი და ვენტილაციის სისტემა. დავაყენეთ ვენტილაციის ახალი სისტემა, რომელიც ჯერ არ ჩაგვირთავს. როდესაც სახალხო დამცველი ან რომელიმე პატიმარი წერს, რომ ეს სტანდარტებს არ შეესაბამება, ის მაინც ხომ უნდა მანახო, რა სტანდარტებზეა საუბარი. პირიქით, იქ ვენტილაციის ძალიან კარგი სისტემაა, რომელიც პატიმრებს სუფთა ჰაერით უზრუნველყოფს.

ის, რომ სასეირნოები ისეთი არ არის, როგორიც შეიძლება ვნახოთ, მაგალითად, ნორვეგიის ციხეებში, ამას ვეთანხმები. ეს პრობლემა აღარ იქნება მაშინ, როცა დაახლოებით წელიწადნახევარში ლაითურის ციხე აშენდება.

ნორვეგიული სტანდარტებისგან და შუშებიანი ციხეებისგან ძალიან შორს ვართ. თუმცა ხომ შესაძლებელია, რომ ჩვენს ციხეებში ელემენტარული ადამიანური პირობები არსებობდეს?!

მეც ამის თქმა მინდა, რომ იქ არაა არაადამიანური პირობები. არ არის გადატვირთული, არ არის ნესტი. ესაა მკაცრი ციხე. ზოგადად ადამიანები თვითონ ირჩევენ, როგორ მოვეპყროთ მათ. როცა ვიცით, რომ ადამიანს გავიყვანთ თუ არა ღია ზონაზე, ის ყველა დანარჩენის დამორჩილებას შეეცდება, თქვენ მერე ნახეთ საკნის მაყურებლები. ამ შემთხვევაში ამ ადამიანმა თვითონ გვაიძულა, რომ იზოლირებულ გარემოში ვამყოფოთ.

დიახ, მაგრამ მკაცრ პირობებში ყოფნა ხომ ცუდ პირობებს არ გულისხმობს?!

ცუდ პირობებში არ არიან. მათ აქვთ 3-ჯერ მეტი ფართი, ვიდრე 2 წლის წინ ჰქონდათ. როცა ლაითურს ავაშენებთ, სადაც თითოეულ პატიმარს 17 კვადრატული მეტრი ექნება, ბევრად უკეთეს პირობებში იქნებიან. თუმცა იქაც ძალიან მკაცრი პირობები იქნება. მანამდე ერთი გამოსავალია – ან ზონებზე გავუშვათ და ქურდული კანონებით ვმართოთ ისინი, ან ციხიდან გავუშვათ. ამისთვის კი არსებობს ერთი გზა – არ ჩაიდინო დანაშაული.

რაც შეეხება ვადამდე ადრე გათავისუფლების საბჭოების მუშაობას. რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნებულ ანგარიშში ომბუდსმენმა მათი მუშაობა გააკრიტიკა. თქვა, რომ შეფასების სისტემა ზედაპირულია, რეალურ სურათს ვერ ქმნის და ამის გამო ბევრი ისეთი პატიმარი რჩება ციხეში, ვინც გათავისუფლებას იმსახურებს. რეალურად როგორია ეს კრიტერიუმები და რას აკეთებს სამინისტრო მათ დასახვეწად?

ომბუდსმენის ანგარიში, ამ საკითხის პრეზენტაციაზე მისსავე ზეპირ გამოსვლას თუ დავეყრდნობით, იყო მოძველებული და არასწორი. ამ წელიწადნახევარში, რაც ჩვენ მოვედით 300-ზე მეტი ადამიანი გათავისუფლდა და 10 000-ზე მეტს უარი ეთქვა. იქ კი 50 საქმე იყო განხილული. თანაც არა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, არამედ იმის მიხედვით, ვინც ყველაზე მეტს ჩიოდა. ეს რეალურ სურათს ვერ შექმნის. თანაც ეს უკვე რამდენიმე თვის მოძველებული იყო. ჩვენ სრულიად ახალი სტანდარტებით ვადგენთ დახასიათებას. მანამდე ის ერთგვერდიანი იყო და ყველანაირ ინფორმაციას იტევდა. ახლა მრავალგვერდიანია, სადაც მხოლოდ ის კი არ წერია, რა ჩაიდინა დამნაშავემ, არამედ ყველაფერია ასახული - რას ფიქრობენ ფსიქოლოგი და უსაფრთხოების ინსპექტორი, ციხის დირექცია. როცა საჭიროა, ის ფსიქიატრის დახასიათებასა და სამედიცინო დასკვნასაც მოიცავს.

ხშირია შემთხვევები, როცა პატიმრებთან ზეპირი გასაუბრება ხდება. ეს 100%-ით დანერგილია ბავშვთა და ქალთა დაწესებულებებში.

თანაც არ არსებობს სრულყოფილი კომისია და საბჭო. გარეგნულად ერთნაირ საქმეზე კომისიას შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეს, რადგან ინდივიდუალური ფაქტორებია გასათვალისწინებელი – დაზარალებულის პოზიცია, შეღავათი მისი ოჯახის მდგომარეობის გამო და ა.შ. ეს

ნასა ფეიაძე, ჰუმანიზანი მებალე

„ლიბერალი“ ჩემთვის სიახლეების ის „დოზაა“, რომლითაც მოვლენებს არც ჩამოვრჩები და არც ზედმეტი მომივა. ინტერნეტსივრცე ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროა და „ლიბერალის“ არსებობა ერთგვარი გარანტიაა ჩემთვის, რომ მნიშვნელოვანი არაფერი გამომრჩეს. განსაკუთრებით გარემოს დაცვის სფეროს აღვნიშნავდი. ხშირ შემთხვევაში პირველად და ობიექტურად სწორედ „ლიბერალისგან“ ვიგებ ყველა საინტერესო სიახლეს ან ანალიზს. ამ მედიასაშუალებისგან ყოველთვის ველი ლაკონიურად დაწერილ მნიშვნელოვან თემებს, ხარისხიან ვიზუალსა და სტაბილურობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი კრიტერიუმებში შეიძლება არც ეწეროს, მაგრამ კომისიამ უნდა გაითვალისწინოს. ყურადღება ბევრ ფაქტორს ექცევა. ახლა მინიმუმ 3 საბჭოა, გვინდა 5-მდე გავზარდოთ.

ძველმა საბჭოებმა და კომისიამ 2 წლის განმავლობაში 44 პატიმარი გაუშვა.

არასრულწლოვან მსჯავდებულთა განათლებაზე მინდა გკითხოთ. 2010 წლიდან დღემდე 12 მათგანმა (მათ შორის ერთმა – 2013 წელს) ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ მათგან მხოლოდ სამი გათავისუფლდა ციხიდან. რა იყო დანარჩენების ციხეში დატოვების მიზეზი და საერთოდაც, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მსჯავრდებული, რომ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გათავისუფლდეს?

ადამიანი რომ გამოცდებს აბარებს და თან ადამიანს კლავს, ის გარეთ უნდა იყოს? გამოცდების ჩაბარება არაა კრიტერიუმი. კრიტერიუმი ისეთივეა, რაც სხვების შემთხვევაში – დანაშაულის ტიპი. გამოცდების წარმატებით ჩაბარება შეიძლება ერთ-ერთი შემამსუბუქებელი ფაქტორი იყოს, მაგრამ არა გადამწყვეტი. ამას საბჭო ითვალისწინებს. მაგრამ როცა საქმე მძიმე დანაშაულს ეხება და საბჭო ან კომისია ჩათვლის, რომ სასჯელმა მიზანს ვერ მიაღწია და ის ჯერ კიდევ საფრთხეს წარმოადგენს გარშემო მყოფებისთვის, მხოლოდ გამოცდების ჩაბარების გამო ვერ გაუშვებენ.

თუმცა მე ამ საკითხზე განათლების მინისტრთან ბევრჯერ მილაპარაკია. ის მოდიოდა და ძალიან შეწუხებული მთხოვდა, იქნებ რამე მოვუხერხოთ ასეთ მსჯავრდებულებს, რადგან სკოლის მასწავლებლები მას დადებითად ახასიათებენო. მეც მქონდა ამის სურვილი. მაგრამ მისი გაშვების მერე რომ რამე მოხდეს, საზოგადოებასაც ხომ უნდა გავცე პასუხი?!

ქალ მსჯავრდებულებს რაც შეეხება, წლების განმავლობაში მათ ჰიგიენურ საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ახლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

ომბუდსმენის ანგარიში, ამ საკითხის პრეზენტაციაზე მისსავე ზეპირ გამოსვლას თუ დავეყრდნობით, იყო მოძველებული და არასწორი. ამ წელიწადნახევარში, რაც ჩვენ მოვედით 300-ზე მეტი ადამიანი გათავისუფლდა და 10 000-ზე მეტს უარი ეთქვა. იქ კი 50 საქმე იყო განხილული. თანაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით კი არა, არამედ იმის მიხედვით, ვინც ყველაზე მეტს ჩიოდა. ეს რეალურ სურათს ვერ შექმნის. თანაც ეს უკვე რამდენიმე თვის მოძველებული იყო. ჩვენ სრულიად ახალი სტანდარტებით ვადგენთ დახასიათებას. მანამდე ის ერთგვერდიანი იყო და ყველანაირ ინფორმაციას იტევდა. ახლა მრავალგვერდიანია, სადაც მხოლოდ ის კი არ წერია, რა ჩაიდინა, არამედ ასახულია ყველაფერი - რას ფიქრობენ ფსიქოლოგი და უსაფრთხოების ინსპექტორი, ციხის დირექცია. როცა საჭიროა, ის ფსიქიატრის დახასიათებასა და სამედიცინო დასკვნასაც მოიცავს.

ძირითადი საჩივარი, რაც დღეს ქალბატონებისგან მოდის, არის ის, რომ გარეთ ყოფნა უნდათ. მუდმივად გამოჩნდება თემა, რომელიც რაღაც მომენტში აჟიტირებული იქნება, თუმცა მათ რიცხვში არ შედის საყოფაცხოვრებო პრობლემები.

ქალებისგან და უფრო კი არასამთავრობოებისგან მოდის შენიშვნა, რომ გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობის უფლება ქალ პატიმრებსაც უნდა ჰქონდეთ. ამას გარვეული ინფრასტრუქტურა სჭირდება.

დაბოლოს, ძალიან ხშირად ცვლით ციხის დირექტორებს და ამ თანამდებობებზე, ძირითადად, შსს-ის კადრებს ნიშნავთ. რატომ მათი და არა თქვენივე სამინისტროს თანამშრომლები? და რატომ გიწევთ მათი შეცვლა ასე ხშირად?

ჩვენი სისტემა მართლა იყო დაზიანებული წლების განმავლობაში და მართვის ის სტილი, რაც აქ იყო დამკვიდრებული – წამება, კრიმინალური ავტორიტეტებით ციხეების მართვა და ა.შ. – მიუღებელია. ახალი თაობის გაზრდას, რომელიც ახლებურად შეხედავს ამას, ბევრი დრო დასჭირდება. მანამდე კადრები საიდანღაც უნდა მოვიყვანოთ.

უცხოეთში ციხის დირექტორებად ფსიქოლოგები და სოციოლოგები ჰყავთ. ეს სასურველი და კარგია, მაგრამ ჩვენ სოციალური მუშაკის საჭიროების პირობებშიც გვიჭირს ასეთი კადრის მოძიება.

გარდა ამისა, იმ ფონზე, რაც ამ სისტემამ გამოიარა, ასევე, პატიმართა მხრიდან აგრესის გამო, ძალოვან სრუქტურებში მუშაობის გამოცდილება მნიშვნელოვანი და საჭიროა. ციხის დირექტორები პროკურატურიდანაც არიან.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა კადრი კარგია. შესაბამისად, მუდმივად გვიწევს მათი შეცვლა – ზოგი ამართლებს, ზოგი – ვერა, ზოგი თვითონ გარბის თავქუდმოგლეჯილი, როგორც კი სხვა სამუშაოს იშოვის.

ესაუბრა ქეთევან ღვედაშვილი

RESCUE

Bach
ORIGINAL
FLOWER REMEDIES

ბახის ყვავილები

ბახის ყვავილოვანი თერაპია შემუშავდა 80 წლის წინ ინგლისელი ექიმის ედვარდ ბახის (1886-1936) მიერ და დღეისათვის ფართოდაა აღიარებული მთელს მსოფლიოში.

ბახის თერაპია ეხმარება გაანეიტრალოს „ადამიანის ბუნების არაყოფითი მდგომარეობა". მოუთმენლობა, გაღიზიანებადობა, მეწვრილმანეობა, არათავდაჯერებულობა, ეჭვიანობა და სხვა არასასიამოვნო შეგრძნებები.

ბახის ყვავილებს მივყავართ სრულ ჰარმონიამდე

ბახის ყვავილებზე შექმნილი პრეპარატების მიღება ეხმარება შეიცვალოს პათოლოგიური ქცევების ალგორითმი, ადამიანის ყოველდღიური რეაქცია და ამით გაუმჯობესოს ჯანმრთელობის მდგომარეობა და თითოეული ჩვენთაგანის სიცოცხლის ხარისხი.

ექიმი ბახის ორიგინალური ყვავილოვანი საშუალებები არის:

- ეფექტური
- ნატურალური
- აბსოლუტურად უსაფრთხო
- არ იწვევს ალერგიულ რეაქციებს და სხვა გვერდით ეფექტებს
- არ აქვს უკუჩვენება და ასაკობრივი შეზღუდვა
- არ იწვევს შეჩვევას
- შესაძლებელია ნებისმიერ სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად მიღება
- ბახის ყვავილები გამოიყენება როგორც საპროფილაქტიკოდ, ასევე ნებისმიერი დაავადების დროს კომპლექსურ თერაპიაში.

რესქიუ რემედი (Rescue Remedy)

სასწრაფო დახმარება ექსტრემალურ სიტუაციებში მთელი ოჯახისათვის

- რესქიუ რემედი - ყველაზე ცნობადი და გავრცელებული პრეპარატია ბახის ყვავილებს შორის.
- რესქიუ რემედი - შედგება ბახის ხუთი ყვავილოვანი ესენციისაგან, მოქმედებს, როგორც დამამშვიდებელი (მომენტალურად) ნებისმიერ სტრესულ სიტუაციაში.
- რესქიუ რემედი - საუკეთესო საშუალება სტრესის მოსახსნელად
- რესქიუ - ცნობილია, როგორც „მაშველი", შეუცვლელია გამოუვალ სიტუაციებში და ეხმარება შეამსუბუქოს მძიმე დარტყმები კრიზისულ სიტუაციებში და ცხოვრების მძიმე პერიოდში.
- რესქიუ რემედის არ ახასიათებს სედაციური მოქმედება, და იდეალურია მძღოლებისათვის.
- „მაშველის" კომპაქტური ფლაკონის თან ტარება მოსახერხებელია ჯიბით ან ხელჩანთით, რათა მოესწროს პანიკის შეტევის შეჩერება განსაკუთრებული სანერვიულო სიტუაციების, ასევე სერიოზული სიახლეების დროს თქვენს ცხოვრებაში.

რესქიუ ღამის სპრეი (Rescue night)

სულიერი სიმშვიდე მშვიდი ძილისათვის

- რესქიუ ღამის სპრეი შეადგენს ბახის 6 ყვავილის უნიკალურ ბალანსს.
- რესქიუ ღამის სპრეი დაგეხმარებათ აკვიატებული, არასასიამოვნო აზრებისაგან გონების გათიშვაში.
- რესქიუ ღამის სპრეი დაგეხმარებათ მშვიდად დაძინებაში.

გამოყენება და მიღების წესი:

რესქიუ რემედი სპრეი: ბავშვებში 2 წლიდან და მოზრდილებში 2 შესხურება ენის ქვეშ . გამოიყენება უშუალოდ სტრესული სიტუაციების დროს.

რესქიუ ღამის სპრეი: ბავშვებში 2 წლიდან და მოზრდილებში 2 შესხურება ენის ქვეშ უშუალოდ ძილის წინ. გაღვიძების შემთხვევაში შესაძლებელია განმეორებით შესხურება.

გამოშვების ფორმა: რესქიუ რემედი სპრეი 20მლ (200 დოზა)
რესქიუ რემედი სპრეი 7მლ (70 დოზა)
რესქიუ ღამის სპრეი 20მლ (200 დოზა)
მწარმოებელი: "A. NELSON & CO LIMITED" ინგლისი (უიმბლდონი, ლონდონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების ხვიხა, 2014

მალხაზ სონღულაშვილი, თეოლოგიის დოქტორი

ილუსტრაცია თაბაშირი, ნაფლეთებისგან / ქსილოგრავი

დიდმარხვის პერიოდს, ლიტურგიკული კალენდრის მიხედვით, ვნების კვირა აგვირგვინებს. ვნების კვირა რაღაა? ეს არის ლიტურგიული დრო, როდესაც ქრისტიანები იხსენებენ იმ მოვლენებს, რომელიც იერუსალიმში ლამის 2000 წლის წინ მოხდა. თუმცა ეს მხოლოდ გახსენება არ არის, რადგან ვნების კვირა მორწმუნეებს სთავაზობს, თავიანთ ეპოქაში გაიაზრონ იესოს სიცოცხლისა და სიკვდილის მნიშვნელობა. დაინახონ უხილავი კავშირი ძველ ისტორიულ მოვლენებსა და მათ ცხოვრებას შორის.

ქვემოთ ჩვენ მოკლედ ვილაპარაკებთ ვნების კვირის თითოეულ დღეზე. ვიტყვით რა მოხდა წარსულში და რა ხდება დღეს, ლამის 2000 წლის შემდეგ. რა გამოძახილი აქვს ამ მოვლენებს საქართველოში. უფრო სწორად საქართველოს ერთ-ერთ მიკროსამყაროში, ერთი პატარა რელიგიური თემის ცხოვრებაში და მისი ერთ-ერთი ეპისკოპოსის საქმიანობაში.

კვირა, 13 აპრილი, ბზობა

მაშინ (იერუსალიმი):

კვირის პირველი დღეა, ანუ ძველებურად ერთშაბათი. ვნების კვირა იწყება იესოს იერუსალიმში შესვლით (ამას საქართველოში „ბზობას“ ვეძახით). ეს იესოს უკანასკნელი შესვლაა იერუსალიმში. ეს არის ნამდვილი ტრიუმფი, მაგრამ (ოჰ, ეს ავისმომასწავებელი „მაგრამ“!) იესოს თავის საყვარელ ქალაქში დამცირება, ლანძღვა-გინება და სიკვდილი მოელის.

ქალაქში შესვლისას ხალხი მას მეფურად ეგებება: სახედარზე გადამჯდარ იესოს ზოგი სამოსელს უფენს გზაზე, ზოგი ხის ტოტებს... იესო, შეიძლება ითქვას, საჯარო დრამას აწყობს იმის სათქმელად, რომ ის „მშვიდობის თავადია“. „ომის თავადი“ რომ ყოფილიყო, ვირზე კი არ შეჯდებოდა, არამედ თეთრ ულაყზე ამხედრებული მიადგებოდა იერუსალიმის კარიბჭეს. ის ხალხი, რომელიც იესოს მოწიწებით ეგებება, იმავე კვირაში ერთ დიდ ბრბოდ გადაიქცევა და გავეშებული მოითხოვს მისი სიკვდილით დასჯას შეძახილით „ჯვარს აცვით“.

ახლა (ვეიკფილდი-ოქსფორდი):

ბზობა დღეს მე და ჩემი მეუღლე ალა დასავლეთ იორკშირში (ინგლისი) ვართ. ვეიკფილდის კათედრალის ერთ კანონიკოსთან, ტონი მაკფერსენთან ვართ გაჩერებული. ტონი ფაშფაშა ჟღალ-წვერიანი მღვდელია. განსაკუთრებით საყვარელი სანახავია, როცა შავ ანაფორაშია გამოწყობილი, თავზე წითელპონპონიანი ბერეტი ახურავს და ხალისიანად აბოლებს ჩიბუხს. კირიონსაც უყვარს მოწევა, ამიტომ ხშირად კირიონი და ტონი „ვახტანგურად“ აბოლებენ ხოლმე, სადაც მოუხერხდებათ, ერთი – სიგარეტს, მეორე – ჩიბუხს.

მეც იმავე კათედრალის კანონიკოსი ვარ, რომლისაც ტონი, ოღონდ მე ეკუმენური კანონიკოსი ვარ და ამაში ჯამაგირს არ მიხდიან. ისე მთელ დასავლეთ იორკშირში, სადაც 2 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ყოველ ხუთშაბათს მიხსენიებენ ლოცვაში და საქართველოსთვისაც ლოცულობენ.

ვეიკფილდში ჩვენ წინა დღეს ოქსფორდიდან არქიმანდრიტ კირიონთან და ტარიელ ნაკაიძესთან ერთად ჩამოვედით. კირიონი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურია, ტარიელი ქართველი მუსლიმი ღვთისმსახური და რელიგიური თავისუფლებისათვის მებრძოლი აქტივისტია. კირიონი ოქსფორდში ცხოვრობს, ტარიელიც ოქსფორდშია ინგლისურის სასწავლად და აქაური იმამის, დოქტორ ტაჯ ჰარგის ოჯახში ცხოვრობს. ტაჯი წარმოშობით სამხრეთაფრიკელი სუნიტი მუსლიმია, მისი მეუღ-

■ მეც იმავე კათედრალის კანონიკოსი ვარ, რომლისაც ტონი, ოღონდ მე ეკუმენური კანონიკოსი ვარ და ამაში ჯამაგირს არ მიხდიან. ისე მთელ დასავლეთ იორკშირში, სადაც 2 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ყოველ ხუთშაბათს მიხსენიებენ ლოცვაში და საქართველოსთვისაც ლოცულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქრისტეს შესვლა იერუსალიმში, ჰიპოლიტ ფლანდრინი, 1842წ.

ლე დოქტორი ჯაკ ვუდმანი პროტესტანტი ქრისტიანია. ტაჯის მეჩეთი გაერთიანებულ სამეფოში (ასე ჰქვია ოფიციალურად დიდ ბრიტანეთს) ერთ-ერთ ყველაზე კონტექსტუალურ მუსლიმურ თემადაა მიჩნეული.

დღეს საგანგებო დღეა ვეიკფილდში. ვეიკფილდის ეპისკოპოსი აქ თავის 11-წლიან მოღვაწეობას ასრულებს. ეს იმიტომ, რომ ინგლისის ეკლესიამ გადაწყვიტა, გააერთიანოს სამი ეპარქია და მოქმედი სამივე ეპისკოპოსი დაითხოვოს. სტივენი ამიერიდან ლონდონში გადაბარგდება, ლონდონის ეპისკოპოსის დამხმარე იქნება და თან ერთ სამრევლო ეკლესიას ჩააბარებენ ქალაქის ცენტრში.

მეუფე სტივენთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ის პირველად 21 წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში, რათა კენტერბერიის მთავარეპისკოპოსის ვიზიტი მოემზადებინა.

თბილისში ჩამოსულმა კენტერბერიელმა მთავარეპისკოპოსმა სამ ეკლესიაში წარმოთქვა სიტყვა: წმ. გიორგის სახელობის მართლმადიდებელ ეკლესიაში (ქაშუეთი), წმიდანების პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში და ბაპტისტურ ეკლესიაში.

ილია მეორის საპასუხო ვიზიტის დროს ინგლისში მთავარეპისკოპოს ჯორჯ ქერის სახელით სტივენმა ილია მეორეს საჩუქრად ძაღლის ლეკვიც მიართვა. თუ არ ვცდები, ლაბრადორი იყო. ილია მეორემ სიხარულით მიიღო ცოცხალი საჩუქარი და მადლიერების ნიშნად ძაღლს ქერი – მთავარეპისკოპოსის გვარი – დაარქვა. ამაზე საქართველოშიც და ინგლისის საეკლესიო წრეებშიც ბევრს ქირქილებდნენ. ნეტა ილია მეორეს ის თუ მოეწონებოდა, მისგან ნაჩუქარი ლეკვისთვის ღუდუშაურ-შიოლაშვილი რომ დაერქმიათ?!

სტივენი ჩვენი ქვეყნისა და ასევე საქართველოს მართლმადიდებელი და ევანგელურ ბაპტისტური ეკლესიის ერთგული მეგობარია. საქართველოში თითქმის ყოველ მეორე-მესამე წელს ჩამოდის. ყველა ჩამოსვლაზე ნახულობს ილია მეორეს. როგორც ნესი, ამ შეხვედრების თარჯიმანი მე ვარ. ბოლო ჩამოსვლაზე პატრიარქმა მას დედოფალ ელისაბედთან შეხვედრა სთხოვა. სტივენმა ეს თხოვნა შეუსრულა. პატრიარქის ინგლისში

ვიზიტის დროს დედოფალმა ილია მეორე ჩაიზე მიიწვია.

ჩვენი საერთო მეგობრები ინგლისში მე და სტივენს „terrible twins“-ს („ანცი ტყუბები“) გვეძახიან და ვფიქრობ ორივენი ვამაყობთ ამ „ტიტულით“. ამის ხაზგასასმელად ჩვენ ერთნაირი საეკლესიო „აუტფიტი“ გვაქვს: ანაფორა, ქუდი და კვერთხი და ზოგჯერ ასე გამოწყობილები ვესწრებით ხოლმე ინგლისში ერთად საჯარო შეხვედრებს. სტივენი ლორდთა პალატის წევრია და იქედან ხშირად ესარჩლება საქართველოს. მას ამ საქმეში გვერდში ლორდი რიჩარდ ჰარისი უდგას, რომლის გამოსვლა ლორთა პალატაში იუსტიციის სახლის შესახებ დღემდე ტრიალებს იუსტიციის სახლის სარეკლამო ვიდეოკლიპზე. ლორდი ჰარისი წინათ ოქსფორდის ეპისკოპოსი იყო. ოქსფორდში პირველად რომ ჩავედი, მის სასახლეში ვცხოვრობდი.

სტივენს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ქართველ მუსლიმებთან. მას შემდეგ, რაც მან აჭარაში იმოგზაურა, ის მიიჩნევს, რომ ქართველი მუსლიმი სასულიერო პირები (ზურაბ ცეცხლაძე, ტარიელ ნაკაიძე და სხვები, ვისაც ის იცნობს) ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე მუსლიმები არიან მათგან, ვისაც ის საერთოდ შეხვედრია.

11 წლის წინ მე და მამა ზაზა თევზაძემ ერთად გადავეცით მას საქართველოში დამზადებული ვერცხლის პანაღია, როდესაც ვეიკფილდის კათედრალში მისი ინტრონიზაცია შედგა. მასთან გამომშვიდობების ლიტურგიაზე კი მას ისეთივე პანაღიას ვჩუქნი, როგორსაც მე ვატარებდი, ვიდრე საქართველოში ისლამოფობიის გამოვლინების გამო ვიტყოდი უარს ჯვრისა და პანაღიის ტარებაზე. ამით შეივსება ჩვენი ტყუპების „აიტფიტის“ კომპლექტი.

მშვენიერ ღვთისმსახურებას იხდის კათედრალი ეპისკოპოსთან გამოსამშვიდობებლად. მსახურება იწყება პროცესიით, რომელშიც ასობით სასულიერო პირი მონაწილეობს. საოცარი სანახავია ორ რიგად ჩამწკრივებული ფერად-ფერადად შემოსილი სამღვდელოების ნახვა. ამ მსვლელობაში ეგზოტიკურობით ყველაზე მეტად ჩვენი დელეგაცია გამოირჩევა. კირიონსა და ალას შავი ანაფორები აცვიათ, მე – იასამნისფერი, ტარიელს – კრემისფერი ოქროსფრად გამშვენებული ზოლებით, მე და კირიონს კუნკულ ბარტყული გვახურავს, მე – იასამნისფერი, კირიონს, ცხადია, – შავი.

ევქარისტიულ ღვთისმსახურებაზე სტივენი კათედრალში თავის უკანასკნელ ქადაგებას წარმოთქვამს, სადაც 11 წელი კათედრას უძღვებოდა. მისი ქადაგების ბოლო სიტყვები ძალიან ამაღელვებელია:

„ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახლა კი ღრმა მადლიერებით მინდა დაგემშვიდობოთ და გითხრათ – კარგად იყავით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგად იცხოვროთ, კარგად იშრომოთ, გაიფურჩქნოთ და განვითარდეთ...“

ღვთისმსახურება დასრულებული არ არის ტონი მაკფერსენი მოდის და ყურში ჩურჩულით მეუბნება – „უნდა წავიდეთ, თორემ მატარებელზე დაგაგვიანდებათ“. ჩვენც სათითაოდ ვდგებით და გამოვდივართ ტაძრიდან. გული გვწყდება, რომ ტაძრის შემდეგ დაგეგმილ საზეიმო მიღებასა და ვახშამს ვერ ვესწრებით. არადა უკვე გვშია. კირიონი ჩვენთვის კარტოფილიან ღვეზელებს ყიდულობს. ტარიელი არ ჭამს – დიეტას იცავს. მე და ალა ხალისიანად ვჭამთ ნახევრადშეთბობილ ღვეზელს.

■ ღვთისმსახურება დასრულებული არ არის ტონი მაკფერსენი მოდის და ყურში ჩურჩულით მეუბნება – „უნდა წავიდეთ, თორემ მატარებელზე დაგაგვიანდებათ“. ჩვენც სათითაოდ ვდგებით და გამოვდივართ ტაძრიდან. გული გვწყდება, რომ ტაძრის შემდეგ დაგეგმილ საზეიმო მიღებასა და ვახშამს ვერ ვესწრებით. არადა უკვე გვშია. კირიონი ჩვენთვის კარტოფილიან ღვეზელებს ყიდულობს. ტარიელი არ ჭამს – დიეტას იცავს. მე და ალა ხალისიანად ვჭამთ ნახევრადშეთბობილ ღვეზელს.

ანა პიბანაშვილი, უფლებადამცველი

ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების, ქალებისა და ბავშვების საკითხებზე ვმუშაობ და ხშირად ამ ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ პირველად სწორედ „ლიბერალისგან“ ვიგებ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს მედიასაშუალება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ჩემი ერთ-ერთი პარტნიორია. „ლიბერალს“ ზედაპირზე ამოაქვს ისეთი თემები, რომლებიც ქართულ მედიასივრცეში რეალურად, იგნორირებულია. გარდა ამისა, „ლიბერალი“ ყოველთვის ორიენტირებულია არა კომერციულ მიზნებზე, არამედ ადამიანზე. ძალიან მინდა, რომ ჟურნალი ხელმისაწვდომი იყოს სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის, ვისთვისაც ერთადერთი ინფორმაციის მიღების საშუალება რამდენიმე ტელეკომპანიაა. ჩემი დიდი სურვილია, რომ “ლიბერალს” გაეცნონ ასევე, ეთნიკური უმცირესობები და ის ხელმისაწვდომი იყოს უცხოელი მკითხველისთვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით იესო იერუსალიმის ტაძარში ადის და ხედავს, რომ ღმერთის სალოცავი ადგილი ხალხს კომერციულ დაწესებულებად უქცევიათ: ყიდიან ხარებს, ცხვრებს, ფრინველებს. ფულებს ახურდავებენ და ქისებს აჩხრიალებენ. იესოს რეაქცია დაუჯერებელია. ის მათრახს წნავს და იქაურობას დაერევა, მოვაჭრეებს დახლებს უყირავებს, საქონელს ერეკება ტაძრის ეზოდან.

ოთხშაბათი, 14 აპრილი

მაშინ (იესოსადმი):

იესო წინა ღამეს ბეთანიაში ათენებს. ბეთანია იერუსალიმის ახლოს მდებარეობს. აქ იესოს მეგობრები ცხოვრობენ: ლაზარე, რომელიც მკვდრეთით აღადგინა, და მისი დები – მარიამი და მართა.

დილით იესო იერუსალიმის ტაძარში ადის და ხედავს, რომ ღმერთის სალოცავი ადგილი ხალხს კომერციულ დაწესებულებად უქცევია: ყიდიან ხარებს, ცხვრებს, ფრინველებს. ფულებს ახურდავებენ და ქისებს აჩხრიალებენ. იესოს რეაქცია დაუჯერებელია. ის მათრახს წნავს და იქაურობას დაერევა, მოვაჭრეებს დახლებს უყირავებს, საქონელს ერეკება ტაძრის ეზოდან.

ახლა (ოქსფორდი-თბილისი):

დილით გამოვდივართ მე და ალა ოქსფორდიდან და ავტობუსით გეთვიკის აეროპორტში მივდივართ. კირიონი სადგურიდან გვაცილებს. სევდიანი ვემშვიდობები ოქსფორდს, ქალაქს, სადაც ლამის ხუთი წელი გავატარე. ამ ჩემი ხანმოკლე ვიზიტის დროს მხოლოდ ბოდლიანის ბიბლიოთეკაში და ბელეკველის წიგნების მაღაზიაში მოვახერხე შესვლა.

თბილისში მივიჩქარით იმის გამო, რომ ვნების კვირაა და ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელია.

კიევის გავლით ვბრუნდებით საქართველოში და თბილისში დაღლილ-დაქანცულები ჩამოვდივართ. აეროპორტში გვხვდებიან მეგობრები: დათო, თამთა, მამუკა.

სამშაბათი, 15 აპრილი

მაშინ (იესოსადმი):

იესოს ქალაქში გამოჩენით, მისი ტრიუმფით და მის მიერ ტაძარში ატეხილი აურზაურით აღშფოთებულია იერუსალიმის რელიგიური ელიტა. იესო რელიგიური პერსპექტივიდან არც კონსერვატორია და არც ლიბერალი. იესო რადიკალია. რელიგიურ ინსტიტუციებს ყოველთვის ეჯავრებათ რადიკალები, რადგან მათ მოღვაწეობაში საფრთხეს ხედავენ. იესო კი ის ადამიანია, რომელიც დაუნდობლად ლეწავს სოციალურ და რელიგიურ სტერეოტიპებს: არღვევს რელიგიურ წესებს, მეგობრობს და ურთიერთობს საზოგადების ყველაზე გარიყულ წევრებთან: ლოთებთან, მებაჟეებთან, საეჭვო რეპუტაციის ქალებთან... არ ელაქუცება არც რელიგიურ ელიტას და არც ხელისუფლებას.

რელიგიური ესტაბლიშმენტი, ინსტიტუციური საფრთხის აცილების მიზნით, სამშაბათ დღეს გადაწყვეტილებას იღებს – განადგურებულ იქნას საფრთხის შემცველი სუბიექტი – იესო ნაზარეველი.

ახლა (თბილისი):

მშვიდობის კათედრალში, სააღდგომო სამზადისია გაჩაღებული: დრამატული დასი ბეჯითად ატარებს რეპეტიციებს (წლეულს „აფხაზი გოგონას დღიურის“ მიხედვით სპექტაკლს დგამენ). შესანიშნავი დასია, ნიჭიერი და მოქნილი. ლიტურგიული ქორეოგრაფიის გუნდიც ასევე ემზადება ვნების კვირისა და აღდგომის მსახურებებისთვის. ჩვენს ეკლესიაში უკვე 10 წელზე მეტია, რაც ცეკვა ლიტურგიული ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. ახლა უკვე მეორე თაობის ლიტურგიული მოცეკვავეები გვყავს, წინამორბედებისგან განსხვავებულები.

საღამოს 6 საათზე ყოველდღიური წირვაა, ამიტომ წირვაზე მივეშურები.

ოთხშაბათი, 16 აპრილი

მაშინ (იესოსადმი):

წინა დღეს მიღებულ გადაწყვეტილებას ხომ განხორციელება სჭირდება! როგორი

ნინო ზუბიაშვილი, ფუნინალისტი

„ლიბერალი“ ჩემი აზრით, მაღალსტანდარტული და ეთიკური ჟურნალისტიკაა, რომელსაც ჩემი მეგობრები აკეთებენ. მისი განსაკუთრებულობა ჩემთვის ის გახლავთ, რომ მუდმივად ღრმა ანალიტიკურ სტატიებს, სხვადასხვა თვალსაზრისებსა და მიმდინარე მოვლენების შეფასებებს მთავაზობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ „ლიბერალს“ ახალი ამბების გაშუქების დროს კი არ ეჭიროს პულსზე ხელი, არამედ მკითხველს ექსკლუზიური და ღრმა მასალები მიაწოდოს. განსაკუთრებულად მიყვარს ბეჭდური ვერსია და ვფიქრობ, რომ ჟურნალს ჯერ კიდევ ჰყავს ბევრი მკითხველი, ის არ მომკვდარა. ამიტომ, „ლიბერალს“ ბევრ მკითხველს, პროფესიულ წინსვლასა და ფინანსების მოძიებას ვუსურვებ. აქვე ვისურვებდი, რომ ჟურნალში ფოტომასალებთან ერთად მრავალფეროვანი კარიკატურებიც იყოს.

ვაჭრების განდევნა ღვთის სახლიდან, ელ გრეკო, 1568წ.

უნდა იყოს იესოს მოშორების ლოჯისტიკური დეტალები? რელიგიურ ესტაბლიშმენტს ამაზე თავისი პასუხი აქვს.

იესოს გუნდში არის ადამიანი, რომელსაც გუნდის ფინანსური საქმიანობა ავალია: იუდა ისკარიოტელი. მისი მოსყიდვა და იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება იესოს უპრობლემოდ შეპყრობა, რელიგიურ ესტაბლიშმენტს სულ რაღაც 30 ვერცხლი უჯდება. იუდა ფულს იჯიბავს და მის სანაცვლოდ იესოს გაცემის გეგმას სთავაზობს.

ახლა (თბილისი):

„წმიდა ტრიდიუმის" დასაყენებლად ლიტურგიული სამუშაოები მიმდინარეობს. ტრიდიუმი ვნების კვირაში სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა: დიდი ხუთშაბათი, წითელი პარასკევი, აღდგომა.

დიდი ხუთშაბათის ლიტურგისტი ალაა. პირველად ასე 10 წლის წინათ მან დიდი ხუთშაბათის ლიტურგია დაგეგმა და ტექსტები მოამზადა. შემდეგ ამერიკასა და ინგლისში ცხოვრების გამო ეკლესიის ლიტურგიულ ცხოვრებაში კარგა ხანი ვეღარ მონაწილეობდა. ამიტომ ღელავს ახლა და წამდაუწუმ მსახურების დეტალებზე მეკითხება რაღაც-რაღაცებს. ერთ-ერთი გამოწვევა 12 ადამიანის შერჩევაა, რომელსაც მეორე დღეს ფეხი უნდა დავბანო. ამ სიის შედგენა ადვილი არასდროს არ არის. ჩვენს ეკლესიაში ვცდილობთ, ამ 12 ადამიანში აირეკლოს ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნება: ბავშვები, ქალები, ჯეელები, ხნიერები, სასულიერო პირები და საერონი.



საიდუმლო სერობა,
ლეონარდო და ვინჩი, 1495-1498წწ.

ხუთშაბათი, 17 აპრილი

მაშინ (იესო):

ხუთშაბათს იესო პასექის დღესასწაულის რიტუალურ ვახშამზე გარს თავის მოწაფეებს იკრებს. ყველანი ერთად არიან: იესო, იოანე, იაკობი, პეტრე... იუდა. ზეიმობენ ისრაელიანთა ეგვიპტის მონობიდან გამოსვლას, ანუ თავისუფლების დღესასწაულს.

იესო ამ სუფრაზე აწესებს იმას, რასაც დღეს ჩვენ ევქარისტიას ვეძახით. მაგრამ ვიდრე ევქარისტიას დააწესებს იესო მოწაფეებს ფეხებს ბანს და ეუბნება: „იცით მე დღეს თქვენთვის რა გავაკეთე?! ... თუკი მე, როგორც მოძღვარმა და უფალმა დაგბანეთ ფეხი, თქვენც ასევე უნდა დაბანოთ ფეხი ერთმანეთს". იესო ამ დღეს ბოლომდე გამოამზეურებს თავისი მოძღვრების არსს: თუ გინდა რომ იესოს მიმდევარი იყო, ემსახურე ადამიანს! იზრუნე მასზე, არ დაიშურო მისთვის სიყვარული და სოლიდარობა. ის პირსახოცი, რომლითაც იესომ მოწაფეებს ფეხი შეუმშრალა, ყველაზე შთამბეჭდავი სიმბოლოა იმისა, თუ რა უნდა იყოს სინამდვილეში ქრისტიანობა. თუ რა არის ქრისტიანობა ახლა, ამაზე სხვა დროს შეიძლება ლაპარაკი.

ფეხისბანის შემდეგ იესო იღებს პურს და ღვინით სავსე სასმისს. სასმისს დალოცავს, პურს დალეწავს ("დალეწავს" იმიტომ რომ პური, ანუ მაცა ხმიადია) და ეუბნება მოწაფეებს: „ეს არის ჩემი სხეული თქვენთვის დალეწილი", „ეს არის ჩემი სისხლი თქვენთვის დაღვრილი... ეს აკეთეთ ჩემს მოსაგონებლად".

ვახშმის შემდეგ იესო გეთსიმანიის ბაღში მიდის, რათა მოწაფეებთან ერთად განმარტოვდეს. იესო მარტოა, აგონიაშია, იცის, რაც უნდა მოხდეს. ლოცულობს, რომ მოსახდენი არ მოხდეს... თუმცა მაინც ღმერთს ანდობს და აბარებს თავის ბედს.

ამავე ბაღში მოდის იუდა ისკარიოტელი ჯარისკაცებთან ერთად და ამბორით გასცემს თავის მოძღვარს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში გვერდიდან არ შორდებოდა.

ახლა (თბილისი):

დილით მე და ჩემი თანაშემწე, დათო, ერთად მივდივართ სასტუმროში, სადაც ფინეთიდან ჩამოსული მეგობრები გველოდებიან – იოჰან და ანნა კანდელინები. იოჰანი „პირველი ნაბიჯის ფორუმის" ხელმძღვანელია. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულები არიან ევროპისა და ამერიკის პოლიტიკური ელიტის ის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიური ქრისტიანები არიან. იოჰანი ლუთერელი პასტორი და კარგი ორატორია. იოანანი და მისი მეუღლე ქართველ მუსლიმთა კავშირის მოწვევით ღონისძიებაზე ბათუმში მიდიან. პირველად იოჰანი და მისი ორგანიზაცია ქართველ მუსლიმებს ჭელას მინარეთის ამბავზე გამოესარჩლა და მას შემდეგ აქტიურად თანაუგრძნობს როგორც ქართველ მუსლიმებს, ისე მთელ საქართველოს.

ცოლ-ქმარს ადვილად ვიყოლიებ, რომ ფეხისბანაზე 12-იდან ორნი ისინი იყვნენ. მერე იქიდან სამგორის ბაპტისტურ ეკლესიაში დიდი

ხუთშაბათის პირველ წირვაზე მივდივარ. წირვა 12-ზე იწყება. ტაძარი აეროპორტის გზასთან ახლოს ერთ მყუდრო ქუჩაზე მდებარეობს. უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ ვიდრე კათედრალში გადავიხდით დიდი ხუთშაბათის წირვას ფეხისბანით, მანამდე სამგორში ადგილობრივი ეკლესიის ხუცესთან ერთად ვწირავ. კარში მეგებებიან ეკლესიის წინამძღოლი თენგიზ კოდელაშვილი და სხვა ღვთისმსახურები. თენგიზი ფუტკარივით სულ მუშაობს და სულ ეკლესიაში ტრიალებს. ორიოდე წლის წინ სისხლის გათეთრებით შვილიშვილი გარდაეცვალა. ასეთი დანაკარგი ყოველთვის ცვლის პიროვნებას და ცხოვრებაზე განსხვავებულ ხედვას უვითარებს. თენგიზთან საუბარში აშკარად ჩანს, რომ ცხოვრებას ჭუჭრუტანიდან არ უყურებს.

წირვას ებრაული ხმიადებით ვიხდით და ეკლესიას ზიარების „დაბადების დღეს“ ვუღოცავთ.

საღამოს 5 საათზე წირვას მშვიდობის კათედრალში ვიწყებთ. „ათორმეტი“ მონაწილე და ჩვენ პროცესიით ერთად მივემართებით საკურთხევლისაკენ და მის გარშემო 12+1 სავარძელს ვიკავებთ.

ღვთისმსახურების პირველი ნაწილში, თითქოს განზრახ, ყველაფერი უკუღმა მიდის: „მაზმიშვილების“ მგალობელთა გუნდი იგვიანებს იმის გამო, რომ ჩვენი იქაური დიაკვნის დაკრძალვაზე წნორში არიან წასულები; ხმის სტუდიის ხელმძღვანელიც, ვისაც ხმის სისტემის რეგულირება ავალია, ნახევარი საათით იგვიანებს (მსგავსი რამ არასდროს მომხდარა); ფეხისბანისა და ევქარისტიის ლიტურგიულ ტექსტს მხოლოდ მაშინ მაწვდიან, როცა ფეხისბანა უნდა დაიწყოს. ვაპირებ ზეპირად გადავიხადო ფეხისბანისა და ევქარისტიის წესი; ვშლი ამ ახლადამობეჭდილ ტექსტს და რას ვხედავ, მთელ ტექსტში სიტყვები ერთმანეთის მიჯრით არის მიწყობილი. ნერვები მეშლება, მაგრამ რას ვიზამ. ვცდილობ ნერვები მოვთოკო და დინჯად გავაგრძელო ღვთისმსახურება.

12-ს შორის არიან ახალგაზრდები, ძველგაზრდები, ფინელი და გერმანელი სტუმრები, ჩვენი ეპისკოპოსი ქალი, ღვთისმსახური მამაკაცი, ჩვენი სადიაკონისო სამსახურის ხელმძღვანელი და ბოლოს სრულებით გამორჩეული სტუმრები: კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს დესპანი საქართველოში ალი ალიევი – შიიტი მუსლიმი და მისი მოადგილე იმამი აივაზი – სუნიტი მუსლიმი, ორივენი თავიანთ რელიგიურ სამოსელში არიან გამოწყობილები.

ფეხისბანის რიტუალის ჩატარება დიდი პატივია. ეს რიტუალი მიგვანიშნებს, თუ როგორ დავშორდით ჩვენ ქრისტიანები მაცხოვრის უმთავრეს მოთხოვნას – ვემსახუროთ ადამიანის კეთილდღეობას.

ევქარისტიის დასაწყისში, ვიდრე ძღვენს (სეფისკვერის პურს) ვაკურთხებდეთ, სეფისკვერს გვერდს ვატეხ და ალისა და აივაზს ვაწვდი, თან ჩუმად ვეუბნები:

„ამას ჩვენი, ქრისტიანებისა და მუსლიმების ძმობის ნიშნად გიზიარებ“.

„ახლა, რა უნდა ვქნა? – დაიბნა ალი – შეიძლება, შევჭამო?“

„რა თქმა უნდა, შეიძლება“, – ვეუბნები ორივეს და საკურთხეველს ვუბრუნდები.

ევქარისტიის შემდეგ თემს იოჰან კანდელინი, ალი და ჩვენი გერმანელი სტუმარი, ელიმარ ბრანდტი მიმართავენ.

მიუხედავად ყველა იმ იაღლიშისა, რომელიც თავიდან მოგვივიდა მაინც მშვენიერი წირვა გამოვიდა.

„ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს და ვერც წარმოვიდგენდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა“, - წირვის შემდეგ ამბობს იოჰან კანდელინი, რომელიც სრულებით აღტაცებული და გაოგნებული იყო ამ წირვით. „ვერსად ნახავ, რომ ქრისტიანებმა დიდი ხუთშაბათის წირვაზე ფეხის საბანად მუსლიმი წინამძღოლები დაისვან “.

ფეხისბანის შემდეგ იესო იღებს პურს და ღვინით სავსე სასმისს. სასმისს დალოცავს, პურს დალეწავს („დალეწავს“ იმიტომ რომ პური ანუ მაცა ხმიადია) და ეუბნება მოწაფეებს: „ეს არის ჩემი სხეული თქვენთვის დალეწილი“, „ეს არის ჩემი სისხლი თქვენთვის დაღვრილი... ეს აკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“.

ჯანა ჯავახიშვილი, ფსიქოლოგი

ჩემთვის „ლიბერალი“ არის თავისუფალი საინფორმაციო სივრცე, სიტყვის თავისუფლების ერთ-ერთი განხორციელებული შესაძლებლობა, ინტერაქტიული, მონაწილეობითი და ოპერატიული, რომელიც ადამიანებს თვითგამოხატვის, ინფორმირებისა და ინფორმირებულობის საშუალებას აძლევს. „ლიბერალი“ პროფესიონალი და არაპროფესიონალი მედიამოღვაწეების შეხვედრის ადგილია, დინამიკური, მოქნილი და საინტერესო. მას ახალგაზრდა, გულწრფელი, ღია, ლიბერალური ფასეულობების მატარებელი გუნდი მართავს, რომელიც ინკლუზიურ და გამჭვირვალე პოლიტიკას ატარებს. ვუსურვებ მათ წარმატებასა და ეფექტურ მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯვარცმის ამსახველი ფრესკა,
ფრა ანგელიკო, 1440წ.
სან მარკოს მონასტერი, ფლორენცია

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲛᲐᲨᲘᲜ (ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲘ):

ამ დღეს იესოს დილაუთენია ასამართლებენ. ჩქარობენ. არ უნდათ იესოს ამბავმა ხალხში მღელვარება გამოიწვიოს. დილის ცხრა საათამდე ყველაფერს აკვარახჭინებს რელიგიური ესტაბლიშმენტი: რელიგიურ სასამართლოს სიკვდილის განაჩენი გამოაქვს, საერო სასამართლო კი პილატეს ხელით იესოს დასჯის დასტურს იძლევა.

იესოს დილის ცხრა საათზე აკრავენ ჯვარზე. იესო ჯვარზე ექვს საათს სძლებს. ნაშუადღევის სამ საათზე იესო ამბობს „აღსრულდა“ და კვდება.

იესოს ცხედარს იოსებ არიმათიელის კუთვნილ აკლდამაში დაასვენებენ. ზედ ლოდს მიაგორებენ და საფლავს ბეჭდავენ.

ᲐᲮᲚᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ):

ყოველ წელს, ვნების კვირაში, ჩვენი ეკლესიის ინიციატივით ეკუმენური ჯვრის გზის პროცესია იმართება. პროცესია იწყება მეიდანზე სურბ გევორქის სომხური სამოციქულო ეკლესიის კათედრალში, დილის 9 საათზე, ანუ მაშინ, როცა იესო ჯვარზე გაკრეს. თვითონ ხის ჯვარი, რომელსაც უკვე ათ წელზე მეტია ვიყენებთ კარგა დიდია. ჯვარედინზე რკინაში გამოჭედილი იერუსალიმის ჯვარი აქვს დამაგრებული და ოთხივე მკლავში ძალიან ძველი ლურსმნები არტყია.

წლეულს სურბ გევორქის ტაძარში ვერ შევდივართ, ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოების გამო. თუმცა მამა ნარეკს მაინც შევყავარ ტაძარში და მიმდინარე სამუშაოებს მათვალიერებინებს. ამ სამუშაოების შედეგად ტაძარში ბევრი რამ აღმოჩენილა. მათ შორის ფრესკების ორი ფენა, რომლის არსებობაზეც წარმოდგენა არავის ჰქონდა. და კიდევ ერთი, ტაძრის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენდა დიდი ქვევრი, რომელშიც დამალული იყო ერეკლეს-დროინდელი ზარბაზანი, უხმარი (!) და ქვა-ჯვარ (სომხურად „ხაჩ-ქარ“) გადაფარებული

ქინძის თესლით სავსე ერთი დიდი კოდი (!). ამის მოსმენაზე ჩემში მაშინვე იღვიძებს არქეოლოგის ინსტინქტი და მახსენდება არქეულოგიურ ექსპედიციებში გატარებული წლები, რომელთაც ყოველთვის ტკბილად ვიხსენებ. ნეტა ვის უნდა დაემალა ის ზარბაზანი ეკლესიაში, ან ვინ გადაინახა ის ქინძის თესლი. ამას ვერასდროს გავიგებთ.

სურბ გევორქის ეზოში სახარებას ქართულად და სომხურად ვკითხულობთ. მამა ნარეკი მოკლე ჰომილიას გვეუბნება. ჯვრის პროცესია ადგილიდან იძვრის. 40-ნი ვართ ქალებ-კაცებ-ბავშვებიანად.

ჯერ გზად ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკურ კათედრალში ვჩერდებით, სადაც მეუფე ჯუზეპე პაზოტო და ტაძრის წინამძღოლი გვხვდებიან. ჯუზეპე შესანიშნავ ჰომილიას გვთავაზობს. იქედან ლუთერულ ეკლესიაში მივდივართ. აქაც ეპისკოპოსი კინდერლენი გვღებულობს და ჰომილიას გვთავაზობს.

ამის შემდეგ მივემართებით ჩვენი კათედრალისკენ, სადაც იესოს ჯვარზე სიკვდილის დღეს აღვნიშნავთ.

ჩვენი დრამატული და ქორეოგრაფიული გუნდები შესანიშნავ ლიტურგიას გვთავაზობენ. ბოლოს, სამი საათი რომ ახლოვდება და იესოს ჯვარზე ყოფნის ჟამი სრულდება, იესოს კანდელს ვაქრობთ და მაცხოვრის ჯვარს ამბორით მივაგებთ პატივს.

შაბათი, 19 აპრილი

მაშინ (იერუსალიმი):

შაბათი დასვენების დღეა ებრაულ სამყაროში. იესოს გვამი აკლდამაში ასვენია. მოწაფეები სასოწარკვეთილები და იმედგაცრუებულები არიან. არადა როგორ სჯეროდათ იესოს მომავლისა! მოწაფეების იმედები იესოსთან ერთად იოსებ არიმათიელის აკლდამაშია დასამარებული.

ახლა (ბათუმი-თბილისი):

ეს დღე წესით მედიტაციის, დუმილისა და ლოცვის დღეა. მაგრამ ისე ხდება, რომ მე პირადად მდუმარებაში და მედიტაციაში ყოფნას ვერ ვახერხებ. ხან რა მიზეზი გამომიჩნდება, ხან კი – რა. მედიტაციას თავი დავანებოთ, ლიტანიობაზე ღამის გათევა და საამისოდ დასვენება მაინც ხომ გინდა ადამიანს! ესეც არ გამომდის.

ერთხელ დიდ შაბათს არ მომეშვა ერთი ჩვენი მსახური, გინდა თუ არა არაგვის ხეობის ეკლესიები უნდა მოვინახულოთო. არ გავუძალიანდი, გავყევი. თბილისში რომ დავბრუნდი ლიტანიობის დაწყებამდე ასე ორი საათი იყო დარჩენილი. ვიფიქრე იქნება ეს დრო დასასვენებლად გამოვიყენო ღამისთევა რომ შევძლო-მეთქი. რაკი არ მეძინებოდა ძილის წამალი დავლიე და დასვენება ვცადე. წამალმა არ გაჭრა. სამწუხაროდ წამალმა მოქმედება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა უკვე მშვიდობის კათედრალში მივედი და წირვა დავიწყეთ! სულ ცოტა დამაკლდა, რომ საკუთარი ქადაგების დროს არ ჩამძინებოდა.

ნლეულს არაგვის ხეობაში არ მივდივარ. სამგიეროდ დიდ შაბათს ბათუმში მივდივარ და კავშირის თამჯდომარის ზურაბ ცეცხლაძის მოწვევით ქართველ მუსლიმთა კავშირის მიერ ორგანიზებულ დიდ ღონისძიებას ვესწრები. ეს არის მუჰამედ წინასწარმეტყველის დაბადების 1443 ნლისთავი. კარგი დღეა, მზიანი და სასიამოვნო. ამ კონფერენციას 5000-ზე მეტი ქართველი მუსლიმი ესწრება. აქ არის ხალხი, რომელთაც უკვე შევხვედრივარ და ვიცნობ. მიხარია რომ ვხედავ ჩემს მუსლიმ დებსა და ძმებს: სამცხე-ჯავახეთის მუფტს – მამუკა ვაშაყმაძეს, ჭელას მეჩეთის წინამძღოლს – ჯამბულ ხოჯას, ხულოს მუფტს – ასლან აბაშიძეს... დასავლეთ საქართველოს მუფთ ჯემალ პაქსაძეს და მის მოადგილე ადამ შანთაძეს.

შეხვედრის დაწყებამდე ადამ შანთაძე ჩვენს პირველ შეხვედრას იხსენებს.

„ვდგავარ ლოცვაზე სამთაწყაროში, – ყვება ადამი, – დიდი დაძაბულობაა ირგვლივ. მოვიხედე და რას ვხედავ, ჩემ უკან ვიღაც თეთრწვერა მღვდელი ზის და მუსლიმურად ლოცულობს. ცხოვრებაში ასე არ დაბნეულვარ. ვთქვი – რა ხდება, რა ამბავია...“ იცინის ადამი და მეგობრულად მართმევს ხელს.

გასული ნლის აგვისტოში, როცა სამთაწყაროში მუსლიმებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ლოცვაში უშლიდნენ ხელს, მაშინ ჩავედი ჯუმა-ლოცვის დღეს ამ სოფელში. შინ მოვინახულე სულიკო ხოჯა, რომელიც მძიმე ფსიქო-სომატურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მერე მისი სახლის კარზე ტარიელ ნაკაიძესთან ერთად ლოცვისათვის განბანვის რიტუალი (ვუდუ) ჩავატარე და მერე უკარფანჯრო და უჭერ-უიატაკო მეჩეთში ლოცვაში შევუერთდი მუსლიმებს.

ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოწვია როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სამყაროში. მუსლიმები ძალიან გახარებული და

ერთხელ დიდ შაბათს არ მომეშვა ერთი ჩვენი მსახური, გინდა თუ არა არაგვის ხეობის ეკლესიები უნდა მოვინახულოთო. არ გავუძალიანდი, გავყევი. თბილისში რომ დავბრუნდი ლიტანიობის დაწყებამდე ასე ორი საათი იყო დარჩენილი. ვიფიქრე იქნება ეს დრო დასასვენებლად გამოვიყენო ღამისთევა რომ შევძლო-მეთქი. რაკი არ მეძინებოდა ძილის წამალი დავლიე და დასვენება ვცადე. წამალმა არ გაჭრა. სამწუხაროდ წამალმა მოქმედება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა უკვე მშვიდობის კათედრალში მივედი და წირვა დავიწყეთ! სულ ცოტა დამაკლდა, რომ საკუთარი ქადაგების დროს არ ჩამძინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომის ხატი

მადლიერები იყვნენ. ირანში ჩვენი მოგზაურობის დროს არაერთხელ მითხრეს, როცა თავს ვაცნობდი: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინცა ხართ". ქრისტიანულ სამყაროში ბევრმა გამკიცხა და დამტუქსა მუსლიმებთან ერთად ლოცვისათვის. თურმე ამ ამბავმა განსაკუთრებით რუსი ქრისტიანები აღაშფოთა. ევროპის ბაპტისტური ფედერაციის პრეზიდენტმა მათი აღშფოთების დასაცხობად ახსნა-განმარტების დაწერა მომთხოვა.

ჩემი პასუხი ყოველთვის ეს არის: „ნუთუ ასე ძნელი გასაგებია, რომ ღმერთი ერთზე მეტი არ არის და ყველანი მას ვევედრებით?!"

კონფერენცია იწყება. მალე სიტყვის სათქმელად მეძახიან. ჩემი ოქსფორდმოვლილი მეგობარი ტარიელ ნაკაიძე ტრიბუნასთან ხელს მართმევს და მიკროფონს მითმობს.

ოდნავ ვღელავ. ვუყურებ ათასობით თვალს, რომელიც მე მომჩერებია და აინტერესებს რას ვიტყვი, როგორც ქრისტიანი ღვთისმსახური მუჰამედის დაბადების დღეზე.

ჩემს სიტყვას არაბულად ვიწყებ "ასსალამუ ალეიქუმ ვა რაჰმათულაჰი ვა ბარაქათუ. ბისმილაჰ არრაჰმან არრაჰიმ" (ღვთისმიერი მშვიდობა, წყალობა და კურთხევა თქვენ! მოწყალე და მწყალობელი ღმერთის სახელით). პასუხად დარბაზიდან ტაში და შეძახილები მესმის. რაღა დაგიმალოთ და ძალიან მსიამოვნებს.

არაბულის ცოდნის სურვილი ყოველთვის მქონდა მას შემდეგ, რაც ნისან ბაბალიკაშვილთან ძველი ებრაულის კურსი გავიარე, მაშინ როცა ებრაული საბჭოთა კავშირში აკრძალულ ენად ითვლებოდა და მისი სწავლა მხოლოდ თბილისში და მაშინდელ ლენინგრადში შეიძლებოდა ოფიციალურად. ებრაული და არაბული მონათესავე ენებია და სამთანხმოვნიანი ძირების სისტემაც მსგავსი აქვთ. არაბულის სწავლას უფრო სერიოზულად ხელი მაშინ მოვკიდე, როცა საქართველოში მუსლიმების დისკრიმინაციის კასკადი წამოვიდა. ამით მინდოდა ჩემი სოლიდარობა

გამომეხატა ჩემი მუსლიმი დებისა და ძმების მიმართ. ჩემმა მეგობარმა გამაცნო არაბულის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი, რომელთანაც დღემდე დავდივარ. მინდა, იუდაიზმისა და ქრისტიანობის საღმრთო წერილების მსგავსად, შემეძლოს ყურანის ორიგინალის ენაზე – არაბულად – კითხვა. ჯერ გრძელი გზა მაქვს გასავლელი, ვიდრე ყურანის თავისუფლად კითხვას შევძლებ, მაგრამ იმედი მაქვს რომ აქამდეც მივაღწევ, "ინშალაჰ" („ღვთის ნებით") როგორც ამას მუსლიმები იტყვიან. მანამდე კი არაბულის მოკრძალებული ცოდნით უნდა მოვახერხო მეტ-ნაკლებად ფონს გასვლა!

მუსლიმებს კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი და პატიებას ვთხოვ, რომ ჩვენ, როგორც ქართველმა ქრისტიანებმა ვერ შევძელით მათი დაცვა რელიგიური დისკრიმინაციისა და ძალმომრეობისგან. ვიხსენებ ჭელას მოჭრილ მინარეთს, სამთაწყაროს, ნიგვზიანისა და წინწყაროს ამბებს და მერე ასეთ ამბავს ვუყვები:

„ერთ მთიან სოფელში ძალიან გონიერი მოხუცი ცხოვრობდა. მასთან ვის არ ნახავდით ჭკუის საკითხავად მოსულს. ერთხელ სოფლის ბიჭებმა ამ მოხუცის აბუჩად აგდება გადაწყვიტეს.

მოხუცს უთხრეს – „აბა, თუ მართლა ასეთი გონიერი კაცი ხარ გვითხარი ხელში რა გვიჭირავს?" უთხრეს და მომუჭული ხელი აჩვენეს.

მოხუცმა იფიქრა, იფიქრა და უთხრა: „თქვენ ხელში ბეღურა გიჭირავთ!"

„მართალია, ბეღურა გვყავს ხელში, მაგრამ მოდი ახლა ის გამოიცანი, ეს ბეღურა ცოცხალია თუ მკვდარი?"

თუ მოხუცი იტყოდა „ცოცხალიო", მოუჭერდნენ ამ ბეღურას ხელს, მოკლავდნენ და მოხუცს მასხრად აიგდებდნენ იმისათვის ,რომ ვერ გამოიცნო. თუ მოხუცი იტყოდა ბეღურა მკვდარიაო, მაშინ ხელს გაშლიდნენ და ბეღურას ჰაერში შეაფრთხიალებდნენ. ასე რომ ორივე შემთხვევაში მოხუცი გამტყუნდებოდა.

მოხუცი დაფიქრდა. „ეგ ბეღურა ცოცხალია თუ მკვდარი, ეს თქვენზეა დამოკიდებული".

ამ ამბის მოყოლის შემდეგ თვალს ვავლებ აუდიტორიას, რომელიც აქამდე გულდასმით მიგდებდა ყურს და ვამბობ:

„ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული, ქრისტიანებისა და მუსლიმების მეგობრობაზე, ჩვენი რეგიონის მომავალიც ქრისტიანთა და მუსლიმთა მეგობრობაზეა დამოკიდებული. მოდით ვიმეგობროთ და გვიყვარდეს ერთმანეთი, მოდით ამის მაგალითი ქართველმა მუსლიმებმა და ქრისტიანებმა სხვებს მივცეთ".

ვასრულებ ჩემს სიტყვას. დარბაზიდან მესმის ყიჟინა, შეძახილები და ტაშის ცემა. ტარიელის გაბადრულ სახეს ვხედავ და ვხვდები, რომ სიტყვამ კარგად ჩაიარა.

თბილისში საღამოს 9-ისთვის ჩამოვედით. კარგად დავიღალე, მიუხედავად იმისა, რომ გზაში რამდენიმეჯერ ჩამთვლიმა.

ხვიჩა, 20 აპრილი

მაშინ (იეჰეს�იმი):

ერთშაბათი დგება. სისხამ დილას მარიამ მაგდალელი და სხვა ქალები იესოს საფლავზე მიდიან. მამაკაცი მოწაფეები ხელისუფლების შიშით დამალულები არიან. საფლავი ქალებს ცარიელი უხვდებათ. ტილოები, რომელშიც იესოს გვამი იყო გახვეული ადგილზე აწყვია.

ქალები დაინახავენ ვიღაცას, მებაღე ჰგონიათ, არადა ეს მკვდრეთით აღმდგარი იესოა. იესო მარიამ მაგდალელს სახელით ეძახის. ქალიც მხოლოდ ახლა ამოიცნობს მასში იესოს.

მარიამ მაგდალელი პირველი ადამიანია, რომელიც მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს

■ მუსლიმებს კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი და პატიებას ვთხოვ, რომ ჩვენ, როგორც ქართველმა ქრისტიანებმა ვერ შევძელით მათი დაცვა რელიგიური დისკრიმინაციისა და ძალმომრეობისგან. ვიხსენებ ჭელას მოჭრილ მინარეთს, სამთაწყაროს, ნიგვზიანისა და წინწყაროს ამბებს და მერე ასეთ ამბავს ვუყვები.

ვახუშტი მენაბდე, იურისტი

„ლიბერალი" ჩემთვის პროგრესული გამოცემაა, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს თამამი სამოქალაქო პოზიციიდან აშუქებს. „ლიბერალი" არის მედიასაშუალება, რომელიც პოპულარიზაციას უწევს კონსტიტუციურ ღირებულებებს და ამკვიდრებს მაღალ სტანდარტს ქართულ საჯარო სივრცეში. „ლიბერალი" ყოველთვის აშუქებს საკითხებს, რომელიც შესაძლოა არ იყოს გათვლილი საზოგადოების მაღალ ინტერესზე, მაგრამ მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირება უმნიშვნელოვანესია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უგულებელყოფილი თემების წინ წამოსაწევად. ვისურვებდი, რომ „ლიბერალი" იყოს უფრო სტაბილური მედიასაშუალება, ვიდრე დღეს არის. უფრო მეტად ორგანიზებული და ამბიციური.

ეპისკოპოსები მერაბი, ილია და რუსუდანი თავიანთ ჰომილიებს ასრულებენ და ახლა ხუცესმა, თენგიზ კოდელაშვილმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. ამ დროს ვხედავ, შუა ეკლესიაში შემოსულ, ჩამწკრივებულ ხალხს. ვაკვირდები და ვხედავ, ესენი არიან გიგი უგულავა – ყოფილი ქალაქის მერი, გიორგი ბარამიძე – პარლამენტარი, ნიკა მელია – თბილისის მერობის კანდიდატი და სხვები. ეკლესიაში აღდგომა და შობა ღამეს მოსვლის ტრადიციას გიგი უგულავამ ჩაუყარა საფუძველი და კარგი იქნება, რომ ტრადიცია დავიწყებას არ მიეცეს.

ხვდება და მისგან დავალებას იღებს, რომ მისი აღდგომის ამბავი მოციქულებს გააგებინოს. ამით მარიამ მაგდალელი, როგორც მას ადრექრისტიანულ მწერლობაში მოიხსენიებენ, „მოციქულთა მოციქული“ ხდება.

აღდგომის ამბიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმისათვის რომ შიში და სიკვდილი იყოს დაძლეული, საჭიროა მტკივნეული გზის გავლა. იესოს ცხოვრებაში წითელი პარასკევის გარეშე, არ იქნებოდა ერთშაბათის დილა და ცარიელი საფლავი. ჯვარცმას აღდგომა მოსდევს და აღდგომას ჯვარცმა უძღვის წინ.

ახლა (თბილისი):

წირვას ოდნავ დაგვიანებით ვიწყებთ. შესავალ ნაწილში იკითხება საკითხავი იოანეს სახარების პირველი თავიდან, „დასაწყისში იყო სიტყვა....“ ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მეუფე რუსუდანი საკურთხეველთან საფლავთან მისული ქალების ამბავს ყვება.

შემდეგ, კარში დანთებული ცეცხლიდან იმ სანთელს ვანთებთ, რომელიც პარასკევს, იესოს სიკვდილის ნიშნად, ჩავაქრეთ. მერე ტაძრის კარზე ვაბრახუნებთ... ახლა კარი უნდა გავაღოთ, მაგრამ იმედა მგელიაშვილმა იმისთანა ძალით მიხურა კარი, რომ აღარ იღება. ერთხანს ორივე ვებღაუჭებით კარს და ძლივსძლივობით ვაღებთ. ჩაბნელებულ ტაძარში სანთელი შეგვაქვს, რომელიც იესოს მკვდრეთით აღდგომას განასახიერებს.

ჩვენი მოცეკვავეები ახალგაზრდა ბალერინის, ელენეს მონაწილეობით გვთავაზობენ საოცარ ცეკვას. პატარა ლიზის დაფნის გვირგვინი შემოაქვს და საკურთხეველზე ასვენებს...

ეპისკოპოსები მერაბი, ილია და რუსუდანი თავიანთ ჰომილიებს ასრულებენ და ახლა ხუცესმა, თენგიზ კოდელაშვილმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. ამ დროს ვხედავ, შუა ეკლესიაში შემოსულ, ჩამწკრივებულ ხალხს. ვაკვირდები და ვხედავ, ესენი არიან გიგი უგულავა – ყოფილი ქალაქის მერი, გიორგი ბარამიძე – პარლამენტარი, ნიკა მელია – თბილისის მერობის კანდიდატი და სხვები. ეკლესიაში აღდგომა და შობა ღამეს მოსვლის ტრადიციას გიგი უგულავამ ჩაუყარა საფუძველი და კარგი იქნება, რომ ტრადიცია დავიწყებას არ მიეცეს.

ევქარისტიას ეგრეთ წოდებული „რუსთველის ანაფორით“ ვიხდით. „ანაფორა“, ასე ეწოდება ლიტურგიკული ტექსტს, რომელიც შეიცავს ევქარისტიულ წესს. ყველაზე ადრინდელი ანაფორები სადღაც მესამე-მეოთხე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ჩვენს ანაფორას რუსთველისა იმიტომ ჰქვია, რომ იგი შესავალ ნაწილში „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტებს შეიცავს.

ევქარისტიის შემდეგ იმართება ქრისტიანული სამუსიკო ხელოვნების ფესტივალი, რომელსაც უკვე კარგა ხანია ნანა თევდორაძე უძღვება.

ფესტივალს „აფხაზი გოგონას დღიურების“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი მოსდევს. ძალიან ამაღელვებელი სპექტაკლია. ბევრი ცრემლს ვერ იკავებს.

დილის საარზე, ასე 5 საათამდე ყველანი ტაძრიდან გავდივართ და ავტობუსებით ცისკრის მსახურების გადასახდელად მივემგზავრებით. ჯერ კიდევ კარგად ბნელა. ავდივართ ტაბახმელის მთაზე. ცივა, ქარი უბერავს. მანქანიდან ვიღებთ შეშის ნაჭრებს და ცეცხლს ვანთებთ. მალე მშვენიერი კოცონი ინთება. ყველანი მოგიზგიზე ცეცხლს ვეფიცხებით. სულ მალე თავზე გვათენდება და ჩვენ წინ ულამაზესი სანახაობა იშლება.

კიდევ ერთხელ ვიხდით ევქარისტიას ოღონდ ახლა ვალდენსიანური წესით: არა პურითა და ღვინით, არამედ თევზითა და ღვინით.

ვაკურთხებთ მშვენივრად შემწვარ თევზსა და წითელ ღვინოს და ყველას ვურიგებთ. თევზი იესო ქრისტეს სიმბოლო იყო ჯერ კიდევ ადრექრისტიანული ეპოქიდან (ΙΧΘΥΣ ბერძნული სიტყვა „თევზი“ მოიაზრებოდა როგორც ქარაგმა: Ι - იესო, Χ - ქრისტე, Θ – ღმერთის, Υ – ძე, Σ – მაცხოვარი). შემწვარი თევზი ამავდროულად იწვევს გალილეის ტბის პირას გაწყობილი საუზმის ალუზიას – მკვრეთით აღგომის შემდეგ იესომ თევზაობიდან დაბრუნებულ მოწაფეებს ნაკვერჩხლებზე დადებული თევზი დაახვედრა!

იმართება არიფანა: სუფრებსა ვშლით და ერთმანეთს პურით, ღვინითა და სხვა ნაირ-ნაირი საჭმელებით ვუმასპინძლდებით.

დილის 9 საათისთვის სააღდგომო პურობა მთავრდება. ხალხი ავტობუსებით ბრუნდება თბილისში. მე, ალა და ჩემი რამდენიმე მეგობარი ერთხანს ვრჩებით. კოცონი ისევ ანთია. მეტი წილი შეშა ჩამწვარია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთი აღდგომის დღესასწაული გადავაგორეთ მშვიდობიანად.

წელს ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ დაარსებიდან 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. იუბილე მთელ მსოფლიოში აღინიშნება: ჯგუფის წევრი ბანკები ამ მოვლენას სხვადასხვა საქმიანი და საზეიმო ღონისძიებით ზეიმობენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სპორტული და სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული მასშტაბური ღონისძიება **„მოქალაქეობრივი სოლიდარობის თამაშები 2014“**. ბანკი „რესპუბლიკა“ უერთდება ამ ინიციატივას, თამაშებში თავისი რაგბის გუნდებით წარსდგება და უცხოელ კოლეგებს საფინალო თამაშებზე პარიზში შეხვდება. მონაწილე გუნდები და მათი მხარდამჭერები ახალგაზრდა ადამიანების კარიერისა და განათლების ხელშესაწყობად თანხებს შეაგროვებენ.

ჯგუფი “სოსიეტე ჟენერალი” 150 წლისაა მსოფლიო საქველმოქმედო შეჯიბრი

ქველმოქმედება, სოლიდარობა, სპორტი, გულშემატკივრობა

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

SOCIÉTÉ GÉNÉRALE 150 წლის

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხარბილავა

სამხატვრო აკადემიის სტუდენტების პერფორმანსი, აპრილი 2014

სამხატვრო აკადემიის პროტესტების "ეშმაკის ბოხბალი"

„ამას თვალები რატომ არა აქვს, ბრმაა?" – სოც.უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული, ომიდან დაბრუნებულ ინვალიდთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი ფესვენიძე.

„ეს სოკრატეა, აგულის გაკეთებული არ გეგონოთ, ძველი ნამუშევარია, ბნელი რომ იყო ხალხი – მაშინდელი", – პიპინია ერისთავი (მხ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა", 1968წ.)

გიორგი ჭეიშვილი

აგული ერისთავის სახელოსნოსგან განსხვავებით, „ბრმა" არა, მაგრამ შავი ფერის ქსოვილით თვალახვეული ბიუსტები თუ ქანდაკებები თბილისის სამხატვრო აკადემიაში აპრილის დასაწყისში, მას შემდეგ გამოჩნდა, რაც აკადემიის შენობის კედლები კითხვის ნიშნებითა და წარწერებით აჭრელებულმა ფურცლებმა დაფარა.

„აკადემია ვერ გეგუება, წადი", „აკადემიას არა აქვს პროექტორის შეძენის საშუალება", „მე არ მინდა, რომ ჩემი ლექტორი იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში იყოს შეტანილი", „და

ბია ეძგვეხაძე

მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი



მიმაჩნია, რომ სამხატვრო აკადემიის პრობლემა მხოლოდ ლოკალური ხასიათის არ არის და იქ არსებული ვითარება საზოგადოების სოციალური ცნობიერების ზოგადი კრიზისის ნაწილია. ამ კრიზისიდან გამოსვლისთვის კი ცნობიერი მუშაობა და სერიოზული სოციოლოგიური ანალიზია საჭირო.

საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული იდეოლოგია ითხოვდა, რომ შემოქმედებით სექტორს ამ იდეოლოგიის შინაარსისა და ფორმის შესატყვისი ნიშნების სისტემა შეექმნა: „სოციალისტური რეალიზმის“ (და მისი პერიფერიულ/ეთნიკური ვარიაციების) ხელოვნების ნიმუში ფიგურატიულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული და სრულიად გარკვეული ფსიქოლოგიური მოდუსის ნარატივი (თხრობა) გაეშალა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მიმეზისზე (მიბაძვა/კოპირება) იყო დამყარებული, როგორც სამყაროს „ადეკვატური“(?!) ასახვის პრინციპზე. ჩვენში შემოქმედებითი სკოლები ბევრითად, სწორედ მიმეზისის „ყოველგვარ ნაირსახეობას“ ასწავლიდნენ და დღესაც ასწავლიან.

დასავლეთის ვიზუალური ხელოვნების წამყვან შემოქმედებით სკოლებში სასურათო სიბრტყე დამოუკიდებელ/სუვერენულ რეალობად აღიქმება და სტუდენტს ამ სიბრტყეზე საკუთარი ვიზუალური სისტემის, საკუთარი ვიზუალური კოდების შექმნისკენ უბიძგებს. მიდგომის ასეთი პრინციპი რადიკალურად განსხვავდება მიმეზისზე დამყარებული სწავლების პრინციპისაგან, რომელიც ვიზუალური კოდის ზოგად და საწყის დეტერმინირებულობას ემყარება და შემოქმედების თავისუფლებას მის საწყისებშივე ბლოკავს. მიმეზისის პრინციპიდან, ამ ახალ პრინციპზე გადასასვლელად ვიზუალურ შემოქმედებასთან მიდგომის ფუნდამენტალური ცვლილებაა საჭირო, რომელიც მიზანდასახულ ძალისხმევას, გააზრებას და, რაც მთავარია, სურვილს საჭიროებს, რახან მიმეტური აზროვნების წესი ჩვენში ისტორიული მოთხოვნების გამო ღრმადაა გამჯდარი. ასეთი ცვლილების გარეშე მომავალი არ არსებობს – ეს ცვლილება ყოველმიზეზგარეშე მოხდება და ჩვენი ვალია მას ყველანაირად შევუწყოთ ხელი. გარემოსადმი ჩვენში გამჯდარი მონური დამოკიდებულება უნდა დასრულდეს – ჩვენ სრულად უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენს ცნობიერებაში არეკლილი გარემო მხოლოდ და მხოლოდ პირობითი აღმნიშვნელებისგან შედგება, ისინი კი, თავის მხრივ, მხოლოდ ჩვენი ინტერპრეტაციების და თამაშების პოტენციებს წარმოადგენენ.

მაქს ერნსტს, „მიმეზისზე“ ასეთი საზიზღარი მონობის მაგალითად, მამამისის (რომელიც ასევე მხატვარი იყო) შემოქმედებითი პროცესის ფრაგმენტი მოაქვს, რომელმაც საკუთარი ეზო დახატა, სადაც შუაში ხის ნერგი ხარობდა – სურათი სახლში რომ შემოიტანა, მასში ნერგის პოზიცია კომპოზიციურად არ მოეწონა და ამოშალა, შემდეგ კი ეზოში გავიდა და ის ნერგი ამოძირკვა, რომ მისი სურათის მსგავსება გარემოსთან არ დარღვეულიყო.

დღევანდელ შემოქმედებით სასწავლებელში პედაგოგმა მოსწავლეს საკუთარი ცოდნა/ხედვა კი არ უნდა „გადასცეს“, არამედ უნდა ეცადოს, რომ სტუდენტს კითხვების დასმა და სამყაროს პრობლემური ხედვა შეაყვაროს. პროფესორმა სტუდენტს მხატვრული ხედვის ინტუიციისკენ უნდა უბიძგოს, რათა მან შესძლოს შექმნას რაიმე იმდენად მნიშვნელოვანი, რასაც საზოგადოებაში კითხვის ნიშნების გაჩენის ძალა შესწევს და საზოგადოებას სამყაროზე მყარ წარმოდგენებს ურღვევს. ეს სწავლების ის დონეა, რომელიც პროფესორის კვალიფიკაციას მასწავლებლის დონისგან გამოარჩევს! ჩვენს ქვეყანას მოაზროვნეები სჭირდება, რადგან დღეს ჩვენს საზოგადოებაში ასეთი კითხვის ნიშნები არ არსებობს.

ლეიზა ლაფეხაძე

ფეხნეხის ლექტორი

როგორც პედაგოგი ვიტყვი, რომ სასწავლო პროცესში რეალურად არსებობს პრობლემები. ამაზე საუბრობენ სტუდენტები და ამაზე ვსაუბრობთ ჩვენც, რადგან სასწავლო პროცესს სწორედ ჩვენი, სტუდენტის და ლექტორის თანამშრომლობა ქმნის.

აკადემიაში ლექტორად მუშაობა ჩემთვის შემოქმედებით პროცესს გულისხმობს, თუმცა ამის შესაძლებლობა არ არსებობს. არის კონკრეტული მოცემულობა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება და ლექტორს მისი შესრულება ევალება. ამ მოცემულობის მიხედვით, ჩვენი მუშაობა რაღაც კონკრეტული შედეგისკენ უნდა იყოს მიმართული და არა თანამშრომლობისა და სტუდენტის ინდივიდუალურ განვითარებისკენ... თუკი პედაგოგი მუშაობის პროცესში თავისუფალი არ იქნება, მაშინ ვერანაირ შედეგზე ვერ ვილაპარაკებთ. რამდენიმე წლის წინ გვქონდა მცდელობა, რომ სახელოსნოში შეგვექმნა ისეთი გარემო, რომელიც სხვადასხვა ფორმებზე ფიქრისა და შემოქმედებითი პროცესის შექმნის საშუალებას მოგვცემდა, თუმცა ამას სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა და რამდენიმე წლით აკადემიიდან წამოსვლა მომიწია.

დღესდღეობით რეალობა არ შეცვლილა, არის ასეთი ვითარება – ლექტორი შედის ლექციაზე, სტუდენტი იღებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და არანაირი კითხვა არ უჩნდება. ხშირ შემთხვევაში პროცესი არა დიალოგის, არამედ მონოლოგის რეჟიმში მიმდინარეობს. ბოლო წლების განმავლობაში აკადემიაში უამრავი ისეთი სტუდენტი სწავლობს, რომელიც აქ იმ მიზეზით მოხვდა, რომ სასურველ სასწავლებელში მოსახვედრად სასურველი ქულების დაგროვება ვერ შეძლო. არაერთი პრობლემა გამოიწვია აკადემიაში მისაღები გამოცდების ფორმამაც.

დღემდე პრობლემურია სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის – სემესტრის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრების შეფასება. ეს პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, სტუდენტს საშუალება არ აქვს დაიცვას საკუთარი ნაშრომი, ან ის მაინც იცოდეს, რა კრიტერიუმებით ხდება მისი შეფასება.

აკადემია თავის თავზე არ იღებს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, თუ სად და რა ცოდნით უშვებს სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ. ვფიქრობ, რომ ეს დანაშაულია. აკადემიის უკეთეს მომავალზე ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ. ამ პროცესში ჩართული თითოეული პირის პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია.

მეთოდოლოგია?“, „დიპლომი: 900 ლარი; მასალები: 100 ლარი სემესტრში; მიღებული ცოდნა: შეუფასებელი“, „რამდენსაც მიხდიან, ისე გასწავლი“, – ეს სამხატვრო აკადემიის შენობის კედლებზე გამოკრული იმ ფრაზების მცირე ჩამონათვალია, რომლითაც სტუდენტთა ნაწილმა მათი ინიციატივით გამართულ აქციაზე აკადემიაში არსებული პრობლემების ლუსტრაცია სცადა.

ამ აქციებს მოგვიანებით სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნაწილის პერფორმანსი „Academy - it is time“ მოჰყვა, რომელზეც ნატურმორტს პანაშვიდი გადაუხადეს, ჯერ აკადემიის შენობიდან გამოასვენეს, „სასახლის“ ეზოში დასვენების შემდეგ კი სამგლოვიარო პროცესიაც დაიწყო.

ზემოთჩამოთვლილი მოვლენები სამხატვრო აკადემიაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით სტუდენტთა ნაწილში გაჩენილ პროტესტს უკავშირდება. ისინი აღნიშნავენ, რომ წლებია აკადემიაში პროტესტისა თუ ალტერნატივის შექმნის პრო-

ლევან სონღულაშვილი

ნიუ-იორკის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი



საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნით, განათლების სისტემამ და აკადემიურმა პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტის პროფესიულ ზრდას და „პიროვნებად" ჩამოყალიბების პროცესს.

შარშან დავასრულე თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო კურსი. დღეს აკადემია, ათწლეულების მანძილზე ნაგროვები პრობლემებით, ჩვენივე სახელმწიფოს ანარეკლია. მივტირით წარსულ ღირებულებებს, ვერც ვინარჩუნებთ მათ და ამასობაში გვავიწყდება მთავარი – ანწყო, რაც მომავლის წინაპირობაა.

ხელოვანის ტრანსგრესია დროისა და სივრცის პარალელურად უნდა გახორციელდეს, თუმცა არა შეძენილი ღირებულებების გაქრობის ხარჯზე. არსებულზე უნდა დაშენდეს ვიტალური, რათა მივიღოთ ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი და არა – პაროდია.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს რამდენიმე გამორჩეულ ხელოვანთან მომიწია ურთიერთობა, რაშიც გამიმართლა. თუმცა აკადემიაში უამრავი პრობლემა იყრის თავს, რომლის გადაჭრას პროფესიონალთა მიერ ფრთხილი და ურთიერთშეთანხმებული მუშაობა სჭირდება, რათა თანამედროვე სახელოვნებო ტენდენციებთან სინთეზში აკადემიის მნიშვნელოვანი ტრადიციები (და უნიკალური შენობა) შენარჩუნდეს, ასევე, აუცილებელია რამდენიმე ალტერნატიული ინსტიტუციის შექმნაც.

დღეისათვის, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, სამწუხაროდ, განსხვავებული ინტერესები აქვთ. ძნელად მოიძებნება ჯგუფი, რომელსაც ერთიანი და ჩამოყალიბებული, არგუმენტებით გამყარებული პოზიცია აქვს და ტრაფარეტული განცხადებებით არ შემოიფარგლება, რაც კიდევ უფრო კრიტიკულს ხდის არსებულ გარემოებას.

ცესები მიმდინარეობს, ხოლო თუკი ამდენი წელია ყველა საუბრობს, რომ რაღაც შესაცვლელია, ესე იგი ეს სიმართლეა და წინა წლებისგან განსხვავებით, დღეს აკადემიის შიგნითაც თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ პრობლემები მართლაც არსებობს.

სტუდენტთა ეს ჯგუფი მიიჩნევს, რომ დღეისათვის სამხატვრო აკადემიაში სააზროვნო პროცესი მკვდარია, სასწავლებელში არ ხდება შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, (ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით კარგად ჩანს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე) თავისუფლად მოაზროვნე სტუდენტი მაქსიმალურად ექცევა შემოქმედებით ჩარჩოებში, თეორიულ ლექციებზე მხოლოდ ინფორმაციის გაცნობა ხდება, არ მიმდინარეობს დისკუსია და სტუდენტს თითქმის არ ეძლევა კითხვის დასმის საშუალება.

სტუდენტები აკადემიაში არსებულ პრობლემებზე:

ნატალია ნებიერიძე

წლების მანძილზე აკადემიაში არაფერი იცვლება. ვგულისხმობ თანამედროვე, თავისუფალი, სააზროვნო სივრცის გაჩენას. არავინ აანალიზებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს არა მარტო აკადემიისთვის, ან სტუდენტებისთვის, არამედ ქვეყნისთვის. ლექტორი სტუდენტს ელაპარაკება, როგორც ბავშვს. რატომღაც ფიქრობენ, რომ ჯერ აქ უნდა ისწავლო, შემდეგ კი გახვიდე და შეგიძლია გააფრინო. მიიჩნევენ, რომ რაღაცა ფორმების სწავლით შესაძლებელია შემოქმედებას შინაარსიც შესძინო. ანუ თუ კარგად ისწავლი ფიგურის დახატვას, მერე ეს კომპოზიციაში გამოგადგება. რატომ უნდა შექმნა კომპოზიცია მაინცდამაინც ფიგურით, რა-

ფოტო: ლევან ნარგელიანი

სამხატვრო აკადემიის სტუდენტების პერფორმანსი, აპრილი 2014

ტომ უნდა დაიწყო აზროვნება ფორმით და არა შინაარსით, ამაზე არ არის საუბარი. ეს ძალიან დიდი პრობლემაა და შემდეგ შიგნით პატარ-პატარა პრობლემებამდე ხურდავდება. არტსივრცე, ისევე როგორც სხვა ყველაფერი ქვეყანაში, ვიწრო ჩაკეტილ წრეშია მოქცეული და ამ წრეების გარღვევა აკადემიამ უნდა ითავოს. ამაზე დღეს დისკუსია არ მიმდინარეობს. ხშირად ამბობენ, რომ ამ აბუნტებულ სტუდენტებს აკადემიის დანგრევა სურთ, რეალურად კი პირიქითაა, თუ უნდათ, რომ აკადემია

მაღხაზ სონღულაშვილი, თეოლობიის დოქტორი



სიმართლე გითხრათ, პირველად როდის ავიღე ხელში ჟურნალი "ლიბერალი", ზუსტად აღარ მახსოვს. ის მახსოვს მხოლოდ, რომ ქართულ მედიასივრცეში მისი გამოჩენა ძალიან გამიხარდა. მისი არსებობა ახლაც დიდი ნუგეშია ჩემთვის.

„ლიბერალის" არსებობა ჩვენს საზოგადოებაში იმ ათინათივითაა, სიბნელეში რომ შემოიჭრება და გულში იმედს ჩაგისახავს და შეიძლება, ოდესმე აქაურობა მთლიანად განათდეს: იკლოს ბნელმა და იმატოს ნათელმა, იკლოს სიძულვილმა და იმატოს სიყვარულმა, იკლოს შურისმაძიებლობის სულისკვეთებამ და იმატოს შენდობის სურვილმა.

ასევე, ვფიქრობ, რომ "ლიბერალის" ჟურნალისტი ნამდვილად გმირად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის უპირისპირდება იმ სიბნელესა და გაუნათლებლობას, რომელმაც ლამის არის მთლიანად წალეკოს რუსთველისა და ვაჟას ქვეყანა.

მომავალში მინდა, რომ გაფართოვდეს "ლიბერალის" გავრცელების არეალი და მეტი ადამიანის ყურსა და გულს სწვდებოდეს მისი ხმა. ვულოცავ მას იუბილეს და ხანგრძლივ და ჯანსაღ „სიცოცხლეს" ვუსურვებ.

თინათინ ხიდიაშვილი

სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სამხატვრო აკადემიაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია ცვლილებები, იმიტომ, რომ თავად დღევანდელობაც ითხოვს ამას. არ შეიძლება წლების განმავლობაში ერთ ადგილას გავიყინოთ. 25 წელია გამუდმებით მიმდინარეობს რეფორმები, სულ გარდამავალ პერიოდში ვართ, თანაც ამ პროცესიდან 90-იანი წლები შეიძლება საერთოდ გამოვრიცხოთ.

ზოგადად, პრობლემა სახელმწიფოში არსებობს. ჩვენ აბსოლუტურად მიბმული ვართ სახელმწიფო სტრუქტურას და არაერთ საკითხში მასზე ვართ დამოკიდებულები. რა თქმა უნდა, არსებობს შიდა პრობლემები, რომლებსაც ჩვენ თვითონაც დიდი ხანია ვიცით და გვაქვს ხედვები, თუმცა გარკვეულ საკითხებში ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს.

საგანმანათლებლო პროცესში ცვლილებები აუცილებელია და შიდა აკადემიური პრობლემებიც ნამდვილად არსებობს. ამასთან დაკავშირებით სტუდენტების აზრი გასათვალისწინებელია, მაგრამ, როდესაც ისინი ამაზე საუბარს, პრაქტიკულად, სემესტრის ბოლოს იწყებენ, ძალიან რთულია ამ გლობალური პრობლემების ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. რაც შეეხება პატარ-პატარა სეგმენტებს – ყველანაირად ვცდილობთ ამ ყველაფრის მოგვარებას. უფროსები ვერ ამჩნევენ იმას, რასაც ხედავენ ახალგაზრდები და ამას მივესალმები – მათ პრობლემების ერთად გადაჭრას ვთავაზობთ, რისი მოგვარებაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში შეგვიძლია.

უამრავი პრობლემა გვაქვს – აკადემიის შენობა ინგრევა და ელემენტარულად აუდიტორიები არ გვყოფნის ახალგაზრდების დასაკმაყოფილებლად. ეს ყველაფერი თვითონაც არ მოგვწონს და გვინდა გამოვასწოროთ, უბრალოდ ფიზიკურად ვერ ვახერხებთ ამას.

სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ჩემი ყოფნა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ერთი წლის განმავლობაში მთლიანად უნდა შეცვლილიყო აკადემიური პერსონალი, თუმცა იურიდიული სტატუსის შეცვლას ახლაც ველოდებით – ადრე საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვიყავით, შემდეგ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირად გადაგვაკეთეს, ახლა ისევ სსიპ სტატუსი უნდა მოგვენიჭოს. ეს იმიტომ, რომ ფაქტობრივად არც ერთი ვართ და არც მეორე. ამ ცვლილებების შემდეგ მომენტალურად გამოცხადდება კონკურსი აკადემიურ თანამდებობებზე. ხუთკაციანი აკადემიური საბჭო ათკაციანით შეიცვლება. ეს დადგენილება უკვე მიღებული გვაქვს, რექტორის არჩევნები აბსოლუტურად გამჭვირვალე იქნება, თითოეული კანდიდატი საჯაროდ გაგვიზიარებს საკუთარ ხედვებს, მიზნებს, თუ რას უნდა ემსახუროს 4 წლის განმავლობაში და ამ პროცესის განხილვაც საჯარო იქნება.

ბოლო წლებია ვცდილობთ არსებული ვითარების გამოსწორებას, სხვათა შორის, ძალიან ბევრი კეთდება, თუმცა, სამწუხაროდ, მედია ამას ყურადღებას არ აქცევს. ის თითქოს მხოლოდ ნეგატივს ამჩნევს, რაც ზოგადად არსებობს დღევანდელ სოციუმში, ხოლო პოზიტივის მიმართ გულგრილია. ვფიქრობ ეს ყურადსაღებია.

სამხატვრო აკადემია არის სკოლა, სადაც კლასიკური და თანამედროვე აზროვნება უნდა იყოს შერწყმული, რაც თვითმყოფადობის შენარჩუნების წინაპირობაა. თანამედროვეობას აუცილებლად უნდა ავუწყოთ ფეხი. ამას ძალიან სერიოზული განხილვა და მსჯელობა სჭირდება. ეს უნდა მოხდეს ჩვენი, ახალგაზრდებისა და საზოგადოების მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოხბი ხევლიშვილი

მხატვარი, სამხატვრო აკადემიის ექტორის ყოფილი მრჩეველი

აკადემიაში დღეს იგივე პრობლემებია, რაც საბჭოთა პერიოდში იყო. იგივე გრძელდებოდა ჩემი სტუდენტობის, შემდეგ კი ჩემი პედაგოგობის დროს. ეს მთლიანად ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემაა, რომელიც საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის ერთგვარი ინერციაა. ეს სისტემა ინდოქტრინაციის მანქანას წარმოადგენდა და მისი მთავარი დანიშნულება ხელისუფლების მორჩილი კადრების მომზადება იყო.

იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდ ნაწილში დღესაც ინერციით მუშაობს. სისტემა, რომელსაც მართავს ხელისუფლება ან რაიმე სხვა ძალები, გარდა უმაღლესი რანგის მეცნიერების/შემოქმედებისა, არ არის ის აკადემიური თავისუფლების სივრცე, სადაც ზოგადად შემოქმედების, მეცნიერების არსებობა შესაძლებელია.

ამდენად, აკადემიაში არსებული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი მთლიანად საგანმანათლებლო სივრცის რეფორმაა. არსებული სისტემის ერთადერთი პოზიტიური ალტერნატივა კი დასავლური განათლების სისტემაზე გადასვლაა, რაც ახალმა ხელისუფლებამ თავის ამოცანად დასახა და ამის უზრუნველსაყოფად კომისიაც შექმნა.

დასავლური სისტემა გულისხმობს მოდელს, რომელსაც ჩვენში „ტენუარის სისტემა“ დაერქვა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მას სხვა ალტერნატივა არ აქვს და ყველანაირი სხვა ძალისხმევისთვის მიმართვა – მაგალითად: ახალი რექტორის არჩევა; „ცუდი“ მეთოდოლოგიის „კარგით“ ჩანაცვლება – ნიშნავს რეალური პრობლემების გაუცნობიერებლობას და აბსურდია. სტუდენტობიდან მოყოლებული სულ ჩართული ვარ, ან თვალყურს მაინც ვადევნებ სტუდენტურ აქტივობებს და დასანანი იქნება, თუკი ეს ენერგია უაზროდ დაიხარჯება. ვერანაირი პერფორმანსი შედეგს ვერ გამოიღებს, თუკი ამ ძალისხმევის კონტექსტში არ ჩაჯდება.

ტენუარის სისტემის არსი ძალიან მარტივია – უნივერსიტეტი სტუდენტისა და პროფესორის შეხვედრის ადგილია, სადაც მათ შორის შემოქმედებითი თანამშრომლობა უნდა შედგეს და ამ თანამშრომლობით უნდა შეიქმნას ახალი ტიპის აზროვნება, გაკეთდეს აღმოჩენები, განვითარდეს ხელოვნება, მეცნიერება და ა.შ. ეს შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში – როცა პროფესორები თავად არიან მოწოდებით შემოქმედი და მეცნიერი ადამიანები. ტენუირების სისტემა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტში პედაგოგებად უნდა მოვიდნენ ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები და სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა სტუდენტებთან, ისინი უნდა წარმართავდნენ აკადემიურ პროცესებს. რაც შეეხება იმ საკითხს, ვინ არის ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, ეს გარე, თავად უმაღლესი რანგის, უკვე აღიარებულ შემოქმედთა რეფერირებით უნდა გაირკვეს. ამგვარად – კაცობრიობისთვის ცნობილი ერთადერთი ობიექტური კრიტერიუმით გამოვლენილი ადამიანები შემდეგ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლებით: უვადო კონტრაქტით, შესაბამისი ანაზღაურებით, მუშაობის პირობებით...

ჭორები, რომ სტუდენტების უკან ვიღაც დგას, შეთქმულების თეორიების მიმდევართა ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს. თუმცა ეს პირველ რიგში ახალგაზრდების შეურაცხყოფაა. სამხატვრო აკადემიაში ბოლოდროინდელი აქტივობის პირველივე დღიდან დაიწყო იმაზე საუბარი, თითქოს ამ პროცესების უკან ვიდექი. რეალურად თითქმის ორი წელია აკადემიასთან დაკავშირებულ არანაირ პროცესში პრინციპულად არ ჩავრეულვარ – ვფიქრობ, რომ აკადემიის ადმინისტრაციასთან პოლემიკით შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ძალისმხევა მხოლოდ ხელისუფლებისკენ და საზოგადოებისკენ უნდა იყოს მიმართული. გამუდმებით იმაზე საუბრით, რომ ყველაფრის უკან ვდგავარ, სტუდენტებს ჩემი თავი რამის მითიურ პერსონაჟად დაუხატეს და ამით მხოლოდ მათი ინტერესი გაიღვივეს. რამდენიმე სტუდენტი Facebook-ის მეშვეობით დამიკავშირდა, შემდეგ შევხვდი მათ. არ არსებობს ძალა, რომელმაც შეიძლება მაიძულოს არ შევხვდე სტუდენტებს, როცა ეს ინიციატივა მათგან მოდის.

გადარჩეს და თავისთავადი სიკვდილით არ მოკვდეს, მაშინ ამ პრობლემების აღმოფხვრაზე უნდა დაიწყოს მუშაობა.

თორნიკე ტატიშვილი

წლებია აკადემიაში ეს პრობლემები არსებობს და საზოგადოება თითქოს მიეჩვია ამას. ყელში აქვთ ამოსული, რომ აკადემიაში ასეთი სიტუაციაა და გამოსავალი ვერ მოინახა. ამ ყველაფერზე არ სურთ საუბარი, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ თუ არ იფიქრე, არაფერი გამოსწორდება.

დაჩი ჩეზია

აკადემია იმდენად ვეღარ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს, რომ საზოგადოებაც ინდიფერენტული გახდა მის მიმართ. სასწავლებელი კონკურენტუნარიან არტისტს არ უშვებს, მთელი 4 წლის განმავლობაში სტუდენტი შემოქმედებითად იმდენად მოდუნებულია, საერთოდ აღარ აქვს შემოქმედებითი აქტივობის სურვილი, რადგან არ ეჩვევა ამ ტიპის რეალიზაციას.

მარიამ ასლანიშვილი

ვფიქრობ, რომ რაც დღეს აკადემიაში ხდება, ეს მხოლოდ აკადემიის კი არა, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის პრობლემაა და მიმაჩნია, რომ ამაზე სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმაც არ უნდა დახუჭონ თვალი.

გიორგი კარტოზია

კარგი სტუდენტი აკადემიაში დღეს ასოცირდება ისეთ სტუდენტთან, რომელიც კითხვას არ სვამს, ხმას არ იღებს და არ ინტერესდება მიმდინარე პროცესებით. აკადემიის სტუდენტების ნაწილს აქვს პესიმისტური დამოკიდებულება – „როგორ არ მობეზრდათ? რით ვერ დამთავრდა ეს ყველაფერი? აქაურობას მაინც არაფერი ეშველება? საერთოდ რა გინდათ?“ და ა.შ. ადმინისტრაცია გვთავაზობდა დიალოგსა და დისკუსიას დახურულ კარს მიღმა. ცოტა არ იყოს სასაცილოა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ადმინისტრაცია ჩვენი დახმარების გარეშე ვერ ხედავდა პრობლემებს. ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა გაირკვეს, თუ რა გეზი აქვს აკადემიას – ვრჩებით საბჭოეთის ღირებულებების ერთგულნი, თუ მივდივართ დასავლეთისკენ.

სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც სამხატვრო აკადემიის პრობლემებზე საუბრობს, ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური რესურსის აკადემიაში მიწვევასა და მათთან ერთად როგორც სასწავლებელში, ასევე ქვეყანაში, შემოქმედებით სფეროებში არსებული კრიზისის გაანალიზებას გეგმავს. ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა ჩაკეტილ წრეს უნდა გასცდეს, რადგან ეს მხოლოდ სამხატვრო აკადემიის პრობლემა არ არის.

„ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ დაიწყოს ინტენსიური მუშაობა, გვინდა შევიმუშავოთ პრობლემის გადაჭრის ახალი კონცეფცია. ე.წ. „აბუნტებული“ სტუდენტები მხოლოდ ჩვენ არ ვართ და არიან სტუდენტები, რომლებსაც არსებული პრობლემების მოგვარების სხვა, გონების დაძაბვითი სამუშაოებისგან განსხვავებული ხედვები აქვთ. ვცდილობთ ალტერნატიული სივრცის დანახვას, მარტო ამას ვერც სტუდენტები, ვერც ადმინისტრაცია და ვერც რექტორი ვერ მოახერხებს“.

ჩუსუდან გოსტიჩიძე, ევანგელეს-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

ინტერნეტსივრცეში ზღვა მასალაა. ამდენ ტყუილ-მართალსა თუ ხარისხიან-უხარისხო მასალასთან ჭიდილში წლების მანძილზე სანდოობის თვალსაზრისით საკუთარი კრიტერიუმები გამოვიმუშავე. როცა „ლიბერალის“ წითელ-თეთრ ლოგოს მოვკრავ თვალს, მშვიდად ვიწყებ კითხვას, რადგან ინფორმაციის სანდოობაში დარწმუნებული ვარ... გარდა ამისა "ლიბერალის" გვერდზე, ძალიან საინტერესო ბლოგები იწერება. ამ შემთხვევაში ჩემთვის ფასეულია როგორც მედიაპროდუქციის ობიექტურობა, ასევე ბლოგერის სუბიექტური ხედვაც, რომელიც უნიკალურ, ძალიან საინტერესო და ამა თუ იმ, თუნდაც ათასგზის განხილული თუ გადაღეჭილი თემის ახლებურ ანალიზს მთავაზობს.

ჩემთვის „ლიბერალი“ ხარისხის, თავისუფალი აზროვნებისა და გაბედულების ნიშანია. იმედი მაქვს ეს მედიასაშუალება ამ, ჩემთვის მნიშვნელოვან, ფასეულობებს არც მომავალში უღალატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სატელევიზიო შოუ „ფული და სურვილები“

თიბისი ბანკის პროექტი ფინანსური ცნობიერების ასამაღლებლად

ავტორი: ნინო ბერძენიშვილი

საბანკო მომსახურებით თანამედროვე ადამიანების დიდი ნაწილი სარგებლობს, თუმცა ნაკლებად ფიქრობს იმაზე, როგორ გამოიყენოს ეს სერვისები ისე, რომ მაქსიმალურად მოგებული დარჩეს ან საერთოდ, როგორ მართოს საკუთარი ფინანსები ოპტიმალურად და ეფექტურად.

საქმე ის გახლავთ, რომ ყოველდღიური რუტინა ადამიანებს დიდ ენერგიას და გონებრივ რესურსს გვართმევს. თანაც, ეს ის თემებია, რომლებიც ყველას გვგონია რომ ვიცით, თუმცა ზოგჯერ მარტივმა რჩევამაც კი შესაძლებელია, ჩვენი ცოდნა და მიდგომა ფინანსების მიმართ რამდენიმე წუთში პოზიტიურად შეცვალოს. სწორედ ასეთი მარტივი, მაგრამ სასარგებლო რჩევების ყველასთვის გასაგები ენით გადმოცემას ითვალისწინებს თიბისი ბანკის პროექტი „სალომე შელიას ფინანსური რჩევები“.

3-5-წუთიანი ვიდეობლოგები სოციალურ ქსელებში რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა. ამ ვიდეოებში საზოგადოებისთვის მანამდე უცნობი სალომე შელია ადამიანებს უყვებოდა, როგორ ეშოპინგათ ონლაინსივრცეში უსაფრთხოდ, როგორ შეექმნათ დადებითი საკრედიტო ისტორია, როგორ დაეზოგათ ფული და ა.შ. მოგვიანებით ჟურნალ Closer-ში მისი სტატიაც - „როგორ ვხარჯოთ ფული ჭკვიანურად“ - დაიბეჭდა.

ამ რჩევებში რევოლუციურ აღმოჩენას ვერ გააკეთებთ, თუმცა პროექტის დანიშნულება ეს არც არის. ადამიანები არცოდნის გამო საბანკო პროდუქტებით ეფექტურად სარგებლობას ვერ ახერხებენ, ამიტომ პროექტის მნიშვნელოვანი მიზანი იმ ცოდნის გაზიარებაა, რომელიც მათ მომგებიანად გამოყენებას უკავშირდება. ასევე მნიშვნელოვანი მიზანია ფინანსების ოპტიმალური მართვისთვის სხვადასხვა პრაქტიკული რჩევების შეთავაზებაც.

გაიზიარებენ თუ არა ამ გამოცდილებას, ეს მთლიანად ადამიანების სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ სალომე შელიას ფინანსური რჩევები ნებისმიერი ბანკის მომხმარებელს გამოადგება. ის ადამიანებს, არა მარტო თიბისი ბანკის პროდუქტებში, არამედ ზოგადად საბანკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროში არკვევს. ვიდეოებსა თუ სტატიებში არსადაა ნახსენები რომელიმე კონკრეტული პროდუქტი. საუბარია მხოლოდ ზოგად რჩევებზე: როგორ უნდა ისარგებლოს ადამიანმა ამ შეთავაზებით ისე, რომ არ დაზარალდეს.

სალომე შელია ამბობს, რომ პროექტი ადამიანებს ცოდნას ბევრი მიმართულებით მისცემს, ეს ცოდნა კი მათ თავდაჯერებულობას გაზრდის: „ვიდეობლოგების ჩაწერამდე ფილიალებში დავდიოდი და მომხმარებლებს ვაკვირდებოდი. რამდენიმე კვირა ასე გავატარე, უბრალოდ ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ იქცეოდნენ მომხმარებლები ბანკში, რას კითხულობდნენ, რაზე დარდობდნენ. ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც გამოვიტანე, ის იყო, რომ ბანკში მათი დიდი ნაწილი დაბნეული მოდიოდა. ასეთ დროს კი ადამიანებს ყოველთვის ცოდნა აყოჩაღებთ. როცა იცი, უფრო მყარად ხარ და ბანკთან ურთიერთობა შენთვის ბევრად უფრო კომფორტული ხდება“, - ჰყვება სალომე შელია.

ფინანსური რჩევების პროექტის იდეა თიბისის ბანკის მარკეტინგის დეპარტამენტში გაჩნდა. “დღევანდელი ფინანსური პროდუქტები სურვილების შესრულების უზარმაზარ შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ მათ თან ახლავთ პასუხისმგებლობა და ზოგჯერ გრძელვადიანი ვალდებულებები. ვფიქრობდით, რომ დრო იყო, საქართველოშიც ვინმეს საკუთარ თავზე აეღო ლიდერობა და დახმარებოდა ადამიანებს, ეპოვათ სწორი გზა ისეთ რთულ და კომპლექსურ საკითხებში, როგორიცაა პერსონალური დაფინანსება და საბანკო საქმე“, _ აღნიშნავს თიბისი ბანკის მარკეტინგისა და ბრენდის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გარი კოები.

იდეას პროექტის წამყვანის ძიებისა და შერჩევის პროცესი მოჰყვა. ჩანაფიქრის მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და თავადვე მოიფიქრებდა რა ეთქვა და - როგორ. სალომე შელია განათლებით ფსიქოლოგია, მაგისტრის ხარისხი შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით დაიცვა და მენეჯმენტითაც სწორედ იმ პერიოდში დაინტერესდა. შემდეგ ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ამერიკულ Case Western Reserve უნივერსიტეტში და MBA ხარისხი მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციაში მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა. აქვს საკუთარი საკონსულტაციო კომპანია IMG.

თავად კი ორგანიზაციებს კონსალტინგს ზოგადი მენეჯმენტის, ბიზნესპროცესების ანალიტიკის, ოპტიმიზაციისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებებით სთავაზობს. ფსიქოლოგიისა და ბიზნესის სფეროებში მიღებული კომბინირებული განათლება და გამოცდილება ძალიან დაეხმარა: „ჩემთვის ჩვეულებრივი და აბსოლუტურად გასაგები მომენტია ის, რომ მომხმარებლების ნაწილი სალომე შელიას სკეპტიკურად შეხედავს. მთავარია, მშვიდად და დინჯად მოიპოვო აუდიტორიის ნდობა, თუმცა ჩვეულებრივ უნდა მიიღო კრიტიკაც, რადგანაც ის პროექტის ისეთივე ნაწილია, როგორც მოწონება“, - ამბობს სალომე შელია.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა პროექტი ამ ზიტიურად მიიღეს. გამოხმაურებამ მოლოდინს გადააჭარბა, ვიდეობლოგებს კი ნავარაუდევზე ბევრად მაღალი რეიტინგი აქვს. ამ რეიტინგს პროექტის ჩანაფიქრიც განაპირობებს: სალომე შელია პირველ რიგში ადამიანების ინტერესებს ითვალისწინებს. მიიჩნევს, რომ განათლებულ მომხმარებელს ბანკისთვის მხოლოდ დადებითი შედეგები მოაქვს: „2008 წლის ფინანსური კრიზისის გამო ადამიანების ფინანსური ქცევა ღრმა შესწავლის საგანი გახდა. ზოგადად გაჩნდა კითხვა, თუ რამდენად ეწინააღმდეგება საბანკო ინდუსტრიის ინტერესს განათლებული მომხმარებელი. აღმოჩნდა, რომ პირიქით: არმცოდნე მომხმარებელის ქცევამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საბანკო სფეროს 2008 წლის კრიზისში. შესაბამისად, გამოდის, რომ ეს ინტერესები უფრო თანმხვედრია, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი“, - აღნიშნავს სალომე შელია.

პროექტის წარმატებამ ავტორები მომდევნო ეტაპსა და უფრო ფართო აუდიტორიაზე დააფიქრა. სტატიები ჟურნალ Closer-ში კვლავაც გაგრძელდება, Youtube-ს ვიდეოები კი უკვე სატელევიზიო არხ TV11-ის ეთერშიც გამოჩნდება. თუმცა ეს ყველაფერი არ არის. სალომე შელიას 17 მაისიდან ქართველი ტელემაყურებელი ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში იხილავს. მისი ნახევარსაათიანი გადაცემა ყოველ შაბათს გავა ეთერში.

როგორც პროექტის კონსულტანტი, ღამის შოუს სტუდიის გენერალური მენეჯერი დათო გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, გადაცემა ორნაწილიანი იქნება. Youtube-ის ვიდეოებისგან განსხვავებით, თემის განხილვას მაყურებელიც დაემატება, რომელსაც გადაცემის ჩაწერამდე თემასთან დაკავშირებული კითხვების ვებსაიტით, Facebook-ის გვერდით ან ტელეფონით გაგზავნა შეეძლება.

„შემდეგ ეს შეკითხვები დაჯგუფდება. ზოგიერთი მათგანის ავტორს კი სალომე შელიასთან ეთერში დარეკვისა და გასაუბრების საშუალება მიეცემა. იქნება რუბრიკაც, რომელშიც ასევე შეკითხვის ავტორს ან ავტორთა წყვილს დავპატიჟებთ. ეს პროექტი მზადდება იმისთვის, რომ ადამიანები დაფიქრდნენ, როგორ წარმართონ უკეთ ფინანსური ცხოვრება და გაიაზრონ, რამდენად სწორად მოქმედებენ. მათი ნაწილი ამ რჩევებით რაღაცას აუცილებლად შეცვლის. ცხადია, გადაცემას არ ექნება მასობრივი რეიტინგის პრეტენზია, თუმცა ის ალბათ გახდება გავლენიანი და სასარგებლო, იმიტომ, რომ ეხება ისეთ თემებს, რომლებიც ყველასთვის მნიშვნელოვანია“, - აღნიშნავს დათო გოგიჩაიშვილი.

ასე რომ, დაელოდეთ სალომე შელიას ახალ ფინანსურ რჩევებს ამჯერად უკვე ტელეეკრანებთანაც.

თიბისი ბანკი
TBC BANK

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ჩეჯღამა ჩებიონელ მაუწყებლებში

სალომე გორგოძე

რეგიონული მაუწყებლების ეთერში პოლიტიკური რეკლამის განთავსება პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, მაუწყებლების ხელმძღვანელები მიზეზებად, ერთი მხრივ, ისედაც მცირეშემოსავლიანი არხების ფინანსურ ზარალს ასახელებდნენ, მეორე მხრივ, სამაუწყებლო ბადეებში რეკლამისა და სხვა პროგრამების დისპროპორციაზე საუბრობენ. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (GNCC) მიმდინარე წლის 22 აპრილს „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილებები დაამტკიცა. რა რეგულაციებით ხვდებიან რეგიონული მაუწყებლები მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს? როგორ გავლენას იქონიებს კანონში შეტანილი ცვლილებები მათზე? რა საკითხები რჩება კვლავ მოუგვარებელი?

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში (მუხლი 66) შეტანილი ცვლილებით უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვება რეგიონულ მაუწყებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ევალებათ, თუ საარჩევნო სუბიექტი ფასიან პოლიტიკურ რეკლამასაც განათავსებს. ამ შემთხვევაში, იგი ვალდებულია მის მიერ გავრცელებული ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ჯამურ დროზე სულ ცოტა 3-ჯერ მეტი დრო წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსებისთვის გამოყოს. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51 მუხლში ნათქვამია, რომ საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია, საარჩევნო კამპანიის დროს თავის ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 90 წამით, უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, განათავსოს თითოეული კვალიფი-

ციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო რეკლამა. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წელს კანონი ისე განმარტა, რომ მაუწყებლები ვალდებულნი იყვნენ უფასო პოლიტიკური რეკლამის დრო იმ შემთხვევაშიც აეთვისებინათ, თუ საარჩევნო სუბიექტები ფასიან პოლიტიკურ რეკლამას არ განათავსებდნენ. რეგიონული მაუწყებლები აპროტესტებდნენ კანონის ამგვარ ინტერპრეტაციას და ამბობდნენ, რომ საარჩევნო სუბიექტები ითვისებდნენ მათთვის გამოყოფილ უფასო დროს და ტელევიზიას ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებას აღარ უკვეთავდნენ. რაც, თავის მხრივ, ფინანსურად აზარალებდა ტელევიზიას.

გარდა ამისა, ცვლილება შევიდა „საარჩევნო კოდექსის" 56-ე მუხლში, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის ბიუჯეტიდან დამატებით სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად გამოიყოფა დაფინანსება, არაუმეტეს 600 000 ლარისა. კვალიფიციური სუბიექტი ვალდებულია რეკლამისთვის გამოყოფილი თანხიდან 15%, სულ ცოტა, 7 არაეროვნულ მაუწყებელში დახარჯოს.

ქუთაისის ტელეკომპანია „რიონი" 1989 წლიდან მაუწყებლობს. საეთერო ბადე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, შემეცნებით-გასართობ და სპორტულ გადაცემებს მოიცავს. ტელევიზია ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქებაზეა ორიენტირებული. კომპანია ძირითადად ცალკეული საავტორო პროგრამების სპონსორებისა და სარეკლამო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავლებით არსებობს. ამჟამად ეთერში 14 საავტორო გადაცემა გადის. ტელეარხზე სულ 72 თანამშრომელი მუშაობს. მაუწყებლობის არეალი ქუთაისსა და მიმდებარე რეგიონებს მოიცავს. ტელე-რადიო კომპანია „რიონის" გენერალური დირექტორი თამარ ღვინიანიძე ამბობს, რომ 2012 წელს, კანონის ინტერპრეტაციამ რეგიონული მაუწყებლები საგრძნობლად დააზარალა. თუმცა, ღვინიანიძის თქმით, რეგიონულ მაუწყებლებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, ჩაატარეს არაერთი ბრიფინგი, ცვლილებების შეტანის მოთხოვნით მიმართეს პარლამენტს, სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვეს უფასო პოლიტიკური რეკლამის ვალდებულების საერთოდ გაუქმება, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მსგავსი ვალდებულება კერძო ტელეკომპანიებისადმი დისკრიმინაციულია. „საბოლოოდ, ამ ცვლილებებს ნაწილობრივ მივაღწიეთ. კონკრეტულად, გაიმიჯნა საზოგადოებრივი მაუწყებლის, ეროვნული და რეგიონული მაუწყებლების ვალდებულებები", – ამობს თამარ ღვინიანიძე.

რაც შეეხება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 56-ე მუხლში შესულ ცვლილებებს, ღვინიანიძე წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუმცა, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა არ განსაზღვრულიყო იმ არაეროვნულ მაუწყებელთა რაოდენობა, სადაც რეკლამა განთავსდება, რაც პარლამენტმა არ გაითვალისწინა – „ფაქტია, ჩვენ ბოლომდე კმაყოფილები არ ვართ, მაგრამ მიღებული ცვლილებები წინ გადადგმული ნაბიჯია და იმედს ვიტოვებთ, რომ, როგორც „საარჩევნო კოდექსი", ისე კანონი „მაუწყებელთა შესახებ", თანდათან დაიხვეწება და სიტყვა "უსასყიდლოს" საერთოდ ამოიღებენ."

ბათუმის „ტელეარხი 25-ის" დირექტორი გიორგი სურმანიძე მიიჩნევს, რომ კანონში შესული ცვლილება შედარებით უკეთეს პირობებს ქმნის, თუმცა არის ორი შესაძლებლობა – „პირველი – გამოყოფილი თანხის 15% ტელეკომპანიებში გადანაწილდეს, რაც ჩემი ტელევიზიისთვის მოსალოდნელზე გაცილებით მცირე შემოსავალი იქნება და მეორე – გადანაწილდება მხოლოდ რეიტინგის მიხედვით, დამკვეთის მიერ შერჩეულ არხებზე. მეორე შემთხვევაში ჩემი ტელეკომპანიისთვის შემოსავლის მიღების მეტი შანსი ჩნდება, თუმცა დანარჩენი არხები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან".

გიორგი სურმანიძეს მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა სუბიექტებმა რეკლამა პროპორციულად უნდა განათავსონ სატელევიზიო რეიტინგების კვლევის საფუძველზე, რაც რეგიონული ტელევიზიებისთვის ჯერჯერობით არ ტარდება, – „რადგან ამის ვალდებულება საარჩევნო სუბიექტებს არ აქვთ, ამა თუ იმ პარტიამ, შესაძლოა, არჩევანი რომელიმე არხზე არა რეიტინგის, არამედ გარკვეული ინტერესის გამო შეაჩეროს. მაგა-

მაია ნიჟარაძე, ჟურნალისტი

„ლიბერალი" ჩემთვის არის სივრცე, სადაც შემიძლია განსხვავებული ინფორმაცია მივიღო და საინტერესო მოსაზრებები წავიკითხო იმ თემებზე, რაზეც "მეინსტრიმ" მედიაში არ ლაპარაკობენ. ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით ისაა, რომ ეს მედიასაშუალება ხელს უწყობს საზოგადოებაში სხვადასხვა თემაზე დისკუსიის დაწყებას, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და საზოგადოების განვითარებისთვის. „ლიბერალის" არსებობა ქართული მედიასივრცის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს.

კარგი იქნება, „ლიბერალი"ახალი ამბების გაშუქებისას უფრო გააქტიურდეს და მეტი სფერო მოიცვას. კიდევ უფრო ხარისხიანი მასალების და საინტერესო ავტორების გარდა, „ლიბერალს" ვუსურვებ ბევრ მკითხველს და კომერციული შემოსავლების ზრდას.

ლითად, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის ფაქტის გახმაურების შემდეგ „ქართული ოცნება" „ტელეარხ 25"-ში ფასიანი რეკლამის განთავსებას არ აპირებს".

რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის (GARB) ხელმძღვანელის ნათია კუპრაშვილის თქმით, კანონში შეტანილი ცვლილებები კომპრომისულია. „ჩვენი ასოციაციისთვის მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხრივ, ის, რომ ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობები შექმნილიყო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ პარტიებსაც და პარლამენტსაც დაენახა, რომ ჩვენი თვითმიზანი მათი დაზარალება კი არა, ზოგადად მედიასივრცის გაუმჯობესებაა. ვცდილობთ, დავეხმაროთ პარტიებს აითვისონ უფასო პოლიტიკური დრო, დავეხმაროთ ტელევიზიებს, რომ გაყიდონ ფასიანი პოლიტიკური რეკლამა, რადგან ერთის გაყიდვის შემთხვევაში მეორე ავტომატურად ჩნდება", - განმარტავს ნათია კუპრაშვილი.

თუმცა, მისი თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეგიონულ მაუწყებლებს მდგომარეობა შეუმსუბუქდათ. მას მიაჩნია, რომ კერძო კომპანიის ხარჯზე სარეკლამო კამპანიის წარმოება არღვევს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი აქვთ შეტანილი, რომლის შედეგსაც ინტერესით ელოდებიან. ამბობს, რომ ამ ფორმულით, რომელიც ახლა რეგიონული ტელევიზიებისთვის შემუშავდა გაცილებით გაიზრდება სარეკლამო დრო. რადგან საეთერო დროის 15% ფასიან პოლიტიკურ რეკლამას ეკუთვნის, გამოდის, რომ თეორიულად შეიძლება უფასო სარეკლამო დროის 45% გაჩნდეს, რასაც ემატება კომერციული რეკლამა – 20%. „თეორიულად ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ალბათობა იმისა, რომ ამდენი ფასიანი პოლიტიკური რეკლამა შიძლება გაიყიდოს და, შესაბამისად, ამ რაოდენობის უფასო დრო გაჩნდეს, აჩვენებს იმას, თუ რა კატასტროფულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. გამოდის, რომ ჩვენი ეთერის 80% ამ რეგულაციებით შეიძლება რეკლამას ეკავოს", – განმარტავს კუპრაშვილი და მიაჩნია, რომ ზოგადად აუცილებელია, ფასიანი, უფასო და კომერციული სარეკლამო დრო შემცირდეს, რადგან მაუწყებლებში ჭარბი რეკლამაა, რაც მაყურებელსაც აზარალებს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ადგილობრივი მაუწყებლებისთვის შემდეგი ვალდებულებები განსაზღვრა:

ყველა მაუწყებელი ვალდებულია პოლიტიკური რეკლამის ეთერში გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა." ასევე, პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს სურდოთარგმანით, რისი უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა.

მაუწყებლებს ეკრძალებათ იმ წინასაარჩევნო დებატების პროგრამის რეკლამით ან ტელეშოპინგით შეწყვეტა, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ წინასაარჩევნო დებატების პროგრამის ხანგრძლივობა 15 წუთზე მეტია, წინასაარჩევნო დებატების პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არაუმეტეს 15 წუთში ერთხელ და არაუმეტეს 300 წამით.

კანონის მიხედვით, რეგიონულმა მაუწყებლებმა, რომლებსაც ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება სურთ, არჩევნებამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა გადასცენ ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ.

ცესკომ რეკლამის განთავსებისთვის ასარჩევი მინიმუმ შვიდი არაეროვნული მაუწყებლიდან ექვსი რეგიონული ტელევიზიის არჩევა სავალდებულო გახადა. 1 მაისის დადგენილებით ეს ტელეკომპანიებია: „ეგრისი", „მეგა ტვ", სამაუწყებლო კომპანია — „ლტვ", „მეცხრე ტალღა", „გურია" და „არგო". ცესკოს ინფორმაციით, ვადების დაცვით, ანუ არჩევნებამდე 55 დღით ადრე, 21 აპრილამდე, ინფორმაცია მხოლოდ აღნიშნულმა ტელევიზიებმა წარადგინეს.

ნათია კუპრაშვლის თქმით, ცესკოს გადაწყვეტილება არ არის მიზანშეწონილი, 6 ტელევიზიისთვის პრიორიტეტის მინიჭებით სხვა რეგიონული მაუწყებლები მნიშვნელოვნად დაზარალდებიან.

რეგიონული მაუწყებლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შეთავაზებული გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ უკვე განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე. მაგალითად, „ტელეარხ 25-ის" მიერ წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, არხზე, პრაიმ ტაიმში 18 საათიდან 23 საათამდე პოლიტიკური რეკლამის 1 წუთის ღირებულება 400 ლარია, ხოლო დროის სხვა მონაკვეთში წუთი – 300 ლარი. რაც შეეხება ტელეკომპანია „რიონს", აქ დილის 8 საათიდან 18 საათამდე 1 წუთის ღირებულება 200 ლარი იქნება, ხოლო საღამოს საათებში 300 ლარი.

რა ვითარება იყო ამ მხრივ ქვეყანაში ბოლოს ჩატარებული არჩევნების დროს? 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზზე დაყრდნობით ჩატარდა კვლევა „პოლიტიკური რეკლამა და მისი გავლენა არჩევნებსა და მედიაზე". კვლევის მიზანი პოლიტიკური რეკლამის გავრცელების პრაქტიკის ჩვენება და ამ მიმართულებით მედიაგარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება იყო. მონიტორინგმა რეგიონულ მაუწყებლებთან მიმართებაში, გამოავლინა, რომ უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსება განსაკუთრებით მცირეშემოსავლიან არხებს აზარალებდა. პოლიტიკური

რეკლამის ფასი მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისში ბაზირებულ კომპანიებსა (1 წუთი ათასობით ლარი) და რეგიონულ მაუწყებლებს (რამდენიმე ათეულიდან-რამდენიმე ასეულ ლარამდე) შორის.

როგორ რეგულირდება პოლიტიკური რეკლამის განთავსება მსოფლიოში? „ამ მხრივ არანაირი საერთაშორისო სტანდარტი არ არსებობს", – ამბობს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ნინო რუხაძე, რომელიც კვლევისას მაუწყებლებში პოლიტიკური რეკლამის განთავსების საერთაშორისო გამოცდილებას იკვლევდა. ცდილობდა გამოევლინა, არსებობს თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული რაიმე საერთაშორისო დოკუმენტი ან საუკეთესო შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის წევრიც იქნებოდა საქართველო და აქედან გამომდინარე ექნებოდა ვალდებულება, რომ თავისი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე არ რეგულირდება". ერთადერთი, რა მოთხოვნაც არსებობს, ეს არის ევროსაბჭოს მიერ გამოცემული რეკომენდაციები, რაც დისკრიმინაციის აკრძალვას გულისხმობს, ანუ ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე", – ამბობს ნინო რუხაძე.

როგორც კვლევამ ცხადყო, პოლიტიკური რეკლამის განთავსება ყველა ქვეყანაში განსხვავებულად ხდება. გათვალისწინებულია ქვეყნის ინდივიდუალური ინტერესები და სპეციფიკური რეგულაციებია შემოღებული. გვხვდება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომებიც, – „მაგალითად ამერიკაში, ცალსახად მხოლოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამა არსებობს, გამონაკლისის გარეშე, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის", – განმარტავს ნინო რუხაძე. რაც შეეხება ბრიტანეთს, აქ მხოლოდ უფასო პოლიტიკური რეკლამა არის, ისიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე, კერძო მაუწყებლებს კი საერთოდ ეკრძალებათ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსება. შუალედური სისტემა მოქმედებს გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც კონკრეტული კვოტები აქვს გამოყოფილი ფასიან და უფასო პოლიტიკურ რეკლამებს, რაც მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს ეხება.

"როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ყველა სახელმწიფო თავის სპეციფიკურ მიდგომას ირჩევს, როგორც ჩანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტს, რომლის გათვალისწინებითაც ამ მხრივ ყველა სახის სამართლებრივი რეგულაციები დგება", – ამბობს რუხაძე და მიაჩნია, რომ საქართველოშიც იგივე უნდა მოხდეს. მედიის წარმომადგენლებთან მუშაობის შედეგად, მათი პრობლემების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს სპეციფიკური რეგულაციები, რაც შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს სხვა ქვეყნების გამოცდილებისგან, მაგრამ აბსოლუტურად მორგებული იყოს ქვეყნის კანონმდებლობასა და მედიის ინტერესებს.

საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. 15 ივნისს ქვეყანაში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. სავარაუდოდ, რეგიონული მაუწყებლების ეთერში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას, როგორც რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის საარჩევნო კამპანიის უკეთ გაცნობის საშუალებას, პოლიტიკური პარტიების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმობა.

ლევან ბეჩაძენიშვილი, დეპუტატი, გაზეთ "ნიბნების" ავტორი

ჟურნალი „ლიბერალი" ჩვენი საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიაპროდუქტია. ქართველები ჯერჯერობით, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ერთმანეთთან ვაიგივებთ. ეს მხოლოდ დრამატული კი არა, ტრაგიკულიცაა. ამიტომ, „ლიბერალს" ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს.
მე პოლიტიკურ პარტიას წარმოვადგენ, მართალია, ლიბერალიზმის ქადაგება პოლიტიკოსსაც ევალება, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ არ გვაქვს იმხელა ძალაუფლება, როგორიც მედიას. ყველას შეუძლია იყოს ნებისმიერი იდეოლოგიის, მაგრამ ლიბერალი ყველა უნდა იყოს. ლიბერალიზმს, ფართო გაგებით, იდეოლოგიას არ ვუწოდებდი. ესაა თავისუფლების სიყვარული, რომელიც არა ვიღაცისთვის, არამედ რაღაცისთვისაა. ამიტომ, „ლიბერალი" რომ არსებობს, უკვე წარმატებაა. საქართველო პატარა ქვეყანაა და ზოგადად, ჩვენთან მწერლობა, პოლიტიკოსობა თუ ჟურნალისტობა გმირობის ტოლფასია. ამიტომ, რასაც „ლიბერალი" აკეთებს, მე პატარა გმირობას ვუწოდებდი.
დაბოლოს, გოეთეს სიტყვებს გავიმეორებ: "მარტო ის იმსახურებს თავისუფლებას და სიცოცხლეს – ორ ყველაზე დიდ ღირებულებას, ვინც ამ ღირებულებებისთვის ყოველდღე გადის საომრად".
„ლიბერალის" მადლობელი ვარ. მე მესმის, რომ მისი კრიტიკის უკან ყოველთვის კეთილი განზრახვები დგას და ეს არაა მტრობა.
ამიტომ, მიხარია, რომ არსებობს ეს მედიაპროდუქტი. გილოცავთ იუბილეს და დიდ წარმატებებს გისურვებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყირიმის სინდრომი

ინტერნეტის აფხაზურ სეგმენტში ყირიმის თემა პრაქტიკულად მთლიანად „რუსეთის პატრიოტებმა“ დაისაკუთრეს. ინტერნეტმომხმარებელთა უმეტესობა, შიდაპოლიტიკური შეხედულებების ნაირგვარობის მიუხედავად, მათ რიგებში ჩაეწერა.

დემის პოლანდოვი, რადიო თავისუფლება

მაიდანის ადრინდელი მხარდამჭერებიც და რუსული პროპაგანდისტული მანქანის ძალადობის მოწინააღმდეგეებიც დღეს დუმილს ამჯობინებენ. უკრაინაში მცხოვრები აფხაზებიც კი, რომლებიც ადრე ძალზე აქტიურობდნენ და თანამემამულეებს იქაური პროცესების ლოგიკას განუმარტავდნენ ხოლმე, არწმუნებდნენ მათ, რომ „საქმე არც ისეა, როგორც მათ ჰგონიათ“. ახლა ამ მცდელობებს თავი ანებეს.

ამ დროს კი „პატრიოტები“ აშკარად ეშხში შევიდნენ და პრორუსულობით „დივანზე წამოწოლილი მეომრების“ რუსულ ნაწილსაც კი აჯობეს. „უკრაინული ხუნტის“ მოქმედებებით აღშფოთებას იმ „ბანდერელების“ მიმართ წყევლა-კრულვა ცვლის, რომლებიც „ჩვენს პაპებს ეომებოდნენ“. რასაკვირველია, ბევრს საუბრობენ უკრაინელ ნაციონალისტებზე, რომლებიც 1992-93 წლების ქართულ-აფხაზურ ომში საქართველოს მხარეს იბრძოდნენ.

ხელს არც აფხაზეთის ხელისუფლება აკლებს. თან სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერას კი არ სჯერდება, საბჭოთა ხანის ღირსეულ ტრადიციას ემოციური სოლიდარობით აგრძელებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს უკანასკნელ პრესრელიზში საუბარია „კრამატორსკში და სლავიანსკში სადამსჯელო რაზმების მიერ მოწყობილ რბევა-დაწიოკებაზე“. ის გვახსენებს, „სისხლიან სასაკლაოს, რომელიც (ჩემი ფიქრით, იგულისხმება ოდესის მოვლენები) კიევის ხელისუფლებამ მოაწყო“.

რუსეთთან ამგვარი თანაგანცდის გრძნობაში არის რაღაც ავადმყოფური. იმას არ ვგულისხმობ, რომ ეს „სახალხო განცდა“ არაგულწრფელია. უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, რა თქმა უნდა, დიდ ვნებათაღელვას, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავ, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებსაც იწვევს და ძალიან ბევრ ადამიანს ბარიკადების გაღმა-გამოღმა მხარეს აყენებს. რასაკვირველია, აფხაზების შემთხვევაში რუსეთის მხარდაჭერა სრულიად გასაგებია, მით უფრო, რომ პროპაგანდისტული ინფორმაციის ნაკადი, რომელიც რუსეთის მოქალაქეებისთვისაა განკუთვნილი, აფხაზ მაყურებელს, მსმენელს და მკითხველსაც კი გვერდს არ უვლის.

მაგრამ არის ამ პროცესში რაღაც უსასოობისმაგვარიც.

2008 წელს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი აღიარა, საყოველთაო ეიფორიის მიუხედავად, არსებობდნენ ანალიტიკოსები, რომლებსაც გააზრებული ჰქონდათ, რომ ეს აღიარება სინამდვილეში აფხაზეთის პოლიტიკის მრავალვექტორულობისათვის საზიანო იქნებოდა და საბოლოო ჯამში, მის ფართო საერთაშორისო აღიარებას ხელს შეუშლიდა. დღეს, როცა მოსკოვმა დასავლეთთან მძაფრი დაპირისპირების კურსი აირჩია, იმის იმედიც აღარ რჩება, რომ აფხაზეთს ოდესმე „ჩრდილოელი მეზობლისათვის“ პრტექტორატზე მეტი სტატუსი ექნება.

აფხაზეთს აღარ აქვს ის კოზირი, რომელსაც რუსეთთან თამაშში გამოიყენებდა. კრემლმა თამასა ისე მაღლა ასწია, რომ აფხაზეთს მხოლოდ „პასის“ თქმა მოუწევს. ბოლო დროს ხშირად ისმოდა იმაზე საუბარი, რომ, სხვა ფაქტორებს შორის, სოჭის ოლიმპიადა რუსეთისათვის შემაკავებელი ფაქტორი იყო, იმ პოლიტიკაშიც, რომელსაც ეს ქვეყანა აფხაზეთის მიმართ აწარმოებდა. ასევე ამბობდნენ, რომ მისი დასრულების შემდეგ რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა... მაგრამ საეჭვოა, რომელიმე ანალიტიკოსს წარმოედგინა, რომ რუსეთი აწყვეტილობის ფოიერვერკს მოაწყობდა და ყოველგვარ შემაკავებელ ფაქტორს უგულებელჰყოფდა.

როგორ უნდა მოიქცე ამ აწყვეტილ, ზომა-წონადაკარგულ რუსეთთან, რომელიც კონფლიქტს მთელ მსოფლიოსთან არ ერიდება? რასაკვირველია, უნდა მოახდინო მაქსიმალური ლოიალობის დემონსტრირება. მართლაცდა, რა უნდა იღონოს აფხაზეთმა? შეუძლებელია მხოლოდ პატრონის პოზიციის დაცვა, რომელზეც მთლიანადაა დამოკიდებული მისი ყოფნა-არყოფნა. განა სხვა გზა დარჩენია?

ჰაატა შამუგია, ჰოეტი, ლიტერატორი

„ლიბერალი“ ჩემთვის ყველაზე სტაბილური ჟურნალია. მკითხველისთვის დიდი მოულოდნელობა იყო, როცა ვებგვერდზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური ტექსტები იწერებოდა. გარდა ამისა, „ლიბერალი“ მიუკერძოებელი გამოცემაა. ესაა მშრალი და ობიექტური რეალობა. ვიზუალური თვალსაზრისითაც საინტერესოა “ლიბერალის” ისტორია. მე მახსოვს ლევან ხერხეულიძის არაჩვეულებრივი ფოტოები, შემდეგ კი, გიორგი გოგუას ფოტორეპორტაჟები. იყო შემთხვევები, ცალკეული ფოტოთი ისტორიების მოყოლა შეიძლებოდა. ამიტომ მინდა, რომ სიძულვილის მქადაგებელი პრესის ნაცვლად საქართველო სწორედ „ლიბერალმა“ დაიპყროს და რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა შეძლოს მისი კითხვა.
გილოცავთ და მილიონობით ტირაჟს გისურვებთ!

„ფოტომატიანე“ – თანამედროვე ტექნოლოგიებით გადარჩენილი ისტორია

რთულია იპოვო ადამიანი, ვისაც ისტორიაში შესვლის სურვილი ერთხელ მაინც არ გასჩენოდეს. არც იმ ადამიანების რიცხვია მცირე, საკუთარი წინაპრებით რომ ამაყობენ, საგვარეულო რელიკვიებს თაობიდან თაობას გადასცემენ და დიდი ბებიებისა თუ ბაბუების სურათებს ან საოჯახო ფოტოალბომებს სათუთად ინახავენ.

ეს ყველაფერი ბუნებრივია და არაფერია გასაკვირი, თუმცა რას იტყვით, თუკი თითოეულ თქვენგანს შანსი მიეცემა საქართველოს ფოტოისტორიის შექმნის მონაწილე გახდეს?! იმ ისტორიის, რომელშიც თქვენი წინაპრებიც ფიგურირებენ, დღეს კი ეს ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფმა იცის და თითოეულ თქვენგანს შეუძლია, რომ ეს ცნობები საჯარო გახადოს?

„ერთად შევქმნათ ციფრული „ფოტომატიანე“ - ამ გზავნილით კომპანია „ჯეოსელმა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად დაიწყო პროექტი, რომლის მიზანიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაფანტული ფოტოების მოძიება, მათი ციფრულ ვერსიაში გადატანა, არქივში განთავსება და ამ გზით განადგურებისგან მათი გადარჩენაა.

„ციფრული ფოტომატიანეს“ შესაქმნელად სპეციალური ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო ჯგუფი საქართველოს ყველა კუთხეს მოივლის და მოსახლეობის ჩართულობით აქამდე უცნობი იმ ფოტოების, საფოსტო ბარათებისა თუ სხვა ტიპის დოკუმენტების ციფრულ ვერსიებს შეაგროვებს, რაც, როგორც თითოეული ოჯახის, ასევე, ქვეყნის ისტორიის ნაწილია და ამ გზით შესაძლებელია მისი გადარჩენა.

კომპანია „ჯეოსელისა“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, თითოეულ ადამიანს მომავალი თაობისთვის ფასეულობების გადაცემის კარგ შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ამბობს, რომ „ფოტომატიანე“ მიზნად არ ისახავს მხოლოდ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების ფოტოების ციფრულ ფორმატში გადაყვანას და „ფოტომატიანე“ ერთგვარი მცდელობაა, რომ თითოეული ადამიანის ჩართულობით შეივსოს ის მნიშვნელოვანი დანაკლისი, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო ქართულ საზოგადოებას ჰქონდა.

„ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია ძირითადად მეფეების ისტორიაა, სადაც არ ჩანს ჩვენი ხალხი, ჩვენი ყოველდღიურობა, ანუ ის ჩანახატები, რაც ევროპული საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. ევროპული საზოგადოება ადამიანთა ყოფას ნებისმიერ კონტექსტში ასახავდა, ეს არის ის, რითაც მათი ისტორია ჩვენთვის დეტალურად არის ცნობილი და რაც ჩვენ გვაკლია. კარგი იქნება, თუკი ამ შანსს გამოვიყენებთ და უახლეს ისტორიას მაინც შევინახავთ იმ ყოფითი ნიუანსებით, რაც საქართველოში ფოტოგრაფიის გამოჩენის პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. ამ გიგანტური ალბომის შექმნის შემდეგ, ჩვენ მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათი გვექნება იმისა, თუ ვინ ვიყავით სხვადასხვა კონტექსტში, რა იყო ამ ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი, სად იყო უფრო მეტი კარნავალიზაცია და სად ბუნებრივი მომენტი“, - განმარტავს გიორგი კეკელიძე.

კომპანია „ჯეოსელისა“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი საწყის ეტაპზეა. ამ დროისათვის „ფოტომატიანეს“ სამუშაო ჯგუფმა უკვე მოიარა ხაშური, სურამი და ბორჯომი, სიაში შემდეგი კახეთის რეგიონი და სვანეთია.

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიეგე დასავლეთ აფრიკის ქვეყნიდან, გვინეიდანაა. ის 31 წლისაა. საქართველოში სხვადასხვა ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების უშედეგო ძიების შემდეგ ჩამოვიდა.

დიჯეს "სამოთხე"

ვახო ხეთაგური

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღემდე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ემიგრაციაში წავიდა. სამოქალაქო ომმა, 90-იანი წლების სამხედრო კონფლიქტებმა და მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ემიგრანტთა რაოდენობა. დღეს ყოველი მესამე ოჯახის ერთი წევრი მაინც საზღვარგარეთ სამუშაოდ იმყოფება. საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამგზავრების პარალელურად სხვა ქვეყნის მოქალაქეები მიგრაციის შედარებით ლიბერალური რეჟიმით სარგებლობენ და საქართველოში შემოდიან. საქართველოს დედაქალაქი სულ უფრო და უფრო მეტ ჩინელს, ინდოელს, თურქსა თუ აფრიკელს მასპინძლობს. მათი უმეტესობა ჩამოდის, როგორც სამუშაო ძალა.

დიჯე გვინეადანაა. რუსეთში ერთწლიანი ცხოვრების შემდეგ ის საქართველოში ჩამოვიდა. „იქ მეტისმეტად ცივა, ლამის გავიყინე", – ამბობს დიჯე. 2012 წელს ის თბილისში ჩამოვიდა და დასახლდა.

ის თბილისის ცენტრალურ ბაზარში საწყობის მუშად მუშაობს. დასაძინებლად საწოლს ქირაობს, დღეში 30 ლარს გამოიმუშავებს (დაახლოებით, 12 ევროს ექვივალენტს) და დანაზოგს თავის ოჯახს გვინეაში რეგულარულად უგზავნის. მათ არ აქვთ კომპიუტერი, ამიტომ დიჯეს მათთან დაკავშირება ტელეფონით უწევს. სატელეფონო ბარათებში მისი ხელფასის საკმაოდ დიდი ნაწილი მიდის. საქართველოში ცხოვრების პერიოდში დიჯემ ცოტა ქართულიც ისწავლა და ელემენტარული სიტყვების გაგება შეუძლია. ასე რომ, ის დროდადრო ქუჩაში ან სადმე სხვაგან კანის ფერის გამო უსიამოვნო კომენტარებს ანყდება. თუმცა არააგრესიული, მაგრამ მაინც რასიზმი, საქართველოში ჯერ ისევ პრობლემაა.

დიჯეს მოსწონს საქართველო, მაგრამ ევროპაში გადასასვლელად ემზადება და იმედი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოახერხებს ამას. „საქართველო კარგი ქვეყანაა, მაგრამ ევროპა – სამოთხეა", – ამბობს ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ცენტრალური ბაზარი. ცნობისმოყვარე მამაკაცები სათამაშო აპარატის გარშემო. უმუშევრობის მასალა, მაწყინარ ბლეების გამო მსგავსი აპარატები აქ პოპულარულია.

დიჯე დღის ბოლოს ანაზღაურებას იღებს. ამ თანხით ის გვინეაში მყოფ ნათესავებსაც ეხმარება და თავსაც ირჩენს.

თბილისის ცენტრალური ბაზარი სავსეა ადამიანებით, რომლებიც სხვადასხვა გზით ცდილობენ ფულის გამომუშავებას და თავის გატანას.

დიჯე ქალაქის ცენტრალურ ბაზარში იმპორტირებული ბოსტნეულით დატვირთულ ურიკას ეზიდება. აქ ის უკვე 2 წელია მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურის მოედანთან ახლომდებარე სახლი, სადაც დიჯუ ოთახს ქირაობს. სახლის პატრონი, რომლის ერთადერთი შემოსავალი ოთახის გაქირავებიდან აღებული თანხაა. მსგავსი საშუალებით ამ უბანში ბევრი ირჩენს თავს.



სულ რამდენიმე კვადრატულმეტრიანი ოთახი, სალამოობით უამრავი ადამიანის თავშეყრის ადგილია, რომლებიც დიჯუს მსგავსად საწოლს ქირაობენ. ისინი ძირითადად საქართველოს რეგიონებიდან არიან. მათგან დიჯუ ქართულის სწავლას ცდილობს.





ეროვნული ბიბლიოთეკა



დიჯეე ხვდება გოგონას, რომელიც 90-იან წლებში აფხაზეთში მომხდარი სამხედრო კონფლიქტის შედეგადაა დევნილი. გოგონას მშობლები დიჯეეს კანის ფერზე მიუთითებენ.



საწოლი, რომელსაც დიჯე ღამის გასათევად 3 ლარად ქირაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დაჩექინებაზე" მეტი

ნინო ნატროშვილი

– დღეს სკოლაში იყავი?

– კი, დედა.

– და რატომ არ „დაჩექინდი"?

ეს თანამედროვეობის კიდევ ერთი ხუმრობაა. დაახლოებით ისეთი, Instagram-ზე რომ თქვეს, ამ აპლიკაციაში დედები აუცილებლად უნდა დავარეგისტრიროთ, მხოლოდ მათ აინტერესებთ, რას ვჭამთო. თუმცა ამჯერად ეს ხუმრობა არა ფოტოებით გატაცებას, არამედ „დაჩექინებას" ეხება.

checked in at – ამ ფრაზამ ვებსივრცე დიდი ხანია წალეკა. მართალია, საქართველოში ბევრი ადამიანი მხოლოდ Facebook-ზე „ჩექინდება", თუმცა ბევრია ისეთებიც, რომელიც ამისთვის სპეციალურ უფასო აპლიკაციას Foursquare-ს იყენებს.

აპლიკაციით სარგებლობის მთავარი და მიმზიდველი მიზეზი მისი დამატებითი ფუნქციებია. ეს ფუნქციები კი ნათლად აჩვენებს, რომ „დაჩექინება" სინამდვილეში უფრო მეტია, ვიდრე მეგობრებისთვის საკუთარი ადგილსამყოფელის გაზიარება.

Foursquare-ს, ან როგორც მას შემოკლებით უწოდებენ 4sp-ს, ისტორია 2009 წელს დაიწყო. სწორედ იმ პერიოდში გაეშვა მისი პირველი ვერსია. აპლიკაციის შექმნელებმა დენის კროულიმ და ნავინ სელვადურაიმ ერთმანეთი 2007 წელს, ნიუ-იორკში გაიცნეს, Foursquare შექმნის იდეა კი ერთი წლის შემდეგ, დენისის სამზარეულოში გაუჩნდათ. სხვათა შორის, აპლიკაციას საკუთარი დღეც აქვს – 16 აპრილი და ეს თარიღი 2010 წლიდან აღინიშნება. აპლიკაცია მთელ მსოფლიოში პოპულარულია: მიმდინარე წლის იანვრის მონაცემებით, მას 45 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს და 5 მილიარდზე მეტ „ჩექინს" აერთიანებს. ცხადია, ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

Foursquare იმ მოწყობილობებზე მუშაობს, რომლებსაც GPS ნავიგაცია აქვთ. ამჟამად ის თითქმის ყველა მობილურ პლატფორმასთანაა თავსებადი. რაც შეეხება აპლიკაციის ფუნქციონალს, მისი დახმარებით მომხმარებლებს საშუალება აქვთ, რუკაზე საკუთარი ადგილმდებარეობა იპოვონ, აღნიშნონ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დაჩექინდნენ", გაუზიარონ ის მეგობრებს, დატოვონ საკუთარი კომენტარები, მინიშნებები და ასევე, თავადაც გაეცნონ სხვების რეკომენდაციებს. მოკლედ, ეს სასარგებლო აპლიკაციაა, ერთგვარი სოციალური გზამკვლევი, რომელიც დაგეხმარებათ ყველგან – კაფეში კერძის შერჩევისას, Wi-Fi-ს პაროლის გასაგებად თუ სხვა ქვეყანაში, სასურველი ადგილის ძებნისას.

ქეთი ნარიმანიძე Foursquare-ს მუდმივად იყენებს. ამბობს, რომ აპლიკაცია ახალი, მისთვის საინტერესო ადგილების აღმოჩენასა და არჩევნის გაკეთებაში ეხმარება: „მუდმივად ვეცნობი გამოხმაურებებს. მაგალითად, რომელ კაფეში რა მოეწონათ და რა – არა. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა რომელიმე კვების ობიექტში მხოლოდ იმის გამო არ მივსულვარ, რომ Foursquare-ზე ნეგატიური გამოხმაურება იყო. კომენტარებს თავადაც აქტიურად ვტოვებ, რათა ამ ადგილის შესახებ მეტი ინფორმაცია სხვა მომხმარებლებმაც გაიგონ. ხოლო თუ ესა თუ ის დაწესებულება აპლიკაციაში არ არის, თავად ვამატებ", – ამბობს ქეთი და Foursquare-ს კიდევ ერთ სასარგებლო ფუნქციაზე ჰყვება: „მე სულ „ვჩექინდები", მათ შორის, ქუჩებზეც. შეიძლება იყო პეკინზე, „დაჩექინდე" და უცებ აღმოაჩინო, რომ შენი მეგობარიც იქვე „დაჩექინებულა", შეხვდე და ერთად წვენი დალიოთ. ცოტა ხნის წინ, ჩემს ჯგუფელს სწორედ ასე შევხვდი", - დასძენს ქეთი.

Foursquare მომხმარებლების აქტივობაზეა დაფუძნებული, მის კონტენტს ჩვეულებრივი ადამიანები ქმნიან: „ჩექინდებიან", შეფასებებსა და მინიშნებებს ტოვებენ, ახალ ადგილებს ამატებენ და სანაცვლოდ, სტიმულის სახით ციფრულ ჯილდოებს – ქულებს, ბეიჯებს და მერის სტატუსს იღებენ. ჰო, Foursquare-ზე რომელიმე ადგილის მერი რომ გახდეთ, საარჩევნო კამპანია და არჩევნები აუცილებელი არ არის: ამისთვის საკმარისია ბოლო 60 დღის განმავლობაში ამ კონკრეტულ ადგილას სხვებზე ხშირად „დაჩექინდეთ". სტატუსი მანამდე შეგინარჩუნდებათ, სანამ სხვა მომხმარებელი ასევე „დაჩექინებით" არ გადაგაჭარბებთ. ცხადია, ყველა ეს ჯილდო პირობითია, თუმცა მომხმარებლებს შორის შეჯიბრებითობას ნამდვილად ქმნის, აპლიკაციას კი ერთგვარი სოციალური თამაშის ელფერს აძლევს.

გიორგი ქერეჭაშვილი იქ „ჩექინდება", სადაც ხშირად დადის. ასეთი ადგილები კი ძირითადად კვების ობიექტებია. „ამის გამო ბევრ მეგობარს ჰგონია, რომ ჭამას ვარ გადაყოლილი და მეტს არაფერს ვაკეთებ, არადა ასე არ არის. სამსახურში იშვიათად „ვჩექინდები", „ლოგინში" და „At my Bed" ადგილების შექმნა და „დაჩექინების" იდეა კი არ მხიბლავს, ამიტომ ძირითად არედ ისევ კვების ობიექტები მრჩება", – ხუმრობს გიორგი.

ახალ, მნიშვნელოვან ადგილებს, რომლებიც Foursquare-ს მონაცემთა ბაზაში არ არის, ისიც ინტენსიურად ამატებს და ამ მიზნით დაწესებულებების წარმომადგენლებს ტელეფონის ნომერს, სამუშაო საათებსა და სხვა დამატებით ინფორმაციასაც ართმევს. „ახალ და უკვე არსებულ ადგილებს სურათებსაც ვურთავ და რჩევებსაც. რჩევებს ძირითადად მაშინ ვტოვებ, როდესაც ძალიან კმაყოფილი ან ძალიან უკმაყოფილო ვარ, რომ სხვებმაც გაიგონ, რა კარგი ადგილი, რა კარგი მომსახურება, რა გემრიელი ნამცხვარია ან, პირიქით, რას უნდა ერიდონ და რა გაითვალისწინონ, რომ "შარში" არ გაებან. მაქსიმალურად ვცდილობ, გავუზიარო მეგობრებს, რა მომეწონა, რა ახალი ადგილი აღმოვაჩინე, სად დავდივარ ხშირად, სად ვარ იმ მომენტში ან რას ვუწევ რეკომენდაციას. არაერთხელ აღმომიჩენია მეგობარი ახლომახლო და მივსულვარ, ცხადია, არა გაუფრთხილებლად ან, პირიქით, თვითონ შემხმიანებია და დრო უფრო საინტერესოდ გაგვიტარებია", – აღნიშნავს გიორგი.

Foursquare-ს ერთ-ერთი განსაკუთრებულად სასარგებლო ფუნქცია Explorer-ია, რომელიც სხვადასხვა ადგილების შემოთავაზებით პერსონალურ რეკომენდაციებს იძლევა. სერვისი ითვალისწინებს დღის მონაკვეთებსაც, მაგალითად, საუზმის ან ლანჩის დროს ახლომახლო მდებარე კაფეებს გთავაზობთ, საღამოს კი – ბარებსა და ღამის კლუბებს. ფუნქციას ახლავს დამატებითი ფილტრებიც, რომლებიც სასურველი ადგილის კიდევ უფრო მარტივად მოძიების საშუალებას იძლევა და ისინი განსაკუთრებით სასარგებლოა სხვა ქალაქში ან ქვეყანაში ყოფნისას.

Explorer-ის ერთ-ერთი ნაწილია სპეციალური წინადადებები, რომლებიც აპლიკაციაში ნარინჯისფრადაა აღნიშნული. ამ წინადადებებს Foursquare-ზე დარეგისტრირებული დაწესებულებები მომხმარებლებს „დაჩექინების" სანაცვლოდ სთავაზობენ. მაგალითად, ბევრი კაფე პირველი „დაჩე-

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ქინების“ ავტორს ან ადგილის მერის სტატუსის მფლობელს სხვადასხვა ფასდაკლებას, უფასო სასმელს ან დესერტს სჩუქნის. სხვა ტიპის დაწესებულების შემთხვევაში, ეს შეიძლება რაიმე სერვისი ან უბრალოდ სუვენირი იყოს. ამგვარი მარკეტინგული ხერხი მომხმარებლისთვის წახალისებაა, დაწესებულებებისთვის კი – რეკლამა, მით უმეტეს, როცა „დაჩექინება“ სოციალურ ქსელებშიც ზიარდება.

ციფრული სააგენტო „ლივინგსტოუნის“ აღმასრულებელი დირექტორი ვახო ვახტანგიშვილი ამბობს, რომ ამ პრაქტიკამ საქართველოში ფეხი აქტიურად ჯერჯერობით ვერ მოიკიდა. „Foursquare თავისი არსით თამაშია და გარდა იმისა, რომ თამაში საინტერესო უნდა იყოს, აუცილებელია, მომხმარებლებს ჯილდოების სახით სტიმულიც ჰქონდეთ. ეს ჯილდოები კი საქართველოში იმდენად მცირეა, რომ პრაქტიკულად არ არსებობს. საქართველოდან Foursquare-ზე 9386 ადგილია დარეგისტრირებული. პოტენციალი ცალსახაა, მაგრამ ყურადღების კოეფიციენტი კომპანიების მხრიდან ძალიან დაბალია, ამიტომ მომხმარებლებისთვის „დაჩექინების“ ერთადერთ სტიმულად ეგზიბიციონისტური მომენტი რჩება: სოციალური ქსელებით დააფიქსიროს, რომ იმ დროს იქ იყო“, – აღნიშნავს ვახო ვახტანგიშვილი და დასძენს, რომ ადამიანები „დაჩექინების“ ფუნქციას აქტიურად იყენებენ, ამიტომ კომპანიებიც უნდა იყვნენ იქ, სადაც მათი მომხმარებლები არიან.

აქტიურად, თუმცა რამდენად გააზრებულად სარგებლობენ მომხმარებლები Foursquare-თი, იციან თუ არა იმ რისკების შესახებ, რომელიც ზოგადად „დაჩექინებას“ შეიძლება ახლდეს?

„1651 „ჩექინი“, 42 მინიშნება, რომელთაგან დიდი ნაწილი Wi-Fi-ს პაროლია, 201 ფოტო და 38 ბეიჯი. რაღაც ადგილის სუპერმერიც კი ვყოფილვარ“, – ახალი მედიის სპეციალისტი მირიან ჯუღელი Foursquare-ზე ყოფნის ისტორიას ათვალიერებს. აპლიკაციით 2011 წლიდან სარგებლობს. თავიდან საკმაოდ აქტიურად იყენებდა, სოციალური თამაშისთვის დამახასიათებელი შეჯიბრიც მოსწონდა, თუმცა ახლა „დაჩექინების“ ინტენსივობას უკლო და სერვისსაც სიფრთხილით ეკიდება. მიზეზი პრივატული სივრცის დაცვაა: „როცა „ჩექინდები“, შენს პირად ინფორმაციას გასცემ, მით უმეტეს, როცა სამოგზაუროდ ხარ და სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ფოტოებსაც დებ. ადვილი შესაძლებელია, ეს ინფორმაცია პოტენციურმა მძარ-

ცველმა ნახოს და გამოიყენოს. კიდევ ერთი ფაქტორი სახლში „დაჩექინებაა“: თითქმის ყოველ საღამოს, 7-8 საათზე ჩემი ტელეფონის ეკრანზე ჩნდება შეტყობინებები, რომ ვიღაც თავის ტკბილ სახლში „დაჩექინდა“, ვიღაც – „ციხე-სიმაგრეში“. შეიძლება ეს მოსწონთ, მაგრამ მე რას ვიღებ ამით, რატომ უნდა მაინტერესებდეს მათი სახლში მისვლა? გაუგებარია, რა არის სხვებისთვის ღირებული ამ ინფორმაციის გაზიარებაში. მე ამას არასდროს ვაკეთებ, თუნდაც იმიტომ, რომ არ მინდა ყველამ იცოდეს, სად ვცხოვრობ. მიმაჩნია, რომ ეს პირადი ინფორმაციაა და დაცული უნდა იყოს“, – ამბობს მირიან ჯუღელი.

ზედმეტ ღიაობასთან ერთად ხშირია არაფრისმთქმელი, უსარგებლო „ჩექინებიც“, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აპლიკაციის ოპტიმალურად და არამომაბეზრებლად გამოყენება ბევრმა ადამიანმა არ იცის. ქეთი ნარიმანიძე ამ ქცევას ვირტუალურ კულტურას უკავშირებს: „მინახავს ადამიანი, რომელიც „აუ, ძაან მაგარ ადგილას“ „ჩექინდება“. ასეთ რაღაცებს ვერ გავექცევით“, – ამბობს ის. გიორგი ქერეჭაშვილს იმ მომხმარებლების არ ესმის, რომლებიც ქუჩებზე მიყოლებით „ჩექინდებიან“ და ამით მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობის ტრაექტორიას გადასცემენ, მირიან ჯუღელისთვის კი განსაკუთრებით უცნაური ძეგლებზე „დაჩექინებაა“: „ჩემი ერთი მეგობარი ყოველთვის „ჩექინდება“ ვეფხვისა და მოყმის ძეგლზე, რაც ძალიან მიკვირს. ვერ ვიგებ, მანქანას აჩერებს, გადადის, „ჩექინდება“ და მერე გზას აგრძელებს? რას იღებს ამით? თუ წაიკითხავს ამ სტატიას და მიხვდება, რომ მასზე ვამბობ, ალბათ, ამიხსნის რატომ იქცევა ასე“, - ხუმრობს მირიანი. მერე კი სხვა მომხმარებლების ქცევაზეც ჰყვება: „ზოგიერთი ჩექინდება იმისთვის, რომ სხვებს გააგებინოს, როგორ მაგარ ადგილასაა. ასეთი ადამიანები მხოლოდ მაღალი კლასის ძვირადღირებულ რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ. „ჩექინდებიან“, საკუთარი სტატუსის ასამაღლებლად. ან დააკვირდით, რა ხდება, როცა ადამიანი საზღვარგარეთ მიდის. „დაჩექინდება“ აეროპორტში და მერე თითოეულ ნაბიჯზე იგივეს აკეთებს: მეგობრებს უნდა დაანახოს, რომ „სტარბაქსშია“ ნამყოფი. ასეთი რამ ალბათ ყველას გაგვიკეთებია, თუმცა თავისთავად აპლიკაცია, ცხადია, ძალიან სასარგებლოა: მისი მეშვეობით ადამიანები ადამიანებს ეხმარებიან და თავადაც იღებენ ამ დახმარებას“, – ამბობს მირიან ჯუღელი.

მოკლედ, „დაჩექინებისას“ ნუ იფიქრებთ მხოლოდ იმაზე, რომ სხვებმა ნახონ სად ხართ. თავადაც შექმენით სასარგებლო ინფორმაცია და იყავით აქტიური: თუ კარგ ადგილას ხართ, დაამატეთ ის აპლიკაციაშიც, გაუზიარეთ შთაბეჭდილებები და არ დაგავიწყდეთ მინიშნებებისა და რჩევების დატოვება. სხვათა შორის, დენის კროული, რომელიც თავადაც Foursquare-ს აქტიური მომხმარებელია, ამბობს, რომ მომავალში ადამიანები სულ უფრო ნაკლებ დროს დაუთმობენ გადაწყვეტილებების მიღებას და მეტად დაეყრდნობიან სმარტფონის რჩევებს. შესაბამისად, Foursquare-ც ინდივიდუალურ რეკომენდაციებს და სოციალური გზამკვლევის ფუნქციებს კიდევ უფრო მეტად განავითარებს.

"რეალური სამყარო" თბილისში

2014 წელს TBILISI PHOTO FESTIVAL-ს განსხვავებული ფორმატი ექნება. დაარსებიდან 5 წლის იუბილეზე ფესტივალი ბრიტანელი ფოტოგრაფის, სააგენტო „მაგნუმის" წევრისა და ამჟამინდელი პრეზიდენტის, მარტინ პარის და ლიტველი ფოტოგრაფის რიმალდას ვიკსრაიტისის ერთობლივი გამოფენით – „რეალური სამყაროთი" (Real World) აღნიშნავს.

სოფო აფციაური

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, ნესტან ნიჟარაძე ამბობს, რომ რიგით მეხუთე ფესტივალი არ იქნება მხოლოდ „ფესტივალი ფესტივალისთვის". მისი მთავარი იდეა 2014 წელს სოციალური პროექტის ინიცირებაა. კერძოდ, ფოტოგრაფიით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს საშუალება ექნებათ, ლიტველი ფოტოგრაფის, რიმალდას ვიკსრაიტისის 3-დღიან ვორქშოპს დაესწრონ და ფოტოგრაფიული პრაქტიკის საფუძვლები შეისწავლონ.

ბრიტანელი ფოტოგრაფის, მარტინ პარის ფოტოების გამოფენა, რომელიც თანამედროვე ფოტოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა, საქართველოში და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველად ტარდება.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, ნესტან ნიჟარაძე ამბობს, რომ რიგით მეხუთე ფესტივალი არ იქნება მხოლოდ „ფესტივალი ფესტივალისთვის". მისი მთავარი იდეა 2014 წელს სოციალური პროექტის ინიცირებაა. კერძოდ, ფოტოგრაფიით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს საშუალება ექნებათ ლიტველი ფოტოგრაფის, რიმალდას ვიკსრაიტისის 3-დღიან ვორქშოპს დაესწრონ და ფოტოგრაფიული პრაქტიკის საფუძვლები შეისწავლონ.

თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რიმალდას ვიკსრაიტისი ფართო საზოგადოებამ 5 წლის წინ გაიცნო და დღემდე ლიტვური ფოტოგრაფიული სკოლის ტრადიციების გამგრძელებლად და თვითმყოფად ავტორად მიიჩნევა.

მას აქვს „წარმატებული ისტორია". პირველად რიმალდას ვიკსრაიტისი 2009 წელს, სწორედ ცნობილმა ბრიტანელმა ფოტოგრაფმა მარტინ პარმა საზოგადოებას არლის ფოტოფესტივალზე წარუდგინა. იმ წელს რიმალდასმა პრესტიჟული ფესტივალის მთავარი ჯილდო – „ფესტივალის აღმოჩენა" მიიღო.

მარტინ პარისვე დახმარებით, საერთაშორისო ფოტოგრაფიულმა პუბლიკამ რიმალდას ვიკსრაიტისის მიერ 20 წლის განმავლობაში გადაღებული პატარა ლიტვური სოფლის მძიმე რეალობა აღმოაჩინა. ალკოჰოლიზმში ჩაძირული და გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილ პატარა სოფელს და მისი მაცხოვრებლების რეალობას რიმალდას ვიკსრაიტისი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებდა. ქაოსით სავსე შავ-თეთრი ფოტოები – ეს რიმალდასის რეალური სამყაროა.

„The real world" – მარტინ პარისა და რიმალდას ვიკსრაიტისის ფოტოების ერთობლივი სერია სწორედ მას შემდეგ დაკომპლექტდა, რაც ლიტველმა ფოტოგრაფმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. გამოფენის ფარგლებში ორტომიანი კატალოგიც დაიბეჭდა.

თბილისის ფოტოფესტივალზე რიმალდას ვიკსრაიტისის ფოტოებთან ერთად სწორედ მარტინ პარის სხვა რეალური სამყაროს ნახვა იქნება შესაძლებელი.

ეს გამოფენა უიმედობის ქაოსში ჩაფლული ლიტვური სოფლის რეალობის ამსახველი ფოტოების გარდა, პარის ყველაზე ცნობილი ნამუშევრების დიდ სერიასაც აერთიანებს. ბრიტანელი ფოტოგრაფი, რომელიც წლების განმავლობაში ევროპელი საშუალო კლასის ცხოვრებას იღებდა, ციინიზმით აღწერს განსხვავებულ Real World-ს.

ნესტან ნიჟარაძე ამბობს, რომ თბილისის ფოტოფესტივალის მიზანი არასოდეს ყოფილა მხოლოდ აუდიტორიის გართობა, მხოლოდ გამოფენების ჩვენება. ფოტოგრაფიის ცოდნა პროფესიონალებს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ ფოტოგრაფია გამოიყენონ, როგორც „იარაღი" მნიშვნელოვან, მწვავე საკითხებზე და პრობლემებზე ინფორმაციის მიღებისთვის. მეტიც, გამოიყენონ ფოტოგრაფია, როგორც რეალური პრობლემების გადაჭრის საშუალება.

სწორედ ამიტომ, ნესტან ნიჟარაძის თქმით, წლევანდელი თბილისის ფოტოფესტივალი, 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მთავარ აქცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის საინტერესო და საჭირო სოციალურ პროექტზე გააკეთებს; ყველა არსებული რესურსის მობილიზაციას მოა-

ინგლისი. ახალი ბრაიტონი. 1983-1985.
© მარტინ პარი/ Magnum Photos

„თუკი ამ ვორქშოფის შემდეგ თუნდაც ერთი მონაწილისთვის, თუნდაც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის ფოტოგრაფია ცხოვრების ახალი საყრდენი გახდება, მას სამყაროს ახლიდან და ახლებურად აღმოჩენის შესაძლებლობას მისცემს, ჩვენ ჩავთვლით, რომ თბილისი Photo Festival-ის 5 წლის ისტორია წარმატებული და გამართლებულია. რადგან ფოტოგრაფია არის ის მედიუმი, რომელმაც შესაძლოა, ძირეულად შეცვალოს ადამიანის წარმოდგენა სამყაროზეც და ადამიანზეც. ამიტომ ჩვენ გვსურს, ასეთი აღმოჩენის გაკეთების შესაძლებლობა მივცეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჯგუფს, რომლებიც სხვა თუ არაფერი, ვორქშოფის მენტორის – ლიტველი ფოტოგრაფის რიმალდას ვისკრაიტისის მაგალითზე ისწავლიან, რომ ფოტოგრაფიასთან ერთად სამყარო და ადამიანი შეზღუდვებს აღარ ექვემდებარება“, – ამბობს ნესტან ნიჟარაძე.

ხდენს, რათა „ამ ვორქშოპით მსურველებს შესაძლებლობა მისცეს, აღმოაჩინონ ფოტოგრაფია, როგორც გარემომცველ სამყაროზე, ადამიანზე და საკუთარ თავზე დაკვირვების ბრწყინვალე იარაღი“.

„იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი პროექტები ჩვენს რეალობაში ჯერ კიდევ დიდი იშვიათობაა, თბილისის ფოტოფესტივალის ინიციატივა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს“, – ამბობს ნიჟარაძე, თუმცა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, ამ პროექტის დაგეგმვის პროცესში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, ზოგადად, რა დისკრიმინაციული და ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობს ჩვენს საზოგადოებაში შშმ ადამიანებისა და მათი პრობლემების მიმართ.

სიმბოლურია, რომ პროექტ „Real World“-ზე მუშაობისას ფესტივალის გუნდი ე.წ. ლოკალურ რეალობას წააწყდა: „რთული საორგანიზაციო საკითხების გადაჭრისას, სრულიად გამოაგნებელი აღმოჩნდა სახელმწიფო ინსტიტუციების დამოკიდებულება ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო სოციალური პროექტისადმი. ამით კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ ამ ქვეყანაში შშმ ადამიანები ჯერ კიდევ რჩებიან გარიყულებად და რეალურად არ მოიაზრებიან საზოგადოების ნაწილად. მათზე ზრუნვა, მათთვის პროფესიული განვითარების და სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების შექმნა ნამდვილად არ განიხილება, როგორც საყოველთაო პრეროგატივა“, – აღნიშნა სამხატვრო ხელმძღვანელმა.

შშმ პირებისთვის ვორქშოფის დაგეგმვის პროცესში აღმოჩნდა, რომ თბილისის საგამოფენო დარბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მისაღებად ადაპტირებული არაა. არ არის პანდუსები, არ არის ადაპტირებული ტუალეტები. ერთადერთი შენობა, სადაც შშმ ადამიანებს გადაადგილების შესაძლებლობა აქვთ, ეროვნული მუზეუმია. თუმცა ფესტივალის გუნდმა ადაპტირებული სივრცის დათმობაზე ეროვნული მუზეუმის დირექციისგან უარი მიიღო. დირექციამ სივრცეების სხვა საგამოფენო პროექტებზე გადანაწილება მოიმიზეზა და ეროვნული გალერეის მრავალრიცხოვანი საგამოფენო სივრცეების მაგივრად ფოტოფესტივალს ვორქშოფის ჩასატარებლად მუზეუმის აუდიტორია შესთავაზა, რომელიც ნესტან ნიჟარაძის განმარტებით, ამ ტიპის ვორქშოფისთვის სრულიად გამოუსადეგარია:

„ჩვენ ზედმიწევნით კარგად ვიცნობთ ეროვნული მუზეუმის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გალერეის საგამოფენო სივრცეებს და ვიცით, რომ სურვილის და ნების შემთხვევაში, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ამ კონკრეტული პროექტისთვის სივრცის გამონახვა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ისეთი სახელმწიფო ინსტიტუცია, როგორიც ეროვნული მუზეუმია, თავს უფლებას აძლევს ელემენტარული ძალისხმევაც კი არ გასწიოს ამ ტიპის სოციალური პროექტის განხორციელების ხელშესაწყობად. ეს კი საზოგადოების და სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემებისადმი ინდიფერენტულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. ეს ჩვენი რეალური სამყაროა...“ – ამბობს ნესტან ნიჟარაძე.

ეროვნული მუზეუმისგან მიღებული უარი ფესტივალის ხელმძღვანელობისთვის პროექტის შეჩერების საფუძველი არ გამხდარა.

მარტინ პარის და რიმალდას ვიკსრაიტისის „რეალურ სამყაროს“ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი უმასპინძლებს.

ნესტან ნიჟარაძე ამბობს, რომ ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის ლაშა ბაქრაძის შემოთავაზების საფუძველზე, ფესტივალი მიმართავს კერძო კომპანიებს, რომ შეგროვდეს თანხა, რომელიც მოხმარდება ლიტერატურის მუზეუმის შშმ პირების მისაღებად ადაპტირებას. შესაბამისად, თბილისის ფოტოფესტივალის პროექტის „რეალური სამყარო“ – გამოფენისა და ვორქშოფის დასრულების შემდეგ, თბილისში კიდევ ერთი ინსტიტუცია გაჩნდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მისაღებად.

ასე რომ, მაისის ბოლოს, თბილისის ფოტოფესტივალი პუბლიკის წინაშე სრულიად ახალი ინიციატივით წარდგება.

„თუკი ამ ვორქშოფის შემდეგ თუნდაც ერთი მონაწილისთვის, თუნდაც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის ფოტოგრაფია ცხოვრების ახალი საყრდენი გახდება, მას სამყაროს ახლიდან და ახლებურად აღმოჩენის შესაძლებლობას მისცემს, ჩვენ ჩავთვლით, რომ თბილისი Photo Festival-ის 5 წლის ისტორია წარმატებული და გამართლებულია. რადგან ფოტოგრაფია არის ის მედიუმი, რომელმაც შესაძლოა,

ძირეულად შეცვალოს ადამიანის წარმოდგენა სამყაროზეც და ადამიანზეც. ამიტომ ჩვენ გვსურს, ასეთი აღმოჩენის გაკეთების შესაძლებლობა მივცეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჯგუფს, რომლებიც სხვა თუ არაფერი, ვორქშოფის მენტორის – ლიტველი ფოტოგრაფის რიმალდას ვისკრაიტისის მაგალითზე ისწავლიან, რომ ფოტოგრაფიასთან ერთად სამყარო და ადამიანი შეზღუდვებს აღარ ექვემდებარება", – ამბობს ნესტან ნიჟარაძე.

თბილისის ფოტოფესტივალმა უკვე მოიპოვა რეგიონული მასშტაბის კულტურული ღონისძიების რეპუტაცია და წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ ცნობილ თუ ახალგაზრდა ფოტოგრაფს უყრის თავს.

ფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია ფრანგული ფოტო ფესტივალი – Les Rencontres d'Arles, რომელიც ტრადიციულად 1968 წლიდან ქალაქ არლში ტარდება და თანამედროვე ფოტოგრაფიულ სამყაროში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ფოტოგრაფიული ღონისძიება.

რიმალდას ვიკრაიტისი. ლიტვა

დაჯაჰბული დროის ქვეყანა

გურამ თიკანაძის ფოტოგამოფენა „TBC არტ გალერეაში“

დავით ბუხრიკიძე

„მთამსვლელებს ხშირად გვეკითხებიან: რა გვაინტერესებს მთაში? ეს კითხვა უადგილოდ გვეჩვენება და ხშირად უპასუხოდ ვტოვებთ. განმარტებისთვის მხოლოდ ზოგიერთი განცდა თუ მოგვეშველება. მთასთან არ ვლაპარაკობთ და საუბრით არ ვამყარებთ სიყვარულს. კარგად ვიცით, რომ აქ ყოველი ქვის ქვეშ და ფიფქში მარცხია ჩასაფრებული. მოწოლილი ღრუბლები ჭექა-ქუხილს და თოვლს ფანტავენ მწვერვალთა კალთებზე, მცხუნვარე მზე კი ქვის ცვენით და ზვავების კორიანტელით აფხიზლებს ქედებს. მუდამ სიახლე, სიფხიზლე, მოძრაობა... ჩვენ მთასთან და ყინულთან მეტ საერთოს ვნახულობთ, ვიდრე ბართან და ზღვასთან“.

თითქოს არაფერი განსაკუთრებული. მთების ცხადად ჰიპერბოლიზებული, ლიტერატურული აღწერაა. ფრაზებს მიღმა კი მაინც მშფოთვარე, ზვიადი და უშუალო ბუნება იხატება. ისევე როგორც, მთების ხაზგასმული სიმშვიდე და გიგანტური მასშტაბის გამო გამორჩეული, შეკუმშული და გაზვიადებული განცდა...

ეს ლეგენდარული მთამსვლელისა და ფოტოგრაფის, გურამ თიკანაძის ჩანაწერის ფრაგმენტია, რომლის ფოტოგამოფენაც „TBC არტ გალერეის“ მრგვალ დარბაზში ორი თვის განმავლობაში შეიძლება ნახოთ. 1955-1963 წლებში გადაღებული, 90-მდე შავ-თეთრი და რამდენიმე ფერადი ფოტო საკმაოდ პატარა დარბაზში უცნაურადაა „ჩატეულ-ჩატენილი“. როგორც ერთ დროს საბჭოთა იმპერიის ხუთწლედები ფოტოებზე აღბეჭდილ პროზაულ აღლუმებს შორის. მათი ორიგინალები გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივშია დაცული, რომელთა გაწმენდა-გაციფრულება საკმაოდ შრომატევადი და ძვირადღირებული სამუშაო აღმოჩნდა.

გამოფენაზე თავად ნახავთ უმიზეზო ბედნიერებით ანთებულ „მარშიროვკებს“, უჩვეულოდ საქმიან პიონერებს, ცინცხალი საბჭოთა ავტომობილების გიგანტურ რაზმს, სვანურ სოფლებში ჩაკარგულ არქეტიპულ სახეებს, დაღლილ და „შეუბღალავ“ პარტიულ ნომენკლატურას სტადიონისკენ მიმავალი ტროლეიბუსს ჩამოკიდებული ხალხით, საგანგებოდ მორწყულ თუ დახაზულ ქუჩებს, ბორჯომ-ბაკურიანის „კუკუშკას“... ანუ დროს, რომელიც სოციალიზმის რღვევა-ნგრევამდე დიდი

ხნით ადრე იყო – მშვიდი, მთვლემარე, ზანტი და სოციალურ-პოლიტიკურად „შეუბღალავი“. ამავე დროს, ამ ფოტოების შავ-თეთრი სიმშვიდე უცნაურად ზუსტი და ოპტიმიტურ-მიამიტურია; ისევე, როგორც წვიმის გუბეებთან ჩაცუცქული ბავშვების სახეები.

გურამ თიკანაძე ფოტოგრაფიას პიონერთა სასახლეში, ცნობილი ფოტოგრაფების, ნიკო საღარაძისა და სერგო ახვლედიანის ხელმძღვანელობით სწავლობდა. უნივერსიტეტში ალპინიზმითა და მთებით დაინტერესდა, რომელიც საბოლოოდ, მის ბედისწერად იქცა. 1959 წლიდან მუშაობდა ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტად. ამავე წელს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე ვენაში ვერცხლის მედლით დაჯილდოვეს, რაც პირველი საერთაშორისო ჯილდოა ქართული ფოტოგრაფიის ისტორიაში. 1962 წელს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის ფოტოსექციის თავმჯდომარე გახდა.

თავის დროზე თიკანაძის ფოტოები იბეჭდებოდა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო ფოტოგამოფენაში. და, რაც მთავარია, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მან ორმოცამდე მწვერვალი დალაშქრა! გურამ თიკანაძე 1963 წელს მთაში, შხარადან დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა. 31 წლის ასაკში.

მისი პიროვნული და შემოქმედებითი თვითდამკვიდრება საბჭოთა დროის ე.წ. „დათბობის“ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ახალგაზრდა ფოტოგრაფები შეგნებულად უარს ამბობდნენ ინსცენირებული ფოტოგრაფიის კანონებზე, ასე ვთქვათ დროის მშრალ ფიქსაციაზე და თამამად ამკვიდრებდნენ რეპორტაჟულ ფოტოს.

გურამ თიკანაძემ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ფოტოგრაფიის განვითარებაზეც. მან შექმნა ერთგვარი კულტურულ-გენეტიკური ტრადიცია ქართულ ფოტოგრაფიაში და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ დიდი ფოტოხელოვანები, უპირველეს ყოვლისა საინტერესო პიროვნებები არიან.

როგორც გამოფენისადმი მიძღვნილ ბუკლეტში არტკრიტიკოსი დავით ანდრიაძე მეტაფორული მოხდენილობით აღნიშნავს: „კულტურათა გენეტიკური ხსოვნა, დღესასწაულთა სისტემებითურთ, ძალაუნებურად საბჭოურ რეჟიმსაც გადმოეცა ტრადიციით...

ტრადიციით, ანუ კულტურით...

ამ ტრადიციის შემნახველებად გარინდებულან თიკანაძისეული გლეხები, კოლმეურნეობის უღელში შებმულნი, თითქოსდა ადამიანის სახედაკარგული და მაინც, ადამიანობის რაღაც პირველყოფილი მზერით მომლოდინე სახეები... საქვეყნო მამითადით გათანგული ადამიანები ამგვარი „და აქ-ყოფნის, დასწრების ეფექტით გვიპყრობენ...“

გურამ თიკანაძის ფოტოობიექტივს არ სჭირდებოდა სტუდია, არც მხატვრულად „დაყენებული“ ვნებები. ქუჩა, ღია სივრცე თუ რეპორტაჟი სრულიად საკმარისი იყო დამუხტული ქალაქის თუ მშვიდი სოფლის, ყოფისა თუ დღესასწაულის, წარსულისა თუ აწმყოს ზუსტი არტიკულაციისათვის. რაც დრო გადის, ვხდებით, რომ ამ ფოტოებზე აღბეჭდი-

© ლიტერატურის მუზეუმი

© ლიტერატურის მუზეუმი

ლი „საბჭოთა სოციალური რუდიმენტები“ გარკვეულ რომანტიკულ ნოსტალგიას მაინც აღვიძებენ. დროსთან ერთად იმ სისტემისადმი მრისხანება სადღაც გაქრა და მხოლოდ შერბილებული ირონია გადარჩა. ცხადია, ძირეული მითოლოგემებიც წარსულს ჩაჰბარდა. სამაგიეროდ, დარჩა ფოტოები, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ყოველგვარი კლიშეებისა და აკვიატებების გარეშე.

კიდევ ერთი პარადოქსი გურამ თიკანაძესთან მიმართებაში: თუ მას თანამედროვენი უფრო ქმედით ადამიანად და კარგ ალპინისტად აღიქვამდნენ, ვიდრე გაბედულ, ნოვატორ ფოტოხელოვანად, დღეს როლები გაიცვალა – ის უფრო მითოლოგიური ალპინისტია და „მოქმედი“ ცოცხალი ენერგიით აღსავსე ფოტოგრაფი.

ეს ნიშნავს, რომ დროს ხელოვანთან მიმართებაში არა მარტო ხანგრძლივობა აქვს, არამედ რეალური მოცულობა – თუ მას წარსულში უკიდურესად შეამჭიდროვებ, აწმყოში აქტუალური და უკიდურესობამდე ხილული გახდება. იმდენად, რომ გადაშენებული საბჭოთა რეალისტური ფანტომებიც კი პოეტურად და მაცდურად მოგეჩვენება.

იმიტომ, რომ საოცრებათა დრო ქრება და ფოტოები რჩება!

იმიტომ, რომ დროსა და ფოტოკამერას შეუძლია 60-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ლითონამდელი, ხის „ყალიბში“ ჩასმული „ქართლის დედა“ უფრო ცოცხლად შემოგვინახოს, ხოლო მის გვერდით მდგომი პოზიორი მანეკენები – თოჯინებს დაამსგავსოს; ანუ სინამდვილე იყოს და მერე გაქრეს; ან ჯერ არ იყოს და მერე ხორცი შეისხას. მერე რა რომ ხელოვანის მაგიერ ხშირად „სახელმწიფო იყო დროის განმკარგავი და როგორც მერე გაირკვა – დამკარგავიც“ (ესეც დავით ანდრიაძეს დაუკითხავად დავესესხეთ!).

თუ „TBC არტ გალერეაში“ წარმოდგენილ გურამ თიკანაძის სრულიად არაკონცეფტუალურ ფოტოებს გამოტოვებთ, ნამდვილად დაკარგავთ დროს, რომელიც შეგიძლიათ (შეგეძლოთ) ცოცხალად განიცადოთ (განგეცადათ). მთავარია, საბჭოთა მითების არსებობა (რომელიც ოდესღაც იყო და მერე გაქრა) დღეს მისი საოცარი ფოტოებით დაიჯეროთ.

იმისათვის, რომ დაკარგული დროის ქვეყანა ნახოთ, ორი თვე საკმარისზე მეტი დროა – გამოფენა ივნისის ბოლომდე გასტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

გვიპოვეთ სოციალურ ქსელზე

მოგვყევით

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

http://youtube.com/LiberaliMagazine

ეროვნული ბიბლიოთეკა



TISSOT T-TOUCH II RBS 6 NATIONS SPECIAL EDITION 2014 REFLECTS DYNAMISM AND A PASSION FOR SPORT. TOUCH THE SCREEN TO GET THE ULTIMATE SPORTS WATCH EXPERIENCE WITH 12 FUNCTIONS INCLUDING WEATHER FORECAST, ALTIMETER AND COMPASS. **INNOVATORS BY TRADITION.**

TISSOT.CH

TISSOT

LEGENDARY SWISS WATCHES SINCE 1853

ართტაიმი ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge